# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№063(12742) 18 მარტი ოთხშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი

## იბრა მიდის?



ზლატანს ახალი თავგადასავალი და ევროტიტული უნდა

» 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აი, ასე უნდა იმოძრაო!

## დიდი სამშაბათობა საგურამოში

» 2





## ცხადაძე კუპერს მოელაპარაკა

» 3



ალექსანდრე კოტრიკაშვილის ფოტოები




## ევროლიგა

მსოფლიო ფეხბურთი

» 6-10

პლატინი მზადაა, განსხვავებულ იდეებს მოუსმინოს



### პირველი და უკანასკნელი ქართველი

ფეხბურთელის ბედი. ინტერვიუ ლაშა დეკანოსიძესთან

» 3



### რას მოუტანს ტოტალიზატორი საქართველოს ჩემპიონატს?

კეში ქართულად

» 4



### მეშინია, სასაცილონი არ გავხდეთ

ინტერვიუ დიეგო მარადონასთან

» 7

ეროვნული ნაკრები



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# აი, ასე უნდა იმოძრაოთ!

## მომზადება ფეხბურთში. კუპერი ბურთისთვის არბენინებს

ყველაფერი ფული ღირს, მათ შორის ფეხბურთში მომზადებაც. ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ ყოფილ მწვრთნელს ახლა გუნდი არ ჰყავს, მაგრამ მთლად უმუშევარიც არ არის - შეკრიბა რამდენიმე თინეიჯერი და არბენინებს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ფეხბურთში ამზადებს. ფასიც ხელმისაწვდომია - 40 ლარი, დაახლოებით იმდენი, რაც ბავშვის მომზადება ღირს ინგლისურსა თუ მათემატიკაში, მეტწილ საფეხბურთო სკოლებშიც ასეთია გადასახადი...

ფეხბურთში მომზადება - არის ირონია ამ ორი სიტყვის უკან, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. **ექტორ კუპერის** „სამშაბათობაც" სხვა არაფერია, თუ არადა ფეხბურთში მომზადება, მაგრამ აქ უკვე ირონია არაფერ შუაშია - ეს კუპერის სამუშაოს ნაწილია, რომელსაც მწვრთნელიც საკმაოდ სერიოზულად ეკიდება და მთლიანად გუნდიც...

მოკლედ, გუშინ საგურამოში, თბილისის „ლოკომოტივის" ბაზაზე, საქართველოს ეროვნული ნაკრების არგენტინელმა თავკაცმა მორიგი „სამშაბათობა" მოაწყო - საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებსა და უგუნდოდ მყოფ **დავით სირაძეს** უხმო. „სამშაბათობაზე" პირველად მიიწვიეს ლოკომოტიველი **გიორგი კახელიშვილი** და გაგრელი **გიორგი ცხადაია**. წვრთნაზე ვერ მივიდა თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი **მათე ვაწაძე**, რომელიც ტრავმირებულია და მისი ადგილი მცველმა, „ვიტ ჯორჯიას" კაპიტანმა **ლექსო კვახაძემ** შეავსო.

**გიორგი ლომაია, გრიგოლ ბედიაშვილი, ზურაბ მამალაძე, გურამ კაშია, ლექსო კვახაძე, გიორგი ცხადაია, გიორგი სეთურიძე, უჩა ლობჟანიძე, ლუკა რაზმაძე, ლევან ხმალაძე, გიორგი კახელიშვილი, გიორგი მერებაშვილი, ნიკა გელაშვილი** და **დავით სირაძე** - კუპერის განკარგულებაში 14 ფეხბურთელი გახლდათ.

მოთელვას მყის ტაქტიკური ვარჯიში მოჰყვა. მეკარეებს (ლომაია, ბედიაშვილ, მამალაძე) - ნაკრების გოლკიპერთა მწვრთნელი **მამუკა აბუსერიძე** ცალკე ავარჯიშებდა, კუპერმა კი დანარჩენებს მოუყარა თავი და საქმესაც შეუდგა. ვარჯიში მოიცავდა ბურთის ართმევის დახვეწას, ანუ - როგორ უნდა იმოძრაონ ფეხბურთელებმა, როცა ბურთი მეტოქეს აქვს და შეტევას ამზადებს, ბურთი აქეთ-იქით გადააქვს, რათა მოძრაობაზე გამოიჭიროს მოწინააღმდეგე და შეტევის გასამწვავებლად თავისუფალი სივრცე მონახოს. არ გამოდგა იოლი ეს ვარჯიში, კუპერი არ იყო კმაყოფილი, არ ნებდებოდა, ბოლომდე უჩიჩხინებდა ფეხბურთელებს, მაგრამ მაინც ვერ მოილბო გული...

არგენტინელმა წვრთნა დროებით შეწყვიტა, ფეხბურთელებს მოედნის ცენტრში უხმო, „ფიშკებიც" მოატანინა და მინდორზე ტაქტიკური დაფა გაშალა. ვერ მოვახერხე ამ დაფაში ჩახედვა, მწვრთნელმა, თარჯიმანმა და ფეხბურთელებმა გადაფარეს მინდორზე მიზანმიმართულად დალაგებული „ფიშკები". თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის მიქსი - ასეთი რამ მოუწყო არგენტინელმა ქართველ ფეხბურთელებს. ტაიმაუტი მალე დასრულდა და იგივე ტაქტიკური ვარჯიში განახლდა, რომელიც ბურთის ართმევის გარდა, შეტევითი ელემენტების სრულყოფასაც ითვალისწინებდა - 11 ფეხბურთელი ხუთი-ექვსზე ეპაექრებოდა ერთმანეთს. კუპერი ისევ არ იყო კმაყოფილი და ასეთი რამ მოიფიქრა - **სეთურიძეს** გადასაცმელი გამოართვა, თავად გადაიცვა და დაცვით ხუთეულს შეუერთდა. საკმაოდ მსუბუქად და სხარტად კი დარბოდა ჩვენი ნაკრების მწვრთნელი. ერთი-ორი წუთის შემდეგ გადასაცმელი ფეხბურთელს დაუბრუნა და უთხრა - აი, ასე უნდა იმოძრავოო.

დადგა მეორე ტაქტიკური ვარჯიშის ჯერიც - შეტევის განვითარება ფლანგიდან, რასაც უნდა მოჰყვეს ძლიერი ჩაწოდება ახლო ან შორეულ ძელთან, საპირისპირო ფლანგზე კი მცველის შეტევაში ჩართვა. რა თქმა უნდა, არც ეს ვარჯიში გამოდგა ლობიოს ჭამა. ჩვენს ფლანგელებს გაუჭირდათ ბურთის კარგად და ძლიერად ჩაწოდება, კუპერიც დაიძაბა, უარყოფითი ემოციებით ივსებოდა, მაგრამ ამ ემოციების როყიოდ დაცლა არ უნდოდა, თითქოს ჩასაფრებული იყოო და, როცა **მერებაშვილმა** მარცხნიდან მოხდენილად ჩაუწოდა შორეულ ძელთან მყოფ **რაზმაძეს**, კუპერმა სიხარულით დაილრიალა - si, si! კარგია, აი, ეგრე უნდაო!

ვარჯიშის ბოლოს კი იყო კარში დარტყმები. კუპერი ვერც ამით დარჩა კმაყოფილი და ასეთი რამ მოიფიქრა - ვინც კარის ჩარჩოს ააცილებს, გაწელვები და აზიდვები მოუწევსო.

ვარჯიში მკაცრი, მაგრამ ხალისიანი გამოდგა. კუპერს აქვს ისეთი მუხტი, რომელიც გადამდებია - შეუპოვრობა. კუპერს უწევს ფეხბურთელების მომზადება ფეხბურთში და გაკვეთილი ყოველთვის ვერ იქნება სახალისო, ოღონდ, ეს მაინც სასიამოვნო უნდა იყოს, ძალდატანება კარგს ვერაფერს მოიტანს და ამ ყველაფერს შორის კუპერი თითქოს ზღვარს კარგად ავლებს. მას აქვს სამწვრთნელო კლასი, თუმც სამწუხაროდ, მის ხელში ჩვენს ეროვნულ გუნდს შედეგი ჯერ არ აქვს...

წვრთნის დასრულების შემდეგ კუპერს ჟურნალისტებთან საუბარზე უარი არ უთქვამს, თუმცა ლიმიტი კი გამოწერა - მხოლოდ ორ კითხვაო...

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად სოლიდურ შემადგენლობას მოუყრით თავს კვიპროს-ჩერნოგორიასთან მატჩებისთვის?**

- სოლიდურობა ნიშნავს სათანადო განწყობას, რწმენას, თავდაჯერებულობას - ჩვენ შეგვიძლია გამარჯვება! მე ასე მესმის სოლიდურობა და ასეთი განწყობით წავალთ კვიპროსზე.

**- დღევანდელ ვარჯიშზე რას გვეტყვით? კმაყოფილი ხართ?**

- ვფიქრობ, საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი გვყავდა გამოძახებული ამ ვარჯიშისთვის. ორი-სამი ტაქტიკური მოძრაობის დახვეწაზე გავაკეთეთ აქცენტი, იმაზე, რაც არ მომეწონა ირლანდიასთან მატჩში. ასეთი ვარჯიში ყოველთვის სასიამოვნოა, დიდ სტიმულს აძლევს საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს და ისინიც მეტი მონდომებით ირჯებიან, რადგან იციან, რომ აქვთ ნაკრებში მოხვედრის შანსი და მზად უნდა იყვნენ ამისთვის.

**დავით თავართქილაძე**



ჯაბა კანკავა

# კანკავა გამოძახებულია, მუჯირი არა

კვიპროსისა და ჩერნოგორიისთვის **ექტორ კუპერს** შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია. მოგეხსენებათ, ლეგიონერთა გუნდები ფეხბურთელის გამოძახების თაობაზე თამაშამდე ორი კვირით ადრე უნდა გააფრთხილო. ასე რომ, ახლავე შეგვიძლია შევიქმნათ გარკვეული წარმოდგენა იმაზე, თუ ვინ შეიძლება მოხვდეს კუპერის სიაში. „შალკეს" ორივე ქართველ ლეგიონერს, **ლევან კობიაშვილსა** და **ლევან ყენიას**, ეროვნულ გუნდში მიწვევა უკვე მიუვიდა.

უკრაინული „დნიპროს" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ ნაკრებში გამოძახების უწყება ორ ქართველს - **ჯაბა კანკავასა** და **ბექა გოცირიძეს** მიუვიდა. ჯაბას კარგა ხანია არ უთამაშია ეროვნულ გუნდში, რაც მისი ტრავმით იყო გამოწვეული. ბოლოს მან ბელფასტში, ჩრდილოეთ ირლანდიასთან 1:4-ზე წაგებულ მატჩში ითამაშა. შეგახსენებთ, რომ ამ მარცხს **კლაუს ტოპმიოლერის** ქართული კარიერა შეეწირა. ასე რომ, კუპერის ხელმძღვანელობით ჯაბას ჯერ არ უთამაშია.

მოსკოვის „ლოკომოტივის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ამ გუნდიდან სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში მიწვეულ რკინიგზელთა სია, რომელშიც არ ფიგურირებს **დავით მუჯირი**. კუპერი მას არც ამჯერზე ენდო. მიწვევა ჯერ მისულია ლატვიაში მოთამაშე ერთადერთ ქართველ ლეგიონერ **ზურაბ მენთეშაშვილს**. სავარაუდოდ, გამოძახებულნი არიან **ზურაბ ხიზანიშვილი** და **ალექსანდრე იაშვილი**, თუმცა ინტერნეტით ამის გადამოწმება შეუძლებელი აღმოჩნდა. არ უნდა ველოდოთ არც **მალხაზ ასათიანის** (კიევის „დინამო") გამოძახებას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დებიუტანტი

ინტერვიუ გიორგი ცხადაიასთან

# ასეთი ვარჯიში ჩემთვის პირდაპირ მისწრებაა

## სამშაბათობიდან ეროვნულ ნაკრებამდე დიდი გზა აღარ არის...



ეროვნული ნაკრების თავკაცმა ექტორ კუპერმა გუშინდელ „სამშაბათობაზე" პირველად მიიწვია გიორგი ცხადაია. უნდა აღინიშნოს, რომ გამოუცდელ ფეხბურთელს ვარჯიშზე მონდომება არ აკლდა, ერთობ გულიანად ირჯებოდა...

ცხადაიას წვრთნის დასრულების შემდეგ გავესაუბრეთ. ვიდრე ინტერვიუზე გადავალთ, ფეხბურთელის მცირე დოსიე - დაიბადა 1988 წლის 23 აპრილს; 188 სმ სიმაღლისაა და იწონის 72 კგ-ს; თამაშობდა „მთვარის გლობუსსა" და თბილისის „დინამოს" აკადემიაში; დღესდღეობით „გაგრას" ნახევარმცველია; შარშან შემოდგომაზე სტაჟირება გაიარა ბელგიურ კლუბ „დენდერში".

ახლა კი ინტერვიუ...

- უზომოდ გამიხარდა, როცა გავიგე, რომ ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სამშაბათის ვარჯიშისთვის გამომიძახა. გადაჭარბების გარეშე ვამბობ - რაც ფეხბურთში ვარ, მსგავსი სიხარული ჯერ არ განმიცდია.

**- თუ იცი, რომელ მატჩებში გნახა ექტორ კუპერმა?**

- ალბათ, ბოლო ორ შეხვედრაში, „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" რომ ვეთამაშეთ. როცა მოედანზე ვარ, საერთოდ არ ვფიქრობ იმაზე, მიყურებს თუ არა კუპერი. თამაშის დროს ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები, შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებ, ყველანაირად ვცდილობ, გუნდს სარგებელი მოვუტანო. რამდენად გამომდის ეს, მწვრთნელებისა და სპეციალისტების შესაფასებელია.

» 3

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული ნაკრები



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ცხადაძე კუპერს მოელაპარაკა...

გუშინ კახა ცხადაძემ პირველი „სამშაბათობა“ ჩაატარა. საგურამოს ბაზაზე მან საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატები შეკრიბა. თუმცა მათი დიდი ნაწილი უფრო მომავლის ფეხბურთელია - ისინი ნაკლებად ცნობილი ახალგაზრდები არიან.

ცხადაძე ტალანტებს ეძებს. ეს მისი სიიდანაც ჩანს. რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ნაკრების მწვრთნელები ამ თუ იმ საინტერესო ფეხბურთელის ვინაობას ზოგჯერ ჟურნალისტებისგან იგებდნენ. მაგალითად, **კლაუს ტოპმიოლერმა** დანიშვნიდან ნახევარი წლის შემდეგ, პრესკონფერენციაზე დასმული კითხვიდან გაიგო, რომ რუსეთის პრემიერლიგაში **ალექსანდრე ამისულაშვილი** თამაშობდა...

ახლა ცხადაძე ფეხბურთელებს თავად გვაცნობს. ასე მაგალითად, გულშემატკივართა ფართო წრისთვის უცნობია მარტვილის „მერანის“ მეკარე **ჯონი შეროზია**. ამ კლუბის დირექტორი, წლების განმავლობაში საბერძნეთში მოთამაშე **ადონის პაპანდოპულოსი** ამბობს, რომ 18 წლის შეროზიას დიდი მომავალი აქვს. მსგავსი პერსპექტივის მქონე ქართველი მეკარე არ მეგულებაო, - გვარწმუნებს პაპანდოპულოსი.

ახლა კი ვარჯიშზე. გუშინ წვრთნა 15 საათზე დაიწყო. საგურამოში 21-მა ფეხბურთელმა ივარჯიშა:

მეკარეები - **შეროზია** (მარტვილი), **ლოსაბერიძე** (დინამო);

მცველები - **კაკუბავა, ჩადუნელი, გეთიაშვილი** (ყველა დინამო), **აქუბარდია** (მგლები), **ქურასბედიანი** (სპარტაკი), **ბებუა** (ლოკომოტივი), **თარხნიშვილი** (უგუნდო);

ნახევარმცველები - **ნემსაძე, ბოლქვაძე, დარასელია** (ყველა დინამო), **ჩარგეიშვილი, გაბედავა** (ორივე გაგრა), **დათუნაშვილი, სვანაძე** (ორივე ვიტ ჯორჯია), **გორგიაშვილი** (ზესტაფონი), **გიორგაძე** (უგუნდოდ);

თავდამსხმელები - **აბაშიძე** (გაგრა), **როსტიაშვილი** (ვიტ ჯორჯია), **ქანთარია** (დინამო).

წინასწარ გამოცხადებულ სიას მხოლოდ თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი **ვაჟა ნემსაძე** დაემატა. ივარჯიშა ასევე ბევრისთვის უცნობმა **ბექა გიორგაძემ**, რომელიც შარშან „დინაბურგში“ ირიცხებოდა. სხვათა შორის, ის „ვალენსიას“ საფეხბურთო სკოლის გაზრდილია. გიორგაძე ამჟამად უგუნდოდაა.

ცხადაძემ ახალგაზრდებს ტაქტიკური ხასიათის ვარჯიშები ჩაუტარა. სულ საწვრთნელი პროცესი საათზე ოდნავ მეტხანს გაგრძელდა - სახალისოც იყო და სასარგებლოც. ფეხბურთის ფედერაციის ახალი ტექნიკური დირექტორი **ნიკა ჩხეიძე** კმაყოფილია ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის წამოწყებით: *„სასიხარულოა, რომ ეს ტრადიცია ცხადაძემაც დანერგა. დიდი იმედი გვაქვს, რომ მისი ასეთი მონდომებული მუშაობის შედეგად, უყურადღებოდ არავინ დარჩება“.*

*„თუ მოვინდომებთ, მსგავსი ტაქტიკური ვარჯიშების ჩატარება ყოველ სამშაბათს არის შესაძლებელი. ეგ არის, რომ ჩემპიონატის ტურები ინგლისური პრემიერლიგის გრაფიკივით არ უნდა მიებას ერთმანეთს. ასეთი შეკრებები მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, პირველი ლიგის ფეხბურთელებისთვის. ჩემი დიდი სურვილიც ესაა, რომ მათ რაც შეიძლება მეტი დრო დავუთმოთ. სხვათა შორის, პირველ ლიგაში საკმაოდ საინტერესო ფეხბურთელები არიან და მათ თავის გამოჩენის შანსი უნდა მივცეთ“*, - ეს უკვე თავად ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის სიტყვებია.

დაბოლოს, ცხადაძის თქმით, მან და კუპერმა მოილაპარაკეს - ახალგაზრდული ნაკრებისთვის შესაფერისი ასაკის ფეხბურთელი, რომელიც ეროვნულ ნაკრებში ამა თუ იმ მიზეზის გამო არ ითამაშებს, ცხადაძის კრებულში გადაბარგდება, რათა 21-წლამდელები გააძლიეროს...

**მერაბ მამულაშვილი**

# ასეთი ვარჯიში ჩემთვის პირდაპირ მისწრებაა

2 «

**- რა აზრის ხარ „სამშაბათობაზე“?**

- ვფიქრობ, ჩემნაირი ახალგაზრდებისთვის, ანუ მათთვის, ვისაც უნდა, ისწავლოს თანამედროვე ფეხბურთი, გამოცდილება გაიმდიდროს, ასეთი ვარჯიშები პირდაპირ მისწრებაა. დღეს ტაქტიკური წვრთნა გვქონდა. კუპერმა ამპლუების მიხედვით მოგვცა დავალება, თუ ვის რა უნდა ეკეთებინა შეტევისა და თავდაცვის დროს, ვის რა პოზიცია უნდა შეერჩია... ეს ყველაფერი თანამედროვე ფეხბურთისთვის აუცილებელია.

**- როგორ გესმის „თანამედროვე ფეხბურთი“?**

- თანამედროვე ფეხბურთს გემო შარშან, ბელგიაში სტაჟირებისას გავუსინჯე. ძაგანიასა და ქვრივიშვილთან ერთად ბელგიურ „დენდერში“ ვიყავი. სამი თვის განმავლობაში იქ ბევრი რამ ვისწავლე.

**- თამაშებიც ჩაატარე?**

- კი, ხუთ ამხანაგურ მატჩში მათამაშეს. საყრდენ ნახევარმცველად დამაყენეს და 3 საგოლე პასიც გავაკეთე. ჩამოვედი ბელგიიდან და წელს უკვე სტაბილურად ვთამაშობ „გაგრას“ სასტარტოში. სხვათა შორის, ჩვენი გუნდის თავკაცი ვლადიმერ ხაჩიძეც ყველანაირად ცდილობს, სწორი ფეხბურთი გვათამაშოს. ასე რომ, მისგანაც ბევრს ვსწავლობ.

**- სასტარტოში დამკვიდრება რის ხარჯზე შეძელი?**

- ისევ და ისევ ბელგიური სტაჟირების წყალობით. მეტად მოვინდომე, საკუთარ თავზე ვიმუშავე და შანსიც გამოვიყენე. თუმცა ამით არ ვკმაყოფილდები, რადგან ვიცი, რომ ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი და დასახვეწი.

**- როგორ ფიქრობ, შეძლებს „გაგრა“ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას?**

- საამისო შანსი ნამდვილად გვაქვს. „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ მოპოვებულმა თითო ქულამ საკუთარ ძალებში რწმენა შეგვმატა. ახლა უშუალო კონკურენტებსაც უნდა წავართვათ ქულები და თუ ამას შევძლებთ, უმაღლესში დავრჩებით.

**- „სამშაბათობას“ დავუბრუნდეთ. გულმოდგინედ ცდილობდი კუპერის დავალებათა შესრულებას. იოლად იგებდი თუ გიჭირდა?**

- თუ საჭიროა დავალების გამეორება, კუპერი ამას უმალ ხვდება და არ იზარებს. სხვა რა გითხრათ... რაც შემეძლო, გავაკეთე. ჯერ ახალგაზრდა ვარ და გამოცდილებაც დიდი არ მაქვს. თუმცა ყურადღება და გულმოდგინება ნამდვილად არ მაკლდა.

**- კიდევ რას ნიშნავდა შენთვის „სამშაბათობაზე“ გამოძახება, გარდა იმისა, რომ კუპერისგან ბევრი რამ ახალი გაიგე?**

- აქედან ეროვნულ ნაკრებამდე დიდი გზა აღარ არის. თუმცა ყველაფერი ჩვენზე, ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. კუპერი მორიგ „სამშაბათობაზეც“ თუ გამომიძახებს, იმაზეც მადლობელი ვიქნები.

**დავით ცაბაძე**

ფეხბურთელის ბედი

# პირველი და უკანასკნელი ქართველი

## რატომ გამოუშვეს ჩემპიონთა ლიგის კლუბიდან ლაშა დეკანოსიძე?



ლაშა დეკანოსიძე

ზაფხულში დიდი სენსაცია მოხდა - ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბულგარული „ლევსკის“ დამარცხების შედეგად, ბორისოვის ბატე ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა, ხოლო მის განაცხადში შეიყვანეს საქართველოში ყველასთვის უცნობი ფეხბურთელი - ლაშა დეკანოსიძე. მხოლოდ საქართველოს რეგიონალლიგის „ნორჩ დინამოელში“ მიღებული გამოცდილების მქონე 21 წლის მარცხენა მცველი ბელარუსებმა მადრიდის „რეალთან“ გასვლითი მატჩის განაცხადშიც კი შეიყვანეს, გუნდში მისი დიდი იმედიც ჰქონდათ, მაგრამ... დეკანოსიძე ბატე-ში არა და არ ჩნდებოდა.

ის წელს გუნდს ანთალიაში მოსამზადებელ შეკრებაზეც ახლდა, ძირითადშიც თამაშობდა. ახლახან კი კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა ინფორმაცია - ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დეკანოსიძესთან კონტრაქტი გაწყვეტილიაო.

ბუნებრივია, დავინტერესდით ამ უცნაური ისტორიით და ერთი სევდიანი ამბავიც შევიტყვეთ... სხვათა შორის, ბელორუსში მოთამაშე კვარაცხელიამ გვითხრა - რომ არა ფინანსური პრობლემები, ბორისოვში დეკანოსიძე ძალიან მოსწონდათ და უეჭველი დატოვებდნენო...

**- ლაშა, ჩემპიონთა ლიგაში გასულ კლუბებს ფეხბურთელი საქართველოს უმაღლესი ლიგიდან არ აჰყავთ, არათუ რეგიონალლიგიდან. როგორ მოხვდი ბატე-ში?**

- კლუბის პრეზიდენტი კაპსკი ჩემი ბიძაშვილის, თემურ ცხადაძის და მეგობრის მამის გია გერგიშვილის ახლობელია. ბელარუსში თავის გამოჩენის საშუალება მომცეს. დუბლებში ვვარჯიშობდი და ერთი კვირის თავზე მწვრთნელმა მითხრა - შენ დუბლების ფეხბურთელი არ ხარო. გადამიყვანეს ძირითადში და სამი დღის შემდეგ ბატე-ს მწვრთნელი ანატოლი გონჩარენკო დაინტერესდა, თავისუფალი აგენტი ვიყავი თუ რომელიმე კლუბთან კონტრაქტი მაკავშირებდა.

ბოლოს „ნორჩ დინამოელში“ ვვარჯიშობდი, მაგრამ იქიდანაც თავისუფალ აგენტად წამოვედი. ეს ძალიან გაუხარდათ და ერთ კვირაში სამწლიანი კონტრაქტი გამიფორმეს. თუმცა აღმოჩნდა, რომ „ნორჩი დინამოელი“, რაკი მისი გაზრდილი ვარ, ჩემში თანხას ითხოვდა და საქმე გამირთულდა. ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შემდეგ, „ლელოსაც“ მივეცი ინტერვიუ და ჩემი ამბავი მთელმა საქართველომ გაიგო. სამწუხაროდ, ყველაფერი სწორედ ამის შემდეგ ამერ-დამერია - „ნორჩმა დინამოელმა“ ბელარუსებს კომპენსაციის სახით 50 ათასი ევრო მოსთხოვა...

**- ...და ჩემპიონთა ლიგაში გასულ კლუბს 50 ათასი ევროს გადახდა არ შეეძლო?**

- შეეძლო, მაგრამ არაფერი არ იყო გადასახდელი. ამხელა კომპენსაციაც გაბერილი თანხაა. ბატე-ში ვვარჯიშობდი, მაგრამ ნოემბერში სეზონი დასრულდა და თბილისში ჩამოვედი. „ნორჩი დინამოელის“ ხელმძღვანელობამ მითხრა - პრობლემას არ შეგიქმნით, ბატე-ს რამენაირად შევუთანხმდებითო. სამწუხაროდ, პრობლემა ვერ მოგვარდა. მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი გონჩარენკომ დამაიმედა - წელს ძირითადში მოხვდები, მაგრამ შენი სკოლა დიდ ფულს ითხოვს, ან გაჩერდნენ, ან გაგიშვებთო. წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავვარდებოდი?! ანთალიის შეკრების შემდეგ გონჩარენკომ გამომიცხადა - შენმა თანამემამულეებმა ძალიან შეგვაწუხეს, დიდი ბოდიში, მაგრამ თქვენებთან ურთიერთობა აღარ გვსურს და კონტრაქტი უნდა დავარღვიოთო... ასე მომიხდა წამოსვლა. სხვათა შორის, გონჩარენკომ ბოლოს მითხრა, ბატე-ში შენ ხარ პირველი და უკანასკნელი ქართველი, ამიერიდან, აქ თქვენიანის ფეხი აღარ იქნება, მუდმივად ფულის თხოვნა ყელში ამოგვივიდაო. იქ ჩემი დაბრუნება მართლაც გამორიცხულია.

**- იქნებ ისედაც გიშვებდნენ და უბრალოდ, მიზეზად ნახეს?**

- კი, მაგრამ შეკრებაზე რატომღა წამიყვანეს? საჭირო რომ არ ვყოფილიყავი, საკონტროლო შეხვედრებში ძირითად შემადგენლობაში დამაყენებდნენ?! გამორიცხულია! მით უფრო, რომ ჩემი კონკურენტი ბელარუსის ნაკრების მცველი შპეტოვი იყო. არადა, გონჩარენკოს გარკვევით ჰქონდა ნათქვამი - წელს სასტარტოში უნდა გათამაშო, შენი იმედი მაქვსო. მეც ვხედავდი, რომ თამაში შემეძლო და მატჩიდან მატჩამდე ვუმატებდი, რადგან დასვენების დროსაც კი ვვარჯიშობდი. სამწუხაროდ, კარიერის აწყობის ეს მშვენიერი შანსი უკვე დავკარგე.

**- ახლა რომელიმე გუნდში ვარჯიშობ?**

- უგუნდოდ ვარ და ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. სიმართლე გითხრათ, ფეხბურთი შემაზიზღეს, მაგრამ მის გარეშე ცხოვრებაც რომ არ შემიძლია, რა ვქნა? დავრწმუნდი, რომ თამაში შემიძლია და ახლა ხომ არ დავანებებ თავს?! კეთილი ადამიანებისა და ღმერთის იმედად ვარ.

**- ბატე-ში რომელ პოზიციაზე თამაშობდი?**

- მარცხენა მცველად და ნახევარმცველად, საყრდენადაც. რამდენჯერმე მარჯვენა მცველადაც დამაყენეს.

**- საკმაოდ უცნაურია ის, რომ ბელარუსამდე საქართველოს უმაღლეს ლიგაშიც არ გითამაშია...**

- სხვადასხვა მიზეზით თავიდან მიშორებდნენ, პატარა ბიჭი ხარო, ზოგიც მეუბნებოდა, ვარჯიში გააგრძელე და დაგიკავშირდებითო და ასე შემდეგ. პირდაპირ თქმის თავიც არ ჰქონდათ. ბელარუსში რომ წავედი, ჩემი არსებობა მერე გაახსენდათ.

**- არც ერთი ქართული კლუბები არ დაგკავშირებია?**

- სანამ არ გავარკვევ, რომელი წინადადებაა უფრო რეალური და მისაღები, მანამ ამ თემაზე საუბარს მოვერიდები.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტზალი — ევროპის ჩემპიონატი. ელიტრაუნდი

# ფინალისთვის ლიტვაში

საქართველოს ფუტზალელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდი ეწყება. **ავთანდილ ასათიანის** (მოთამაშე-მწვრთნელი, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპზე თავადაც ითამაშა) გუნდი ხვალიდან შეუდგება საქმეს. შემადგენლობა, რომლითაც ჩვენი გუნდი ლიტვაში იასპარეზებს ასე გამოიყურება: **ლევან ზაქაიძე, ლევან გაბუჩია** (მეკარეები), **არჩილ ბოკერია, ლაშა ცნობილაძე, შოთა კუბლაშვილი, დავით ბობოხიძე, გიორგი სოზაშვილი, ირაკლი შელეგია, კახა მაისაია, კახა ახალაძე, დავით დარჩია, ნიკოლოზ ოსეფაშვილი.**

სამწუხაროდ, სავიზო პრობლემის გამო ჩვენს გუნდს ორი მოთამაშე (**დევდარიანი და თორთლაძე**) ვერ დაეხმარება, ელიტრაუნდის განრიგი კი ასეთია: 19 მარტი. იტალია-საქართველო, ლიტვა-ბელარუსი; 20 მარტი. ბელარუსი-იტალია, ლიტვა-საქართველო; 22 მარტი. საქართველო-ბელარუსი, იტალია-ლიტვა.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი და ტოტალიზატორი

# კუში ქართულად

## ჯერაც შეზღუდული თამაში პოპულარიზაციისთვის?



ტოტალიზატორმა „აჭარამ" გარისკა და უკვე საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზეც იღებს ფსონებს. ეს სიახლე წინა ტურიდან დაიწყო და რაკი ლიდერებმა, „ვიტ ჯორჯიამ" და „დინამომ", ქულები დაკარგეს, ტოტალიზატორი მოგებული უნდა დარჩენილიყო, თუმცა... აქ მეორე ვარიანტიცაა - დავუშვათ, რომ ფეხბურთელებმა დადეს ფსონი ტოტალიზატორში და ამის მიხედვით გაისარჯნენ მოედანზე. რა თქმა უნდა, ხელს ვერავის დავადებთ, უბრალოდ, გამორიცხული არაფერია და შესაბამისად, ჩნდება ახალი თავსატეხიც. როგორც უნდა იყოს, ტოტალიზატორ „აჭარას" ამ ნაბიჯმა აჟიოტაჟი გამოიწვია და ეს უკვე რაღაცას ნიშნავს.

ვარაუდებსა და ეჭვებზე საუბარი მართლაც შეიძლება. „ლელოს" კითხვებს „აჭარას" უფროსი ბუკმეიკერი გიორგი ხორავა და პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი პასუხობენ...

### გიორგი ხორავა: ვნახოთ, შეიძლება, შეზღუდვა მოვხსნათ...

**- რით არის გამოწვეული თქვენი ტოტალიზატორის ეს გადაწყვეტილება?**

- აქცენტი უფრო ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციაზე გავაკეთეთ, ვიდრე ფინანსურ მხარეზე. ჩვენ კალათბურთის ეროვნული ჩემპიონატის სპონსორები ვართ და ხვდებით ალბათ, რომ ქართული სპორტი ჩვენთვის სულერთი არ არის. შესაძლოა, საკალათბურთო ჩემპიონატის მატჩებზეც მივიღოთ ფსონები. მიგვაჩნია, რომ რადგან ამ ქვეყანაში ვსაქმიანობთ, ამ ქვეყნის პირველობის მატჩებზეც უნდა გვქონდეს ფსონები. ამით ხელს შევუწყობთ ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციას.

**- გასაგებია, მაგრამ იმაზე რას იტყვით, რომ ამ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებს შეუძლიათ, ტოტალიზატორს საკმაოდ დიდი თანხა მოუგონ, თუ გარიგებულ მატჩებს ითამაშებენ? ამით ხომ კორუფციის შანსი იზრდება...**

- ამის ალბათობა, რა თქმა უნდა, გავითვალისწინეთ და დავაწესეთ შეზღუდვები. ანუ, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე დასადები ფსონი ლიმიტირებული იქნება, მერე დავაკვირდებით ამ დინამიკას და შესაბამისად მოვიქცევით.

**- ანუ თაღლითობას არ გამორიცხავთ...**

- რადგან გვაქვს მიზეზი, ამიტომაც ვაწესებთ შეზღუდვებს.

**- პირველ ჯერზე როგორი იყო ვითარება? როგორ მიიღეს მეფსონეებმა თქვენი წამოწყება?**

- ფავორიტებმა ვერ მოიგეს და, შესაბამისად, ფსონის დამდებნიც ვერ იხეირებდნენ, თუმცა საერთო ვითარებაზე ჯერ ადრეა საუბარი, სიახლე რომ კარგად ამუშავდეს, ერთი-ორი თვე კიდევ დასჭირდება.

**- მაინც როგორია ტოტალიზატორის დამცავი მექანიზმები?**

- პირობითად ვთქვათ, რომ მაქსიმალური თანხა საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე ფსონის დასადებად 300 ლარია. იწყება ფსონების მიღება, ჩვენთან კომპიუტერული სისტემაა და სიტუაციას ვაკონტროლებთ, თუ ვნახავთ, რომ რომელიმე თამაშის ერთ შედეგზე ბევრი აკეთებს ფსონს, კოეფიციენტს შევამცირებთ. იმედი გვაქვს, ყველაფერი ნორმალურად, პატიოსნად იქნება და შეზღუდვების გაუქმება მოგვიწევს. ეს ნამდვილად არ იყო ჩვენთვის ადვილი დასაწყები, მაგრამ საჭიროა - ჩვენს ჩემპიონატს პოპულარიზაცია სჭირდება და ეს ერთ-ერთი ნაბიჯია, რომელიც ამ გზაზე უნდა გადაგვედგა.

### დიმიტრი რამიშვილი: ნდობის ფაქტორი გაზრდილია

**- როგორ აფასებთ ტოტალიზატორ „აჭარას" ამ წამოწყებას?**

- რა თქმა უნდა, ეს დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს. ტოტალიზატორი საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე ფსონების მიღებას რომ იწყებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ეროვნული პირველობისადმი ნდობა უკვე მაღალია. ეს იმითიც არის გამოწვეული, რომ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა შემცირდა და მომდევნო სეზონისთვის ათ გუნდამდე დავა. სწორი მიმართულებით მივდივართ. ვფიქრობ, საქართველოს ჩემპიონატით ახლა უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდება.

**- სამართალდამცავ ორგანოებს ჩაწყობილი თამაშების გამოძიება შარშან უნდა დაეწყოთ. ამ მხრივ თუ არის სიახლეები?**

- სამართალდამცავი ორგანოებიდან პროფლიგისთვის საკონსულტაციოდ არავის მოუმართავს.

**- როგორ ფიქრობთ, მიმდინარე ჩემპიონატში არ არის საეჭვო თამაშები?**

- ვერ დავეთანხმები შეხედულებას, თითქოს ახლაც არის ჩაწყობილი თამაშები საქართველოს ჩემპიონატში. კიდევ ერთხელ ვამბობ - ჩვენი პირველობით ტოტალიზატორი რომ დაინტერესდა, ეს სწორედ იმაზე მოწმობს, რომ ნდობის ფაქტორი გაზრდილია.

**- გაჩნდა მითქმა-მოთქმა, თითქოს უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა გაიზრდება...**

- ეს გამორიცხულია, მომდევნო სეზონისთვის უმაღლეს ლიგაში 10 გუნდი იქნება.

დავით თავართქილაძე

ინტერვიუ

გიორგი ჩიხრაძე



როგორც გაცნობეთ, ქართველ მწვრთნელთა ათეული შოტლანდიაში უეფას ეგიდით გამართულ სემინარზე იმყოფებოდა. გუშინ მათგან ერთ-ერთს, გიორგი ჩიხრაძეს გავესაუბრეთ. ცხადია, მას „ამერის" თაობაზეც ვკითხეთ. საინტერესოა, როგორ აფასებს ჩიხრაძე ერთ დროს პოპულარული გუნდის დღევანდელობასა და პერსპექტივას...

# ამერი უმაღლესში უნდა დაბრუნდეს

- სემინარები უეფას ეგიდით ჩატარდა, შოტლანდიის პატარა ქალაქ სტირლინგში მოვიყარეთ თავი... საინტერესო დღეები იყო. ჩვენ გარდა იქ ჩამოვიდნენ ფინელებიცა და ლატვიელებიც. სამდღიანი პროგრამა გვქონდა, ერთობ დატვირთულიც. თემა არა ერთი იყო - ახალგაზრდული ფეხბურთის სისტემა, მისი ჩამოყალიბება და განვითარება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მწვრთნელთა განათლება, რომელიც C-დან PRO-კატეგორიამდე ყველა სერთიფიკატს მოიცავდა... შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ ლიცენზიებისთვის გამოცდები ჩაატარა და მას ჩვენც დავესწარით. ვნახეთ შოტლანდიის ჩემპიონატის მატჩიც, რომელშიც „მოზერველმა" „დანდი იუნაიტედი" 2:1 დაამარცხა.

**- ეს გასაგებია, მაგრამ მთავარი ისაა, რამდენად წაგადგებათ შოტლანდიაში გატარებული სამი დღე?**

- როგორც თეორიული, ისე ვიზუალური სახით საკმაოდ ბევრი მასალა ჩამოვიტანეთ. ამ სემინარებისთვის სპეციალური ბროშურები, ჟურნალები და DVD-ები დაგვირიგეს... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შოტლანდიაში საკმაოდ ნაყოფიერი დღეები გვქონდა. ახლა ეს მასალები უნდა დავამუშაოთ, ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში გამოვიყენოთ და ქართულ ფეხბურთს მოვახმაროთ.

**- ახლა თქვენს გუნდზე ვისაუბროთ. საინტერესოა, როგორ მიდის „ამერის" საქმეები?**

- კარგად მიდის... აგერ, „გაგრა 2" 2:0 დავამარცხეთ და პირველ ადგილზე ვართ. თუმცა მდევრები ბევრით არ ჩამოგვრჩებიან, ჩვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაა. ეს იოლი ნამდვილად არ არის, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვნახოთ... იმედია, შევძლებთ.

**- სეზონის წინ „ამერი" წამყვანმა ფეხბურთელებმა დატოვეს. ამჟამინდელი შემადგენლობით რამდენად შესაძლებელია უმაღლეს ლიგაში დაბრუნება?**

- შეუძლებლად ნამდვილად არ მიმაჩნია. რა გითხრათ... ვიბრძვით და უმაღლესში დასაბრუნებლად ყველაფერს გავილებთ. ფეხბურთელებს მიზანი კარგად აქვთ გათავისებული და დარწმუნებული ვარ, თავს გადადებენ. რაც შეეხება შემადგენლობას, ახალგაზრდა ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ბიჭებმა გარკვეული გამოცდილება უკვე შეიძინეს. ცხადია, მათ კიდევ ბევრი აქვთ სასწავლი და საკუთარ თავზე სამუშაო. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს.

**- როგორ ჩანს, პირველი ლიგიდან უმაღლესი დივიზიონის გათამაშება? შარშანდელთან შედარებით შეიცვალა რამე?**

- ჩემპიონატს დაძაბულობა ნამდვილად არ აკლია. დასანანია, რომ სეზონის ბოლომდე „ბორჯომი" გამოუცდელი, ახალგაზრდა ფეხბურთელებით იბრძოლებს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ჭაბუკები გამოცდილებას შეიძენენ. დაძაბულობის გარდა, არის სენსაციებიც... თუნდაც ბოლო ტურის ორი მატჩი ავიღოთ, როცა ლიდერებმა შინ ქულები დაკარგეს. აქედანვე ჩანს, რომ სამეულში მოსახვედრად „ვიტ ჯორჯია", „დინამო", „ზესტაფონი" და „ოლიმპი" იბრძოლებენ.

**- თქვენი პროგნოზიც საინტერესოა. ვინ გახდება ჩემპიონი?**

- ძნელი სათქმელია, მით უმეტეს, სენსაციები ალბათ კიდევ იქნება. გააჩნია, ვინ როგორ გამოიყენებს თავის შანსს. ოქროსთვის ბრძოლაში ორი გუნდია გამოკვეთილი - „ვიტ ჯორჯია" და „დინამო". ჩემპიონატის მთავარი ტიტული ამ ორიდან ერთ-ერთს დარჩება... თუმცა მაინც ნუ ავჩქარდებით.

**- ვის მოუწევს უმაღლესი ლიგის დატოვება?**

- როგორც ჩანს, „ბორჯომმა" უკვე ხელი ჩაიქნია. ბოლო ტურში მოპოვებული უაღრესად საჭირო ქულების მიუხედავად, უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საფრთხე კვლავ ემუქრებათ „სპარტაკსა" და „გაგრას". ამ მხრივ, „მგლებმა" მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა.

დავით ცაბაძე

საქართველოს ჩემპიონატი

### აღმოსავლეთი. XX ტური

| | |
|---|---|
| გაგრა 2-ამერი | 0:2 |
| კახეთი-ნორჩი დინამოელი | გადაიდო |

ჩიხურა ისვენებდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 19 | 13 | 4 | 2 | 32-7 | 42 |
| 2. ჩიხურა | 19 | 13 | 3 | 3 | 38-13 | 42 |
| 3. ვიტ ჯორჯია 2 | 19 | 12 | 5 | 2 | 30-6 | 41 |
| 4. დინამო 2 | 19 | 7 | 7 | 2 | 31-14 | 37 |
| 5. დილა | 19 | 7 | 6 | 6 | 24-16 | 27 |
| 6. თბილისი | 19 | 7 | 3 | 9 | 27-27 | 24 |
| 7. სიონი 2 | 19 | 5 | 4 | 10 | 22-40 | 19 |
| 8. გაგრა 2 | 20 | 5 | 3 | 12 | 27-42 | 18 |
| 9. ნ/დინამო | 18 | 2 | 7 | 9 | 19-31 | 13 |
| 10. კახეთი | 18 | 2 | 5 | 11 | 9-30 | 11 |
| 11. ჰერეთი | 18 | 1 | 7 | 11 | 14-43 | 10 |

### დასავლეთი. XX ტური

**მარტვილი-მეშახტე 1:0**

1:0 იობაშვილი (87)

*მარტვილი:* შეროზია, ლომაძე, იობაშვილი, ბერიშვილი (75. პაპადოპულოსი), კვიტატიანი, ილურიძე, ჩომახიძე (68. ა. ნოზაძე), ტორაძე, ჩალაძე, გ. სილაგავა (46. ჩხიკვაძე), ციცხვაია.

*სათადარიგოები:* ფარცვანია, წოწორია, თოდუა, ქვილითაია.

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია.

*მეშახტე:* მემარნიშვილი, გოგუა, ნიქორიძე, ბოჭორიშვილი, სიჭინავა, ჯიშიაშვილი, გ. გვენეტაძე (85. ხაბურძანია), სულაბერიძე, კუტალია, ჯოხაძე, ავალიშვილი.

*სათადარიგოები:* ორბელაძე, დონაძე, რ. კალანდაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* დ. გვენეტაძე

*გაფრთხილება:* ტორაძე, ილურიძე

*გაძევება:* ბოჭორიშვილი

*არბიტრი:* კ. ჭაჭუა

### XXI ტური

**ტორპედო-მარტვილი 0:0**

*ტორპედო:* მიგინეიშვილი, ჩხარტიშვილი, ბიბილაშვილი, გურული, ფიფია (19. ჭანკვეტაძე/72 დანელია), ბესარაშვილი, ლომაშვილი, კობერიძე, ბ. ჩხეტიანი, იმედაძე, ღლონტი (54. ქუთათელაძე).

*სათადარიგოები:* კუჭუხიძე, კირკიტაძე, ვაჩიბერაძე, ცაგარეიშვილი.

*მთავარი მწვრთნელი:* კახა კარანაძე.

*მარტვილი:* ქვილითაია, იობაშვილი, ლომაძე, ბერიშვილი (69. ჩხიკვაძე), კვიტატიანი, ილურიძე, ტორაძე (56. ა. ნოზაძე), ჩომახიძე (85. წოწორია), ჩალაძე, ციცხვაია, პაპადოპულოსი.

*სათადარიგოები:* ფარცვანია, თოდუა, ენდელაძე, შეროზია.

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია.

*გაფრთხილება:* ჩალაძე, დანელია.

*არბიტრი:* ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ჭიათურა-სამტრედია 1:2**

1:0 სევასტოპულო (8), 1:1 ადეიშვილი (45), 1:2 ბეგოიძე (51)

*ჭიათურა:* ბადურაშვილი, გაფრინდაშვილი, სამხარაძე, ბრეგვაძე, თემირ მიშველიძე, ვაშაძე (73. იობიძე), ტყემალაძე, ცუცქირიძე (77. ბარათაშვილი), პაპიძე, სევასტოპულო, ლაშხი.

*სათადარიგოები:* რობაქიძე, ტატაშიძე, სარალიძე, აბესაძე, დარბაიძე.

*მთავარი მწვრთნელი:* დავით იობაშვილი

*სამტრედია:* ი. შენგელია, გოგია, ნინუა, კირთაძე, ძაგანია, ბაკურაძე (90+2 გუბელაძე), ეცადეიშვილი, ტყემალაძე, ადეიშვილი (88. შალიკაშვილი), ჯიქიძე, ბეგოიძე.

*სათადარიგოები:* შანგავა, თელია, ჟღენტი, ბოხუა, მუკბანიანი.

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერიან ჩხარტიშვილი.

*გაფრთხილება:* ლაშხი, კირთაძე.

*გაძევება:* მესიაჩენკო (სამტრედიის მწვრთნელი).

*არბიტრი:* მ. ურუშაძე

**გურია-ბაია 1:1**

0:1 რაფავა (55), 1:1 კვერენჩხილაძე (83)

*გურია:* კეკელიძე, ბრეგაძე, გოგიბერიძე, იმნაძე, ქურიძე, შეწირული (77. ლ. ციკოლია), ჯაყელი, კუკულაძე (65. მგელაძე), კილაძე, ურუშაძე, კვერენჩხილაძე.

*სათადარიგოები:* გოგუაძე, ფირცხალაიშვილი, ჯორბენაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* ავთანდილ ნარიაშვილი

*ბაია:* ზარქუა, პაჭკორია, ჟვანია, ქვარცხავა, გუგუჩია (63. შონია), ეხვაია (75. კუტალია), რაფავა, ვართაგავა, წურწუმია (85. ქაშაკაშვილი), ქირია, სვირავა.

*სათადარიგოები:* მაქაცარია, სიხარულია, შონია, კაკუშაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* ჰერბერტ ცანკერი

*გაფრთხილება:* ზარქუა, ეხვაია, კუტალია, გოგიბერიძე, კვერენჩხილაძე, ქურიძე

*გაძევება:* ქომეთიანი (ბაიას მწვრთნელი)

*არბიტრი:* ვ. გუმბერიძე

**კოლხეთი(ფ)-ხობი 4:0**

1:0 სიჭინავა (37), 2:0 გ. ციკოლია (41), 3:0 გულუა (47), 4:0 ლუსტა (73).

*კოლხეთი:* გ. შენგელია, თურქია, ლვანია, სიჭინავა, ლემონჯავა, გოგონაია (67. გოგელია), გ. ციკოლია, ლუსტა, გელაჭეიშვილი (61. რუსია), გულუა, ნიქარიშვილი (57. გვალია).

*სათადარიგოები:* ჩემია, გვიჩია, გოგნაძე, ქანდავაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* ზაზა ინიაშვილი

*ხობი:* ჭურღულია, შონია, კვირკველია, გ. გომენია, ჩაჩიბაია, ალანია, ლეფსაია, კ. გომენია, ო. შენგელია (66. ბუკია), გაგუა, გრიგოლია (46. ცობეხია).

*სათადარიგოები:* გელაშვილი, ჯამბურია, ვ. ფირცხალავა, წულაია, ლ. გომენია.

*მთავარი მწვრთნელი:* ლევან ნოდია

*გაფრთხილება:* გოგონაია

*არბიტრი:* ვ. ელისაბედაშვილი

**მეშახტე-ზესტაფონი 2 0:0**

*მეშახტე:* მემარნიშვილი, გოგუა, დონაძე, მაჩალაძე, ჯიშიაშვილი, სიჭინავა, გოდერიძე, ი. კუტალია (76. გვენეტაძე), სულაბერიძე, ჯოხაძე, ავალიშვილი.

*სათადარიგოები:* ორბელაძე, ნიქორიძე, რ. კალანდაძე, ხაბურზანია.

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

*ზესტაფონი 2:* ძაძამია, ხიხაძე, კაჭკაჭიშვილი, ხვადაგიანი, ბერუაშვილი, ც. ბუკია, კვირიკეიშვილი, აროშიძე, გ. ჯულელი (70. ლაბაძე), ჭანკოტაძე, კენჭოშვილი (80. ხაჩიძე).

*სათადარიგოები:* დოგრაშვილი, გაბუნია, კირკიტაძე, ტაბატაძე, ბერიძე.

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ლონლაძე

*გაფრთხილება:* კენჭოშვილი, სულაბერიძე, ჯიშიაშვილი, ხიხაძე, ც. ბუკია, მემარნიშვილი.

*არბიტრი:* გ. კიკაჩეიშვილი

### პირველი და ჭაბუკთა ლიგა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 19 | 13 | 2 | 4 | 34-16 | 41 |
| 2. ბაია | 19 | 12 | 5 | 2 | 33-9 | 41 |
| 3. მარტვილი | 19 | 11 | 6 | 2 | 29-15 | 39 |
| 4. კოლხეთი | 19 | 9 | 4 | 6 | 26-16 | 31 |
| 5. ხობი | 19 | 8 | 3 | 8 | 22-31 | 27 |
| 6. ტორპედო 2008 | 19 | 7 | 2 | 10 | 16-14 | 23 |
| 7. ჭიათურა | 20 | 7 | 2 | 11 | 27-30 | 23 |
| 8. გურია | 19 | 6 | 4 | 9 | 27-31 | 22 |
| 9. ზესტაფონი 2 | 19 | 5 | 5 | 9 | 16-26 | 20 |
| 10. ბათუმი | 18 | 5 | 4 | 9 | 21-31 | 19 |
| 11. მეშახტე | 18 | 1 | 3 | 14 | 9-41 | 6 |

### ჭაბუკთა ლიგა

**1991-92 წწ. XIV ტური**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-გაგრა | 4:3 |
| ოლიმპი-ბორჯომი | 2:3 |
| სპარტაკი-სიონი | 4:1 |
| ზესტაფონი-მგლები | 1:2 |
| მესხეთი-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| დინამო-U16 | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 18 | 14 | 2 | 2 | 59-14 | 44 |
| 2. გაგრა | 18 | 14 | 0 | 4 | 57-30 | 42 |
| 3. მგლები | 18 | 11 | 2 | 5 | 41-30 | 35 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 18 | 11 | 2 | 5 | 27-14 | 35 |
| 5. ნაკრები U16 | 18 | 10 | 1 | 7 | 55-27 | 31 |
| 6. ზესტაფონი | 18 | 10 | 1 | 7 | 41-22 | 31 |
| 7. სპარტაკი | 18 | 8 | 4 | 6 | 33-21 | 28 |
| 8. ლოკომოტივი | 18 | 6 | 1 | 11 | 26-47 | 19 |
| 9. ბორჯომი | 18 | 5 | 3 | 10 | 25-44 | 18 |
| 10. ოლიმპი | 18 | 4 | 3 | 11 | 40-50 | 15 |
| 11. სიონი | 18 | 4 | 1 | 13 | 21-50 | 13 |
| 12. მესხეთი | 18 | 0 | 2 | 16 | 12-88 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# კვარაცხელია კაპიტნად დაბრუნდა

## რას აკეთებს ლუკაშენკო ბელარუსული ფეხბურთისთვის...

29 წლის გია კვარაცხელია ბელარუსის ჩემპიონატის ერთ-ერთ წამყვან კლუბ „მტზ-რიპოს“ დაუბრუნდა. ეს გუნდი მან შემოდგომაზე დატოვა და მინსკელებთან კონტრაქტის გაწყვეტასაც აპირებდა. საქმე ის იყო, რომ კლუბს ფეხბურთელის ოთხი თვის სახელფასო დავალიანება დაუგროვდა...

საბოლოოდ, „მტზ-რიპოს“ პრეზიდენტმა **ვლადიმირ რომანოვმა** ქართველი ნახევარმცველი დარჩენაზე დაითანხმა, ვალები გაუსტუმრა და ახლა გია კმაყოფილია - ფიფას საარბიტრაჟო კომიტეტისთვის საჩივრით აღარ მიუმართავს. კვარაცხელია კლუბში პატივით მიიღეს და კაპიტნის რანგშიც აღადგინეს. წამოსვლამდეც ასე იყო - მოედანზე გუნდი სწორედ ქართველს გაჰყავდა.

„მათგან ნდობამ გამახარა. სამკლაური შარშან გადმომცეს, რადგან ჩვენი კაპიტანი ალექსანდრ სულიმა დისკვალიფიცირებულია. შარშანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთ შეხვედრაში მან მსაჯს ხელი გაარტყა და კინაღამ სამუდამოდ მოკვეთეს ფეხბურთიდან. საბოლოოდ, მხოლოდ ერთწლიანი სასჯელი აკმარეს. ამის შემდეგ გუნდი შეიკრიბა და მთავარმა მწვრთნელმა, ჩემდა მოულოდნელად, ფეხბურთელებს განუცხადა, რომ კაპიტნად მე მნიშნავდა. აღმოჩნდა, რომ ბიჭებიც არ იყვნენ წინააღმდეგნი. თუმცა, მას მერე „მტზ-რიპოდან“ წამოვედი და კლუბს ახალი კაპიტანი დაუნიშნეს. მოსამზადებელ ეტაპზე გუნდი მოედანზე ხან მე გამყავდა, ხან სულიმას. ახლა კი, სეზონი რომ დაიწყო, მწვრთნელმა კიდევ ერთხელ გამოაცხადა - ჩვენი კაპიტანი კვარაცხელია იქნებაო. ასე იქნება სულიმას დაბრუნებამდე. მას დისკვალიფიკაციის ვადა აპრილში უმთავრდება. საშა ძალიან კარგი ადამიანია, ჩასვლისთანავე დავუახლოვდი და დღესაც ახლოს ვართ ერთმანეთთან. ის გუნდში ოთხი წელია თამაშობს, „მტზ-რიპოს“ აღიარებული ლიდერია“, - გვითხრა კვარაცხელიამ.

ბელარუსში სეზონი კვირას გახსნა და „მტზ-რიპო“ კაპიტნის სამკლაურით მოედანზე სწორედ ქართველმა ფეხბურთელმა გაიყვანა. მინსკელები ქვეყნის თასის მეოთხედფინალში გროდნოს „ნემანს“ შეხვდნენ. გიამ თამაში შეუცვლელად ჩაატარა, მისი გუნდი კი მხოლოდ ფრეს დასჯერდა - 0:0. კვარაცხელია არ ნანობს ლიტვიდან ბელარუსში გადასვლას და დარწმუნებულია, რომ ეს სლავური ქვეყანა პოსტსაბჭოური ფეხბურთის არეალში მალე ერთ-ერთი მოწინავე გახდება. აი, რას გვიყვება კვარაცხელია:

„ბელარუსის პრეზიდენტ ანატოლი ლუკაშენკოს სპორტი ძალიან უყვარს. ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა კიდეც, ბავშვობაში ფეხბურთელობაზე ვოცნებობდიო. მას კარგად მოეხსენება, რომ იქაურ ფეხბურთს დახმარება სჭირდება. ახლა ლუკაშენკომ ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმადაც ფეხბურთში ფულის ჩადების მსურველმა ინვესტორმა და ასევე, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მშენებელმა კომპანიებმა საგადასახადო შეღავათები მიიღეს. ბოლოდროინდელი ფინანსური კრიზისი ყველას დაეტყო, მათ შორის, ბელარუსულ კლუბებსაც. პირადად ჩემს მაგალითზე გეტყვით - გუნდის დატოვებას იმიტომაც ვაპირებდი, რომ ფულს ვერ მიხდიდნენ. „ბატკამ“, როგორც ლუკაშენკოს ბელარუსები ეძახიან, კარგად გაიაზრა, რომ ასეთ ვითარებაში საფეხბურთო კლუბებს მძიმე მომავალი ემუქრებოდათ. ეკონომიკური კრიზისის პირობებშიც კი იქაური კლუბები პრობლემებს კარგად უმკლავდებიან. ასე თუ გაგრძელდა, დარწმუნებული ვარ, ბელარუსული ფეხბურთი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ერთ-ერთი მოწინავე გახდება... სხვათა შორის, ახლაც მაღალი დონისაა, რუსეთსა და უკრაინას ჯერ ვერ სჯობს, მაგრამ ლიტვას ნამდვილად ვერ შევადარებ. გადასახადების შემცირებით კი უფრო დიდი პერსპექტივა გაჩნდა. ლუკაშენკო ამბობს, რომ ბელარუსულ ფეხბურთს უმაღლეს დონეზე განავითარებს და საამისოდ ყველაფერს აკეთებს. ეს კი ბორისოვის ბატე-ს დამსახურებაა, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში გავიდა და ამით ბელარუსის ფეხბურთისთვის უდიდესი საქმე გააკეთა. რომ დაინახეს, ბატე-ს წარმატება ხალხს რამხელა სიხარულს ანიჭებდა, ამიტომაც გადაწყვიტეს ფეხბურთის დახმარება“.

მერაბ მამულაშვილი


გია კვარაცხელია


ზურაბ ხიზანიშვილი (№18)

# ცენტრს არ მოსცილდე, ჩაშალე და გადააწოდე...

## კოპალას ბიჭი და კუპერის ფილოსოფია. მენთეშაშვილს ლატვიაში უკვე სუნთქვაც უჭირს

„კოპალას ბიჭები“ - იყო დრო, ასე ეძახდნენ საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების იმ ფეხბურთელებს, რომელთა მწვრთნელიც **ვახტანგ კოპალეიშვილი** გახლდათ. ის თაობა, 1980 წელს დაბადებულთა გუნდი, მართლაც საინტერესო ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, თუნდაც **ლაშა ჯაკობია** გავიხსენოთ...

ახლა კი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში „კოპალას ბიჭებიდან“ მხოლოდ **ზურაბ მენთეშაშვილი** თამაშობს. ის სტაბილურია, არ უყვარს აფეთქებები, არ თამაშობს თვალისმომჭრელად, მაგრამ უამისოდაც სასარგებლოა გუნდისთვის. მენთეშაშვილს ნაკრებში იძახებდა **კლაუს ტოპმიოლერი** და მის სამსახურზე არც **ექტორ კუპერი** ამბობს უარს - ზურა ხომ გამოცდილი ნახევარმცველია და ბურთის ართმევაში ბევრი ვერ გაეჯიბრება საქართველოს ნაკრებში.

„ჯერ არ ვიცი, კვიპროსსა და ჩერნოგორიასთან მატჩებისთვის გამოძახებული ვარ თუ არა, თუმცა ფეხბურთის ფედერაციიდან ჩემი პასპორტი მოითხოვეს კვიპროსული ვიზისთვის და, ალბათ, ნაკრებში მიხმობენ“, - იმედიანადაა მენთეშაშვილი, რომელიც ლატვიური „ვენტსპილსის“ ფეხბურთელია და ახლახან დაწყებული ჩემპიონატის პირველივე ტურში „დაუგავას“ სტუმრად გოლიც გაუტანა.

„ძალიან ძნელია დარბაზში თამაში, თან საფარიც არ ვარგოდა... ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მინი-ფეხბურთს ვთამაშობდი. ლატვიაში თოვლია და მინდორზე ჯერ ვერ ვითამაშებთ, თუმცა დარბაზი და ხელოვნური მოედანიც ხელს უშლის ფეხბურთს - ნორმალურად ვერც თამაშობ და ვერც სუნთქავ“, - წუხს მენთეშაშვილი დისკომფორტის გამო.

ლატვიაში ის მეცხრე სეზონს ატარებს. ორჯერ რუსეთში სცადა ფეხის მოკიდება - ჯერ ვლადიკავკაზის „ალანიაში“, მერე კი იაროსლავლის „შინიკში“, მაგრამ ამ გუნდებში ერთ სეზონზე მეტხანს ვერ გაჩერდა.

„რატომ ვერ გავცდი ლატვიას? ალბათ, ჯვარი მაქვს მასზე დაწერილი... ეს ხუმრობით, ისე კი, სხვაგან რომ ვერ გადავედი, არაერთი ფაქტორითაა გამოწვეული. აქ გამართლებაცაა და შესაძლოა, არ ვარ იმ დონის ფეხბურთელი, სხვა ქვეყანაში რომ ვითამაშო. ლატვიაში თამაში კი ნამდვილად აღარ მინდა“, - თავმდაბლობა ზურას ერთ-ერთი კარგი თვისებაა.

მენთეშაშვილს ნაკრებზე რომ ჩამოვუგდეთ სიტყვა, ბოლო თამაშზე გვითხრა - არ ვიცი, კუპერმა დუბლინში 70-ე წუთზე რატომ შემცვალა, ყოველ შემთხვევაში, გადაღლის ბრალი არ ყოფილაო...

„საქართველოს ნაკრებს ბევრი პრობლემა აქვს, მაგრამ არ მგონია, ჩვენთვის ბურთის დაჭერა იყოს რთული“, - მიაჩნია მენთეშაშვილს, თუმცა მისი აზრი ერთობ საკამათოა. იმავე ირლანდიასთანაც ნათლად გამოჩნდა, რომ იმ შეხვედრაში ნაკრებს სწორედ ბურთის დამჭერი ნახევარმცველები აკლდა.

„კუპერი მეტოქის შეტევების ჩაშლას მავალებს, მოედნის ცენტრს არ უნდა მოვცილდე, თუ ფლანგზე ავართმევ ბურთს, საპირისპირო ფლანგზე უნდა გადავიტანო, თუმცა კატეგორიულად არავინ მავალებს, პასი წინ უნდა გავაკეთო, უკან თუ განზე, მთავარია, ართმეული ბურთი არ დავკარგო და თანაგუნდელს გადავაწოდო“, - გვითხრა მენთეშაშვილმა, რომელიც ნაკრებში ხშირად კონკურენციის გარეშე რჩება, რადგან ბურთის ხეირიანად ამრთმევიც არ გვყავს ბევრი...

დავით თავართქილაძე

## გოლი სამი თვის მერე

ისრაელის პრემიერლიგაში 45 ქულით ლიდერობს ჰაიფას „მაქაბი“, რომლის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **გიორგი დარასელიაა**. ლეუმითლიგაშიც „ქართული“ გუნდია ლიდერი - ჰაიფას „ჰაპოელს“ 45 ქულა აქვს და მდევრებს 4-4 ქულით უსწრებს. ბოლო ტურში ამ გუნდმა **ირაკლი გეფერიძის** გოლით რაანანაში ადგილობრივი „ჰაპოელი“ დაამარცხა - 1:0. ქართველმა ფორვარდმა გამარჯვების გოლი 34-ე წუთზე გაიტანა. 67-ე წუთზე კი **კიალ მოჰამედით** შეცვალეს. ეს მისი მე-6 გოლია ჩემპიონატში. მას ნოემბრის მერე აღარ გაეტანა...

მეორე ბუნდესლიგაში „მაინცთან“ შინ 0:2 დამარცხდა ვისბადენის „ვეენი“. როგორც ვივარაუდეთ, ტრავმის გამო არ უთამაშია **ლევან ცქიტიშვილს**. „ვეენი“ 17 ქულით ბოლო ადგილზეა და სამშვიდობომდე მთელი 9 ქულა აშორებს.

ყაზახურ პრემიერლიგაში მეორე ტურის მატჩები გაიმართა. **ლაშა ჭელიძის** „ჟეტისუ“ „ორდაბასის“ ესტუმრა და 0:0 დაუზავდა. ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა. **ზვიად ჯელაძის** „ვოსტოკი“ შინ 1:3 დამარცხდა ყარაღანდის „შახტიორთან“. გუნდის ქართველმა კაპიტანმა შეუცვლელად ითამაშა. **გიორგი ფეიქრიშვილის** „ატირაუ“ სტუმრად 0:1 დამარცხდა „ყიზილჟართან“. გიორგი 59-ე წუთზე შეცვალეს.

## გრიგალავა მომჯობინდა

რუსეთის პირველობა **გია გრიგალავას** გარეშე დაიწყო, „მოსკვას“ ახალწვეულს პირველ ტურში არ უთამაშია. ამის მიზეზი გაცივება ყოფილა. 19 წლის მცველი ახლახან შეუდგა გუნდთან ერთად ვარჯიშს. „სპორტექსპრესის“ ცნობით, შემდეგი ტურისთვის გრიგალავა სრულ მზადყოფნაში იქნება.

## ქართულ პასპორტს სამი ინარჩუნებს

რამდენი ქართველი ლეგიონერი ჰყავს მახაჭყალის „ანჟის“? მწვრთნელიანად 8, უპასუხებთ და არ იქნებით მართალი - რუსეთის პირველ დივიზიონში ლეგიონერებზე ლიმიტის გვერდის ავლის მიზნით, მათი უმეტესობა რუსეთის მოქალაქე გახდა. გუშინ „ანჟის“ ოფიციალურმა საიტმა გამოაქვეყნა სიახლე, რომელზეც „ლელო“ უკვე წერდა: რუსეთის მოქალაქეობა სამმა ჩვენებურმა მიიღო, **გიორგი ნავალოვსკიმ**, **ედიკ საჯაიამ** და **გოჩა ხოჯავამ** (რომელიც ორი დღის წინათ 24 წლის შესრულდა). რუსეთის მოქალაქეები არიან: ტრანსფერზე დაყენებული **რევაზ ჯიქია**, **ზურაბ არზიანი**. ასე რომ, საქართველოს მოქალაქეობა მხოლოდ **კახა ალადაშვილს**, **ოთარ მარცვალაძესა** და **სანდრო იაშვილს** დარჩათ. ჩემპიონატის პირველ მატჩს **ომარ თეთრაძის** გუნდი 28 მარტს სტუმრად „ნიჟნი ნოვგოროდთან“ გამართავს.

## აშვეთია და აბრამიძე დინამოში

ბარნაულის „დინამო“, რომელიც ახალი სეზონიდან რუსეთის მეორე დივიზიონში ითამაშებს, წინასასეზონო შეკრებას თურქეთში გადის. გუნდთან ერთად ორი ქართველია: **ვალერი აბრამიძე** და **მიხეილ აშვეთია**, ორივე სინჯებზე იმყოფება. პირველ მატჩში „დინამო“ რუსულ „სატურნ-2-ს“ დაუზავდა - 0:0. აშვეთიამ მეორე ტაიმი ითამაშა, აბრამიძემ - მთელი მატჩი. „დინამომ“ მეორე სპარინგში ბელარუსულ „მინსკს“ 1:0 მოუგო. „მინსკთან“ გამარჯვების გოლი 65-ე წუთზე მიხეილ აშვეთიამ თავით გაიტანა. აშვეთიამ და აბრამიძემ 90-90 წუთი ითამაშეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სატრანსფერო საგა

# ზლატანი მიდის?

## იბრას ახალი თავგადასავალი სჭირდება...



გუშინდელმა „გაძეტა დელო სპორტმა" **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** შესახებ მეტად საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. ავტორიტეტული აპენინური გამოცემა იუწყება, რომ შვედი თავდამსხმელი კლუბის გამოცვლას აპირებს და თვალი ესპანეთისკენ უჭირავს. „გაძეტას" ჟურნალისტი გვიმტკიცებს, რომ ინფორმაცია სანდო წყაროსგან აქვს მიღებული. მის ეჭვებს იბრაჰიმოვიჩის აგენტის სიტყვებიც აძლიერებს, რომელიც გუშინ იტალიურ პრესაში გავრცელდა. **მინო რაიოლამ** შემდეგი განაცხადა: *„ჩემი კლიენტი მილანში თავს კარგად გრძნობს და წასვლის სურვილი ჯერ არ გამოუთქვამს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამომავლოდ ასეთი რამ გამორიცხულია. იბრაჰიმოვიჩი პატიმარი არ გახლავთ, ის თავისუფალი ადამიანია და აქვს უფლება არჩევანი გააკეთოს".*

აგენტის ამ სიტყვებს ჟურნალისტებმა თავისებური ახსნა მოუძებნეს და შესაბამისი დასკვნაც გამოიტანეს: იბრას წასვლა უნდა! შესაძლოა, ზლატანი მართლაც დაიღალა ევროასპარეზზე „ინტერის" მუდმივი წარუმატებლობით და ახალ თავგადასავალს ეძებს. „გაძეტა" უფრო შორსაც მიდის და იბრაჰიმოვიჩს „ბარსელონასთან" აკავშირებს.

**ხოსეპ გვარდიოლას** ყელში ამოუვიდა **სამუელ ეტოოს** კაპრიზები და როგორც ამბობენ, მის შემცვლელს ეძებს. ზლატანი იდეალური ვარიანტია და თუ „ინტერი" მოისურვებს, იბრას სანაცვლოდ, ფულთან ერთად კამერუნელსაც მიიღებს. მოლაპარაკებები წესით მალე უნდა დაიწყოს და ზაფხულისთვის დასრულდეს, სწორედ ასეთი გეგმები ამოძრავებთ მხარეებს, წერს „გაძეტა".

იბრაჰიმოვიჩის გადაბირება სდომებია **ფლორენტინო პერესსაც** და ეს ერთხელ ჟურნალისტთან საუბარშიც დაუფიქსირებია. ამ კაცს რომ ბევრი რამე შეუძლია, თავადაც მოგეხსენებათ, ასე რომ, იბრას შესაძლოა მადრიდიდანაც შეეხმიანონ. ეგაა, რომ პერესი ჯერ „რეალის" პრეზიდენტი არ გახლავთ და ქმედებებს არჩევნებში გამარჯვებამდე ვერ დაიწყებს.

ერთი სიტყვით, ამ ზაფხულს შესაძლოა ახალი სატრანსფერო საგა ვიხილოთ, რომლის გმირიც ზლატან იბრაჰიმოვიჩი იქნება.

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

## ფერგიმ წესი დაარღვია

„მანჩესტერ იუნაიტედის" დამრიგებელი სერ **ალექს ფერგიუსონი** ჯერ კიდევ „ოლდ ტრეფორდზე" „ლივერპულთან" მატჩის დაწყებამდე გახლდათ უგუნებოდ. დამარცხების შემდეგ კი იმდენად ცუდ ხასიათზე დადგა, რომ ტელეკომპანია „სქაი სპორტსს" ინტერვიუს მიცემაზე უარი უთხრა. ამით მან პრემიერლიგის გადაწყვეტილება გააპროტესტა, რომლის თანახმადაც ჩემპიონებს მატჩის ერთი დღით გადადებაზე უარი უთხრეს. შეგახსენებთ, რომ „ეშმაკებმა" ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში „ინტერს" უმასპინძლეს და 2:0 დაამარცხეს. მერსისაიდელებთან თამაშამდე კი მათ ძალების აღსადგენად სულ რაღაც 48 საათი ჰქონდათ, რაც, ბუნებრივია, საკმარისი სულაც არ არის. ლიგაში „ლივერპულმაც" ითამაშა, მაგრამ მას დასვენებისთვის სრული სამი დღე ჰქონდა. შოტლანდიელ სპეციალისტს პროტესტის ამგვარი ფორმით გამოხატვისთვის, სავარაუდოდ, ფინანსური სანქცია ელის, რადგან „სქაი სპორტსი" პრემიერლიგის ოფიციალური პარტნიორია და მასთან ურთიერთობა მატჩის ყოველი მონაწილის ვალდებულებაა.

## რივერსაიდიდან მერსისაიდში?

„ლივერპულს" „მიდლსბროდან" ცენტრალური მცველის **დევიდ უიტერის** გადაბირება უნდა. 21 წლის ფეხბურთელს ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს და შესაბამისად, მისი გადაბირება იაფი არ დაჯდება. ჟურნალისტების ვარაუდით, ფეხბურთელის ფასი 5-დან 7 მილიონ გირვანქამდე იქნება. ახოვანი ფეხბურთელის (196 სმ) შეძენა **რაფა ბენიტესს** სათადარიგოთა სკამის შესავსებად სჭირდება. მოგეხსენებათ, სეზონის დასრულების შემდეგ კლუბის დატოვებას გეგმავს **დანიელ აგერი**, რომელიც კარიერას, სავარაუდოდ, „მილანში" განაგრძობს.

აქვე გეტყვით, რომ დევიდის ანგარიშზე ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში ჩატარებული 6 შეხვედრაა.

## ღამურები დღის სინათლეზე გამოდიან

მოგეხსენებათ, ესპანური „ვალენსია" უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. საქმე დიდი ხანია იქამდეც კი მივიდა, რომ კლუბის ფეხბურთელებს ხელფასებსაც კი ველარ უხდის. გამოსავალი ერთადერთია – "ღამურებმა" წამყვანი ფეხბურთელები უნდა გაასხვისონ. პირველ რიგში, ლაპარაკია **დავიდ სილვასა** და **დავიდ ვილიაზე**. ესპანეთის ნაკრების უნიჭიერესი მარცხენა ნახევარმცველის შეძენის მსურველთა შორის სახელდებიან „იუვენტუსი" და „არსენალი". რაც შეეხება ვილიას, მისი სამსახური ლამის ნახევარ ევროპას უნდა. ლაპარაკია „არსენალის", „ჩელსის", „ბარსელონასა" და „მანჩესტერ სიტის" ვარიანტებზე.

ბუნებრივია, თუკი კლუბმა ლიდერები გაუშვა, მათ შემცვლელად ვილაცების გადაბირება ნამდვილად მოუწევს. ჰოლანდიურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ „ღამურები" „ფეიენოორდის" მარცხენა გარემარბის **დიეგო ბისესვარის** შეძენით არიან დაინტერესებულნი. 21 წლის ფეხბურთელმა როტერდამელებთან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვა და სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება. მისი შეძენა ასევე სურთ „ეინდჰოვენს", „ბენფიკასა" და „ტვენტეს".

„ვალენსიაში" ერთი ჰოლანდიელი უკვე ირიცხება - ლაპარაკია „აიაქსის" აღზრდილ **ჰედვიგ მადუროზე**.

## პერენვენმა ტალანტები იპოვა

„ჰერენვენმა" ორი აღმოსავლეთევროპელი არასრულწლოვანი ფეხბურთელი გადაიბირა. კერძოდ, 17 წლის სერბი გარემარბი **ფილიპ ჯურიჩიჩი** და ამავე ასაკის მაკედონიელი **სამირ ფაზლი**. ფეხბურთელები ერედივიზიონში სათამაშოდ მხოლოდ მას შემდეგ გადავლენ, რაც 18 წლის ასაკს მიაღწევენ. ფაზლი სამშობლოში უმაღლესი ლიგის გუნდის პარალელურად 17-წლამდელთა ნაკრებშიც ასპარეზობს, რაც შეეხება ჯურიჩიჩს, ის სერბეთის მესამე ლიგაში თამაშობდა, თუმცა მისი გადაბირება რამდენიმე კლუბს უკვე სურდა, მათ შორის „აიაქსსაც".

## ლიედსონზე მოთხოვნა იზრდება

ლისაბონის „სპორტინგის" თავდამსხმელ **ლიედსონზე** მოთხოვნა თანდათან იზრდება. ბრაზილიელი ლისაბონურ კლუბში უკვე ექვსი წელია წარმატებით თამაშობს და ამ ხნის განმავლობაში სტაბილურად გააქვს გოლები. სულაც არ არის გასაკვირი, რომ მისით შედარებით უფრო ამბიციური კლუბები არიან დაინტერესებულნი. ესპანური პრესის ცნობით, თავდამსხმელის შეძენა „მარსელს", „სევილიას", „სელტიკსა" და „შახტარს" უნდათ.

აღსანიშნავია, რომ ლიედსონმა სულ ახლახან პორტუგალიის ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა. 31 წლის ფეხბურთელმა პორტუგალიის მოქალაქეობა რამდენიმე თვის წინ მიიღო. ფეხბურთელი აგენტი **ჟილმარ ველოზი** „სპორტინგის" ხელმძღვანელთა ნებართვის შემდეგ დაინტერესებულ კლუბებთან მოლაპარაკებას დაიწყებს.

**შალვა ბიბილაშვილი**

დიდი ცვლილებების მოლოდინში

# ახალი ევროპული ლიგა?

## რა ბედი ელით ჩემპიონთა ლიგასა და ეროვნულ ჩემპიონატებს...

„ფრანს ფუტბოლის" ცნობით, ევროპის წამყვანმა კლუბებმა ახალი ევროპული ჩემპიონატის მოწყობა განიზრახეს. ჩემპიონატს სამი დონის ლიგა ექნება. თითოეულ ლიგაში 20-22 კლუბი ითამაშებს. იდეის ავტორებს სურთ, რომ ახალმა გათამაშებამ ჩემპიონთა ლიგა ჩაანაცვლოს. ჩემპიონთა ლიგის ჩანაცვლების იდეა არახალია. G14 სუპერლიგის ჩამოყალიბებას ცდილობდა, მაგრამ ევროპის უმდიდრესი კლუბების გაერთიანება ისე დაიშალა, რომ მის იდეას განხორციელება არ დასცალდა. G14-ის ადგილას ევროპის კლუბების ასოციაცია შეიქმნა. ასოციაცია 100-ზე მეტ კლუბს აერთიანებს. ახალი ჩემპიონატის იდეაც ამ ორგანიზაციამ წამოაყენა.

G14-ისაგან განსხვავებით, ევროპის კლუბების ასოციაციას უეფასთან თანამშრომლობა სურს. უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** განაცხადა, რომ უეფა დემოკრატიული ორგანიზაციაა და მისი კარი ღიაა ნებისმიერი ორგანიზაციისათვის, რომელსაც ფეხბურთის განვითარების საკუთარი ხედვა გააჩნია: *"მზად ვართ, მოვუსმინოთ განსხვავებულ იდეებს და გავითვალისწინოთ ყველა დეტალი, თუმცა გადაწყვეტილებას ამა თუ იმ იდეის პრაქტიკული განხორციელების თაობაზე უეფას აღმასრულებელი კომიტეტი მიიღებს."*

თუ კლუბების ასოციაციის იდეას მოიწონებენ, ახალი ლიგის გათამაშება 2012-13 წლების სეზონიდან დაიწყება. ევროპელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ეს მოვლენა მთლიანად შეცვლის ბებერ კონტინენტის საფეხბურთო ლანდშაფტს. ევროპულ ლიგაში ერთი სეზონის განმავლობაში 38 ან 42 ტური ჩატარდება. ევროპის საუკეთესო კლუბებს საკუთარი ეროვნულ ჩემპიონატებისათვის დრო პრაქტიკულად აღარ დარჩებათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპულ ფედერაციებს ადგილობრივი ჩემპიონატების ფორმატის გადახედვა მოუწევთ. პირველ რიგში მატჩების რაოდენობის შესამცირებლად, რათა საუკეთესო კლუბებმა ევროპულ ლიგაში წარმატებისათვის იბრძოლონ.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ მომავალი სეზონიდან უეფას თასს ახალი სახელი, ევროპის ლიგა დაერქმევა და განახლებული ფორმატით წარდგება გულშემატკივრების წინაშე.

**შალვა ბიბილაშვილი**



მუნდიალი 2018 და 2022

# კანდიდატები ცნობილია

ფიფამ განაცხადა, რომ 2018 და 2022 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების სამასპინძლოდ უკვე 11 განაცხადია წარდგენილი. კანდიდატი ქვეყნები არიან: ავსტრალია, ინგლისი, ინდონეზია, იაპონია, მექსიკა, კატარი, რუსეთი, სამხრეთი კორეა და აშშ. ამათ გარდა, ერთობლივი პროექტები წარადგინეს ბელგიამ და ჰოლანდიამ (რომელთაც ევრო 2000-ის პროექტი უმაგრებთ ზურგს), აგრეთვე ესპანეთმა და პორტუგალიამ. ჩამოთვლილი ქვეყნებიდან კატარმა და სამხრეთმა კორეამ მხოლოდ 2022 მუნდიალის მასპინძლობაზე გააკეთეს განაცხადი.

ფიფას განცხადებაში ნათქვამია, რომ კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა ორშაბათს, შვეიცარიის დროით, შუაღამის 12 საათზე ამოიწურა. ფიფას 24-კაციანი აღმასრულებელი კომიტეტი ორ გამარჯვებულ ქვეყანას 2010 წლის დეკემბერში გამოავლენს. აი, რა განაცხადა მსოფლიოს ფეხბურთის მმართველი ორგანოს პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა**: *"უაღრესად კმაყოფილნი ვართ იმით, რომ ჩვენი უპირველესი ტურნირი მსოფლიოში ამხელა ინტერესს იწვევს. კანდიდატი ქვეყნები სხვადასხვა კონტინენტებს წარმოადგენენ. რასაკვირველია, ზოგიერთ მათგანს უკეთესი შანსი აქვს, მაგრამ მოვლენებს ნუ გავუსწრებთ. წინ საინტერესო შესარჩევი პროცედურა გველის. საყოველთაო ინტერესმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში უნივერსალური მნიშვნელობის მოვლენაა."*

მუნდიალს, რომელშიც 32 გუნდი მონაწილეობს და რომელიც ოთხი კვირის განმავლობაში გრძელდება, მილიარდობით დოლარის შემოსავალი მოაქვს. შემოსავლის ძირითადი წყაროებია სატელევიზიო კონტრაქტები, ტურიზმი და მარკეტინგი. თუმცა სანამ მილიარდებს იშოვიან, მასპინძელთა ქვეყნებმა ინფრასტრუქტურის გასავითარებლად არანაკლები ინვესტიციები უნდა დააბანდონ. მუნდიალი ვერ ჩატარდება ქვეყანაში, სადაც სათანადო დონეზე არაა განვითარებული გზების, აეროპორტებისა და სასტუმროების ქსელი.

კანდიდატებს მოეთხოვებათ 12 სტადიონის ქონა, რომელთაგან თითოეული მინიმუმ 40 ათას მაყურებელი უნდა იტევდეს, ხოლო ერთი სტადიონი მინიმუმ 80 ათას მაყურებელზე უნდა იყოს გათვლილი. სწორედ ამ სტადიონზე უნდა გაიმართოს ჩემპიონატის გახსნისა და საფინალო მატჩები. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის მუნდიალის სამასპინძლოდ, საუკეთესო შანსი ევროპის კონტინენტს აქვს. მოგეხსენებათ, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკაში გაიმართება, ხოლო 2014 წლის ტურნირი – ბრაზილიაში.

იქ ქვეყნებს შორის, რომელთაც ფიფაში განაცხადები წარადგინეს, ხუთს მინიმუმ ერთხელ მაინც გაუმართავს მუნდიალი. ეს ქვეყნებია: ინგლისი (1966), მექსიკა (1970 და 1986), აშშ (1994), აგრეთვე სამხრეთი კორეა და იაპონია, რომელთაც 2002 წლის მუნდიალი ერთობლივად ჩაატარეს.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

დიეგო არმანდო მარადონა

# რიკელმე ზედმეტმა პატივმოყვარეობამ აცდუნა



მას შემდეგ, რაც მარადონა არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, ჩვენს გაზეთში მის შესახებ საკმაოდ ხშირად გვიწევს წერა. მაგრამ ასე მხოლოდ ჩვენთან არ ხდება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ლეგენდარულ არგენტინელზე სისტემატიურად ლაპარაკობენ და ახალ ამბებსაც ოპერატიულად აშუქებენ. ხუან რომან რიკელმეს მიერ ალბისელესტედან წასვლის გადაწყვეტილების გამო, დიდი დიეგო ჟურნალისტების სამიზნე კიდევ ერთხელ გახდა. მართალია, მან ამ თემას პრეს-კონფერენცია მიუძღვნა, მაგრამ საზოგადოება მისი მოკლე განცხადებით არ დაკმაყოფილდა და რადიოსადგურ „ვოს დე ბუენოს აირესის“ რედაქციამ მარადონა პირდაპირ ეთერში დაპატიჟა. სასიხარულოა, რომ ვრცელი ინტერვიუ მხოლოდ რიკელმეს წასვლით არ შემოიფარგლა და მარადონამ სხვა მრავალ საინტერესო საკითხზეც ისაუბრა, თუმცა ჟურნალისტმა მას, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რომანის გადაწყვეტილების შეფასება სთხოვა.

**- რიკელმეს წასვლაზე ისეთი თავშეკავებული განცხადება გააკეთეთ, ყურებს არ დავუჯერე. ნუთუ მართლა არ ხართ გაბრაზებული?**

- მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ რომანის გადაწყვეტილებამ გული მატკინა. როგორ შეიძლება, მისი დონის ფეხბურთელის წასვლა მწვრთნელს გაუხარდეს, მაგრამ მე ვერაფერს გავაწყობ. ძალით ხომ არ დავაბრუნებ? პრესკონფერენციაზეც ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ. მიუხედავად იმისა, რომ მან ნაკრებიდან აზარგება გადაწყვიტა, ალბისელესტეს კარს არ დავუხურავ. რომანს შეუძლია, მშვიდად დაჯდეს, ყველაფერი აწონ-დაწონოს და თუ მოუნდება, უკან დაბრუნდეს.

**- არა მგონია, მარადონა ვინმეს უსასრულოდ დაელოდოს. მათ შორის, რომანს...**

- უსასრულოდ არც მე ვარ ამ თანამდებობაზე დანიშნული. რა თქმა უნდა, აუცილებელია, რომ რიკელმემ გადაწყვეტილება შეძლებისდაგვარად მალე მიიღოს, თუმცა მეშინია, სასაცილო მდგომარეობაში არ ჩავიგდოთ თავი. ჩვენ აქ მის შესაძლო დაბრუნებაზე ვლაპარაკობთ, ის კი, შესაძლოა, ამ ნაბიჯის გადადგმას კატეგორიულად გამორიცხავს. ალბათ, ასეც იქნება, რადგან რომანი ზრდასრული ადამიანია და გუშინ ნათქვამ სიტყვას დღესვე არ გადათქვამს. უბრალოდ, იმის თქმა მსურს, რომ ალბისელესტეში დაბრუნების შანსს არ ვუსპობ.

**- თქვენ არგენტინასთან და პატრიოტიზმთან ასოცირდებით. ასეთი მენტალიტეტის კაცისთვის ნაკრებისთვის ზურგის შექცევა როგორ აღიქმება?**

- ვერ ვიტყვი, რომ რიკელმემ სამშობლოს უღალატა, თუმცა სხვანაირადაც შეეძლო მოქცეულიყო. თუ მიიჩნევს, რომ მარადონა უსამართლოდ მოეპყრო, სჯობდა, ჯერ მე დამლაპარაკებოდა და ამის შემდეგ კარგად აწონილი გადაწყვეტილება მიეღო. სამწუხაროდ, ის გაცხარდა. ეწყინა, საფრანგეთში რომ არ წავიყვანეთ და ეროვნული გუნდი დატოვა. მე მას, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები, მაგრამ მაინც პატივს ვცემ, რადგან ნებისმიერი ადამიანი არჩევანში თავისუფალია.

**- რიკელმესთან კონტაქტი მართლა არ გქონდათ? დამეთანხმეთ, უცნაურია, როცა ფეხბურთელი რადიოდან იგებს, რომ ნაკრებში არ გამოიძახეს.**

- მოდით, ეს საკითხი უფრო ფართო ჭრილში განვიხილოთ. ნაკრების ხელმძღვანელობა შემადგენლობის განსაზღვრის შემდეგ, პირველ რიგში იმ ბიჭებს უკავშირდება, რომლებიც განაცხადში მოხვდნენ. სხვათა შორის, ვალდებული სულაც არ ვარ, განაცხადს მიღმა დარჩენილ მოთამაშეებს სათითაოდ დავუკავშირდე და ახსნა-განმარტებები მივცე. წარმოიდგინეთ, არგენტინას რამდენი ფეხბურთელი ჰყავს. ყველას სათითაოდ რომ ვურეკო, დრო ალარაფრისთვის დამრჩება. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ ის განსაკუთრებული ადამიანია, ყველას სჯობს, უნიკალური და შეუდარებელია და მხოლოდ მას უნდა დაურეკონ, მისი პრობლემაა. გარდა ამისა, რიკელმეს მაშინ ტრავმა ბოლომდე მოშუშებული არ ჰქონდა. ბოლო წუთამდე ვფიქრობდი, გამომეძახებინა, თუ არა. რატომღაც ყველას დაავიწყდა, რომ ამხანაგური თამაშის პარალელურად „ბოკა ხუნიორსს“ მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდა ჩასატარებელი. ძალიან ბევრი ფაქტორი ავწონ-დავწონე და ბოლოს გადავწყვიტე, რომანი არ მომეწვია. სიის შედგენას რომ მოვრჩი, ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს გადავეცი. მან სია დაუყოვნებლივ გაავრცელა. რადიოებმა სანაკრებო განაცხადი პრაქტიკულად რამდენიმე წუთში მთელ ქვეყანას გააცნეს. რომანმა რადიო ჩართო და მისი გვარი რომ ვერ მოისმინა, ძალიან გაბრაზებულა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე მას არ დავურეკავდი, ან სხვა დროს არ დამირეკავს. კომუნიკაციის არ არსებობის ბრალდებას ვერაფრით გავიზიარებ. ეს უბრალოდ, ტყუილია. არგენტინელ ფეხბურთელებთან სალაპარაკოდ, ფაქტობრივად, მთელი ევროპა შემოვიარე და რიკელმეს როგორ არ დაველაპარაკებოდი? დიდი პატივისცემის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ რომანმა ნაჩქარევი და არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. ის ეგოცენტრიზმმა და ზედმეტმა პატივმოყვარეობამ აცდუნა.

**- ასეა თუ ისე, „ბოკა ხუნიორსის“ ფანები მას ისე შეხვდნენ, როგორც გმირს. ხომ არ იეჭვიანეთ? მარადონა „ბოკას“ სიმბოლოა, ხალხი კი რიკელმეს ჩაეხუტა...**

- ჯერ ერთი, მარადონა ალარ თამაშობს და ხალხს მოქმედი ფეხბურთელები უფრო სჭირდება. მთავარია, ადამიანი გულწრფელი იყოს. თუ „ბოკას“ ფანებს რიკელმეს ნაკრებიდან წასვლა გულწრფელად გაუხარდათ, მე მათ ვერაფერს ვუსაყვედურებ.

## მატერაცი საზიზღარია იმიტომ, რომ მან გენიოსის დაფასება ვერ შეძლო

**- თემა შევცვალოთ. ბოლო წლები გაიხსენეთ და მითხარით, ფეხბურთში ყველაზე მეტად რამ დაგწყვიტათ გული?**

- მოდით, ერთ-ერთ მაგალითს გეტყვით - ზიდანის ფეხბურთიდან წასვლამ. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ის მაესტროა! ყველაზე მომხიბვლელი ბურთის კონტროლის მისეული სტილი გახლდათ. ზიდანი ტანადი ფეხბურთელი იყო, მაგრამ სხეულს შესანიშნავად ფლობდა. მაგალითად, მესისთვის ყველაფერი შედარებით უფრო იოლია. ის ჩემსავით პატარაა და ბურთთან ურთიერთობა ბუნებრივია უფრო უიოლდებოდა. ზიდანის შემთხვევაში კი საქმე გაცილებით რთულადაა. ვგიჟდებოდი, როცა ზიზუ ერთ მხარეს იხრებოდა და ბურთი საპირისპირო მიმართულებით მიჰქონდა. ვიმეორებ, ასეთი გაბარიტების მქონე კაცის ამდენად შთამბეჭდავი თამაში ორმაგად დასაფასებელია.

**- პირადად თუ იცნობთ მას?**

- ვიცნობ და თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მორიდებული და მოკრძალებული პიროვნებაა. ფრანჩესკოლი მასზე ბევრს მელაპარაკებოდა. ერთხელაც ენცოს ვთხოვე, ზიდანი ჩემთვის გაეცნო. ზიზუ დიდი ხნის წინ გავიცანი. დღემდე ვფიქრობ, რომ მან ორი სეზონი მოგვპარა. ადრე წავიდა, არადა, კიდევ შეეძლო თამაში. რა საშინელი ფინალი ჰქონდა. ვიღაც მატერაციმ პროვოკაცია მოუწყო და უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. მატერაცი საზიზღარია, იმიტომ, რომ მან გენიოსის დაფასება ვერ შეძლო. ღირსეულ ადამიანს სულში ჩააფურთხა. არგენტინის ნაკრების მწვრთნელი ვარ და ამას არ უნდა ვამბობდე, შეიძლება, მატერაცისთან შეხვედრა მომიხდეს. როგორც გითხარით, ზიდანი მორიდებული კაცია და იტალიელს მისთვის სული რომ არ მოეწამლა, იმას არ გააკეთებდა, რაც გააკეთა. ბედის ირონიაა, რომ ზინედინ ზიდანი ფეხბურთიდან წითელი ბარათით წავიდა. თანაც ვის გამო, ვიღაც ტაკიმასხარა მატერაცის გამო. ცრემლები მომდის.

**- პელე, დი სტეფანო, კრუიფი, მარადონა და ზიდანი. თქვენც ფიქრობთ, რომ ზიზუ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელთა ხუთეულში შედის?**

- არ მსურს, ამ დებატის მონაწილე გავხდე. რა საჭიროა, საუკეთესოთა კლასიფიცირება? ეს ხომ ნამდვილი აბსურდია. დიდი ფეხბურთელები ხალხს სიამოვნებასა და სიხარულს ანიჭებდნენ, ეს არის მთავარი და არა კლასიფიკაცია ან რეიტინგი. როცა იტალიაში ვთამაშობდი, გულიტთან, მათეუსთან და ვან ბასტენთან ერთად გულშემატკივრებზე ვფიქრობდი. ყველას საერთო მოტივი გვამოძრავებდა, ხალხის გახარება! არადა, იტალიურ ფეხბურთში ყველაფერი შეუდარებლად რთულია. მიუხედავად ამისა, ყოველ კვირას მინდორზე გავდიოდით და ტიფოზებს სიამოვნებას ვანიჭებდით. ზიდანიც ასეთი იყო, ქომაგების გამხარებელი დიდი მაესტრო. ასე რომ, მე არანაირ კლასიფიკაციას არ ვაღიარებ.

**- გასაგებია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ასეთი მაღალი დონის ფეხბურთელები ძალიან ცოტანი არიან.**

- ცხადია, დღეს შედარებით ნაკლები ვარსკვლავია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თანამედროვე ფეხბურთს ვარსკვლავები საერთოდ ალარ ჰყავს. მაშინ, მესის რა დავარქვათ?

**- ადრე არაერთხელ გითქვამთ, რომ რონალდინიოს თანამედროვეობის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევდით...**

- დიახ თანამედროვეობის, მაგრამ მას შემდეგ რამდენიმე წელიწადი გავიდა და სიტუაცია შეიცვალა. ამას წინათ ანჩელოტიმ განაცხადა, იმისთვის, რომ მოედანზე წარმატებებს მიაღწიო, ბევრი უნდა ივარჯიშო. თუ რონალდინიოს ვარჯიში ეზარება, მაშინ ანჩელოტის სიტყვები არ უნდა ეწყინოს, რადგან ის ცამდე მართალია. იცით, რამდენს ვვარჯიშობდი? თავს ვიკლავდი, არადა, რონალდინიოზე უნიჭო ნამდვილად არ ვიყავი. გაუჩოს არ ვაკრიტიკებ, ეს არ არის ჩემი საქმე. უბრალოდ, არსებობს ეჭვი, რომ ის სათანადოდ არ ვარჯიშობს. სხვათა შორის, ეს საფუძვლიანი ეჭვია, რადგან რონალდინიომ ძალიან საგულისხმო დროს დაიწყო დაღმასვლა. ის ჯერ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მერე „ბარსელონასთან“ ერთად ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა და ამის შემდეგ თამაშს უკლო. არადა, ისეთ ასაკში იყო, პირიქით, ათჯერ უკეთ უნდა ეთამაშა. მისი ნიჭი არსად გამქრალა. როგორც ჩანს, კარლო ანჩელოტი ჭეშმარიტებას ლაღადებს.

## ყოველ დილას პრეზიდენტ ნუნიესის დედის გინებით ვიწყებდი

**- ეს გადაცემა „ვოს დე ბუენოს აირესისა“ და ესპანური რადიოსადგურის „ონდა სეროს“ ერთობლივი პროექტია. ამიტომ, ვალდებული ვარ, ჩვენს ევროპელ მეგობრებზეც ვიფიქრო და მათთვის საინტერესო კითხვებით მოგმართოთ. ესპანეთში ახლა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა რაულის ეროვნული გუნდის მიღმა დარჩენაა. როგორ ფიქრობთ, იმსახურებს ის სელექსიონში თამაშს?**

- შემიძლია გითხრათ, რომ რაული პროფესიონალიზმის განსახიერებაა. ასეთ დიდ პროფესიონალს იშვიათად თუ სადმე შეხვდებით. იყო დრო, როცა „რეალის“ გმირს „რეალში“ ძალიან იშვიათად ათამაშებდნენ, მაგრამ ხმას არ იღებდა და სიტუაციას არ ძაბავდა. იმიტომ კი არა, რომ მისთვის სულ ერთია, მოედანზე იქნება თუ სათადარიგოთა სკამზე. სულაც არა. უბრალოდ, ის საქმეს პროფესიონალის თვალით უყურებს და ხვდება, რომ საკუთარი ეგოს წინა პლანზე წამოწევა გუნდს ანგრევს. ესპანეთის ნაკრებში მის თამაშს რაც შეეხება, ვერაფერს ვიტყვი, იმიტომ, რომ ვისენტე დელ ბოსკე არ ვარ.

**- როგორც ვატყობ, „რეალის“ კაპიტანი მარადონას დიდ პატივისცემას იმსახურებს...**

- რასაკვირველია! რაული კვლავ ანთებულია, იმედებითა და ენთუზიაზმითაა ალსავსე. ეჭვი არ მეპარება, რომ რიხიან სიტყვას კიდევ არაერთხელ იტყვის.

**- წლების წინ „ბარსელონაში“ თამაშობდით. კატალონიურ კლუბს როგორ გაიხსენებთ?**

- ბარსელონაში რამდენიმე თვის წინ დავბრუნდი. ჟოან ლაპორტამ ისე მიმიღო, როგორც „ბარსას“ შვილი. ნეტავ ჩემს დროს ყოფილიყო პრეზიდენტი, ალბათ, კატალონიიდან არსად წავიდოდი. იცით, რა ტანჯვა გამოვიარე? ყოველ დილას მაშინდელი პრეზიდენტის, ნუნიესის დედის გინებით ვიწყებდი. დილით ვდგებოდი, სარკესთან ვიდექი და ნუნიესს დედას ვაგინებდი. ისეთი თავხედია, მეუბნებოდა, ისე უნდა იაზროვნო და ილაპარაკო, როგორც მე გეტყვიო. ბოლოს, პირადადაც შევაგინე და წამოვედი. ის რომ არა, „ბარსელონაში“ გაცილებით უკეთესი კარიერა მექნებოდა.

**- „რეალის“ კრიზისულ ცხოვრებაზე რას გვეტყვით?**

- ძნელია კომპეტენტურად მსჯელობა, როცა შორს ხარ და დაზუსტებით არ იცი, რაშია საქმე. მე მხოლოდ ვარაუდი შემიძლია. ვფიქრობ, „რეალმა“ საკუთარი მსოფლმხედველობა და ფილოსოფია უნდა დაიბრუნოს.

**- თქვენი აზრით, ახალმა პრეზიდენტმა მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვინ უნდა დანიშნოს?**

- მთავარი მწვრთნელი?! რომ არ დაგიმალოთ, არ მაინტერესებს. ფეხბურთი ფეხბურთელების საქმეა. დიდი გუნდის არსებობა-არარსებობის საკითხს მოთამაშეები წყვეტენ. გამიჭირდება იმის წარმოდგენა, თუ ვინ შეიძლება იყოს იდეალური მწვრთნელი. შეიძლება, დიადი სპეციალისტი მოიყვანო, მაგრამ საქმე არ გამოვიდეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ვეტერანი

# ფლორენტინო, დამაბრუნე რეალში!

## რობერტო კარლოსს სამეფო კლუბი მოენატრა...

გუშინ **რობერტო კარლოსმა** ესპანელ ჟურნალისტებს უმასპინძლა და სენსაციური განცხადება გააკეთა: თუ **ფლორენტინო პერესი** „რეალში" დაბრუნდება, შევეხვეწები, მეც წამიყვანოს და კარიერის ბოლო სეზონს „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩავატარებო. სენიორ პერესთან ერთად დაბრუნების სურვილი **ზინედინ ზიდანმაც** გამოთქვა, მაგრამ ფუნქციონერის სტატუსით. აი, რობერტო კარლოსი კი „ბერნაბეუზე" ბურთის გაგორების შესახებ სრული სერიოზულობით საუბრობს: *„ფენერბაჰჩესთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე კარგა ხანია თურქეთში ვთამაშობ, მადრიდი და სამეფო კლუბი წამითაც არ დამვიწყებია. არაერთხელ დამსიზმრებია, ვითომ ისევ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ვთამაშობ, სტადიონზე, სადაც უამრავ წარმატებას მივაღწიე. როგორც ვიცი, ფლორენტინო პერესი პრეზიდენტის თანამდებობაზე დაბრუნებას აპირებს. საზოგადოებამ კი ის იცის, რომ მე ამ ადამიანის უდიდესი თაყვანისმცემელი ვარ. თუ „რეალის" სოსიოები მას პრეზიდენტად კიდევ ერთხელ აირჩევენ, შევევედრები, მეც წამიყვანოს. სამეფო კლუბში 11 წელი გავატარე. იცით, ეს რას ნიშნავს? „რეალი" ჩემი ცხოვრების უპირველესი გუნდია და გამოგიტყდებით, იქ დაბრუნება ძალიან მინდა, თუმცა ამისათვის, რა თქმა უნდა, სენიორ ფლორენტინოს გამარჯვებაა საჭირო. ის რომ არ წასულიყო, ბუნებრივია, კლუბს არ შევიცვლიდი. უბრალოდ, მაშინ ძალიან ბევრი ბინძური ფაქტი მოხდა და გული რომ არ გამტეხოდა, მადრიდს გავერიდე. არ გეგონოთ, ვხუმრობდე, თუ ყველაფერი ისე მოხდება, როგორც მე მსურს, თეთრ მაისურში ჩაცმულს კიდევ მნახავთ. თუ დავბრუნდები, გპირდებით, ისეთ სეზონს ჩავატარებ, როგორიც არასოდეს ჩამიტარებია."*



რობერტო კარლოსმა პირდაპირ განაცხადა, სიბინძურეს გავერიდეო, მაგრამ მან ისიც დასძინა, „რეალი" ჩემი ცხოვრების უპირველესი გუნდიაო. ბუნებრივია, სამეფო კლუბს ის ისევ გულმხურვალედ ქომაგობს. ბრაზილიელს, რა თქმა უნდა, ძალიან სწყინს, „ბარსელონა" ექვსი ქულით რომ ლიდერობს, მაგრამ ჰანდიკაპის ამოქაჩვა შეუძლებლად სულაც არ მიაჩნია: *„რეალი" საკმაოდ კარგად ასპარეზობს, „ბარსელონა" კი ფანტასტიკურად თამაშობს. ეს, რა თქმა უნდა, არ მახარებს, მაგრამ უიმედოდ სულაც არ ვარ. წინ კიდევ 11 ტურია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამეფო კლუბს მდგომარეობის შეცვლის შანსი კიდევ მიეცემა. მოდით, ვაღიაროთ, ამოცანა ურთულესია, თუმცა არა შეუძლებელი. მადრიდელებმა ქულები აღარ უნდა დაკარგონ. მათ „სანტიაგო ბერნაბეუზე" „ბარსა" ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაამარცხონ. თუ ამას შეძლებენ, საჩემპიონო ტიტულს მნიშვნელოვნად მიუახლოვდებიან. ვის შეუძლია იმის მტკიცება, რომ „ბარსელონა" სხვა თამაშებში ქულებს აღარ დაკარგავს?"*

**ილია ნიკოლაიშვილი**

შალკე


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბორდონი: აღარ მინდა კაპიტნობა!

გუშინ „შალკეს" ბრაზილიელმა მცველმა **მარსელო ბორდონმა** განაცხადა, რომ აღარ სურს გუნდის კაპიტნობა. გარკვეულია ისიც, რომ სეზონის ბოლომდე გელზენკირხენული გუნდის თავი 35 წლის **მლადენ კრსტაიჩი** იქნება, რომელიც დაცვის ცენტრში ბორდონის მეწყვილეა. *„ვამაყობ იმით, რომ „შალკეს" კაპიტანი ვიყავი. მომავალში მხოლოდ ფეხბურთზე ვიქნები კონცენტრირებული. დარწმუნებული ვარ, გუნდს ასე უფრო დიდ სამსახურს გავუწევ,"* - ნათქვამია ბრაზილიელის ოფიციალურ განცხადებაში.

ფეხბურთელის ამ გადაწყვეტილებით იმედგაცრუებულია მთავარი მწვრთნელი **ფრედ რუტენი**, მაგრამ ამბობს, მარსელოს უნდა გავუგოთ, ეს მისი გადაწყვეტილებააო. *„ბორდონმა კაპიტნის რანგში „შალკეს" უდიდესი სამსახური გაუწია, რისთვისაც მხოლოდ მადლობელი ვარ,"* - ამბობს რუტენი.

მარსელო ბორდონი გელზენკირხენული კლუბის კაპიტნად 2006 წელს დაინიშნა და ამ პოსტზე **ებე სანდი** შეცვალა. სხვათა შორის, კრსტაიჩს ერთხელ უკვე ემოსა კაპიტნის სამკლაური, კერძოდ, „ვოლფსბურგთან" მატჩში, რომელიც „შალკემ" 3:4 წააგო. თუმცა იმ შეხვედრაში მლადენმა ძალიან ცუდად ითამაშა და „კიკერისგან" ყველაზე ცუდი შეფასება, 6 ბალი დაიმსახურა.

*„შალკეს" კაპიტნობა ჩემთვის უდიდესი პატივია და იმედი მაქვს, რომ ამ რანგში მოლოდინს გავამართლებ,"* - აცხადებს სერბი მცველი, რომელიც, როგორც ბორდონი, გელზენკირხენული გუნდის ღირსებას 2004 წლიდან იცავს.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ვარაუდით, ბორდონმა ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ „შალკეში" ისედაც სერიოზული საკადრო ცვლილებები იგეგმება. როგორც იცით, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონისმა** ამას წინათ განაცხადა, რომ ზაფხულში გუნდს ფაქტობრივად მთლიანად შეცვლის. ეჭვი არავის ეპარება, რომ წასასვლელი ფეხბურთელების სიაში ბორდონიცაა, რომელსაც კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს გაფორმებული.

**გოტფრიდ ლენცი**

რეალი

# მუდმივად ინფარქტის საფრთხე!

## მადრიდელ რუბენ დე ლა რედს ბარსელონასა და ლონდონში უმკურნალებენ

გასული წლის 30 ოქტომბერს გასვლით შეხვედრაში „რეალის" ახალგაზრდა ნახევარმცველი **რუბენ დე ლა რედი** მოედანზე მოწყვეტით დაეცა და რამდენიმე წამით გონება დაკარგა. იმ წამს ყველას **ანტონიო პუერტა** გაახსენდა, სევილიელი მცველი, რომელიც ინფარქტით დაიღუპა. მადლობა ღმერთს, დე ლა რედი გადარჩა და ახლაც ცოცხალია, მაგრამ მრავალთვიანმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ფეხბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმე და სავალალოა. რუბენს მადრიდის კლინიკაში საფუძვლიანი გამოკვლევა ჩაუტარეს, თანაც რამდენჯერმე. ბოლო შედეგების გაცნობის შემდეგ ექიმებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ „რეალის" ფეხბურთელს მიოკარდი აწუხებს. გასაოცარია, მაგრამ მადრიდელი კარდიოლოგები საბოლოო დასკვნის გამოსატანად გუნდის მესვეურებს ურჩევენ, პაციენტი ჯერ ბარსელონაში წაიყვანონ, შემდეგ კი ლონდონშიც უმკურნალონ.

მართლაც გასაკვირია, მაგრამ ახლა ჩვენს ამოცანას მადრიდის კარდიოლოგიური კლინიკის ავკარგიანობის გარკვევა არ წარმოადგენს. ამიტომ, ჯობია, ისევ ფეხბურთელზე ვისაუბროთ. დედაქალაქელ ექიმებს მიაჩნიათ, რომ რუბენს გულის ერთ-ერთი კუნთი მოდუნებული აქვს და მუდმივად ინფარქტის საფრთხე ემუქრება. მკურნალობის რამდენიმე კურსის მიუხედავად, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა. ამის შემდეგ მედიკოსებმა გენეტიკური გამოკვლევა ჩაატარეს. ითქვა, რომ პასუხი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი, თუმცა სამეფო კლუბის მესვეურებმა გადაწყვიტეს, რუბენი ბარსელონასა და ლონდონში ნებისმიერ შემთხვევაში წაიყვანონ. თუ აღმოჩნდება, რომ ეს გენეტიკური დაავადებაა, ახალგაზრდა ფეხბურთელს კარიერის ნაადრევად დასრულება მოუწევს.

**ილია ნიკოლაიშვილი**





გოტფრიდ ლენცი წარმოგიდგენთ — უქმეებიდან უქმეებამდე

## დრიბლინგი ევროპაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვცვლი დედაჩემს მესის მაისურაში!



**პიპო ინძაგი** ისტორიაში აქამდეც შესული იყო, მაგრამ ამიერიდან მას, როგორც კარიერაში 300 გოლის გამტან თავდამსხმელს, განსაკუთრებული სტატუსი აქვს; ჟოზე მოურინიომ არაორდინალური დუბლი შეასრულა; ანდრეი არშავინი, როგორც იქნა, პრემიერლიგას გაუშინაურდა; კარლოს ტევესი კი ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული გოლის ავტორია. ამას გარდა: ამორალური შეთავაზება ლეო მესის და „სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს" ლიდერი საფრანგეთში.

თქვენ წინაშეა „ლელოს" დიდი დრიბლინგი ევროპაში...

### სერია A
### ჟოზეს წითლების დუბლი

წამყვანი ევროპული საფეხბურთო ქვეყნებიდან, ყველაზე მეტად, იტალიაში დათბა. როგორც ჩანს, გაზაფხულმა აპენინის ნახევარკუნძულზე მოთამაშეებს სისხლი აუჩქროლა, რადგან გასულ უქმეებზე იტალიაში ათმა ფეხბურთელმა შეასრულა დუბლი. ასეთი რამ კი სერია A-ში უკანასკნელად 1949/50 წლების სეზონში მოხდა. ამ სიაშია **ფილიპო ინძაგიც** – „მილანმა" „სიენას" 5:1 გადაურბინა და პიპომ კარიერაში მესამასე გოლის გატანა შეძლო. 300 გოლი ნებისმიერი ფეხბურთელისთვის შესანიშნავი შედეგია და ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სუპერპიპოს გენიალურობას. აღსანიშნავია, რომ ინძაგიმ კარიერაში პირველი გოლი 1992 წელს გაიტანა და სხვათა შორის, ისიც „სიენას" კარში. ამრიგად, 35 წლის პიპო **სილვიო პიოლას, ჯუზეპე მეაცასა** და გენიალური **რობერტო ბაჯოს** შემდეგ, ყველა დროის საუკეთესო იტალიელ გოლეადორებში მეოთხე (!) ადგილზეა.

*„ინძაგი ფენომენალურია, ის გარი ლინეკერს მაგონებს,"* - აღნიშნა მატჩის შემდეგ **დევიდ ბექჰემმა**.

*„დაუჯერებელია, პიპო შესანიშნავი თავდამსხმელია, ის რომარიოს მაგონებს,"* - ეს კი **კაკას** სიტყვებია.

**კალაძეს** არ უთამაშია, თორემ ალბათ იტყოდა, **რამაზ შენგელიას** მაგონებსო...

თავისებური დუბლი გამოუვიდა „ინტერის" მთავარ მწვრთნელ **ჟოზე მოურინიოს**. როგორც იცით, პორტუგალიელმა სპეციალისტმა „ჩელსიში" სამწელიწად-ნახევარი იმუშავა და აღსანიშნავია, რომ ამ ხნის განმავლობაში ტრიბუნისკენ მხოლოდ ერთხელ გაგზავნეს. კვირას, ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნილმა „ინტერმა" „ფიორენტინას" 2:0 მოუგო და მატჩის მიწურულს მთავარმა არბიტრმა ჟოზეს წითელი ბარათი აუფრიალა. მიზეზი: მოურინიომ მისი ერთ-ერთი გადაწყვეტილება ზედმეტად აგრესიულად გააპროტესტა. ეს The Special One-სთვის ბოლო 50 დღეში მეორე გაძევებაა. *„ხომ დაინახეთ, წითელი ბარათი მიჩვენეს და გამოდის, რომ დისკვალიფიცირებული ვარ. დისკვალიფიკაცია კი ინტერვიუებზეც ვრცელდება,"* - მიაძახა ჟოზემ იტალიელ ჟურნალისტებს და კითხვებისთვის ასისტენტი **ბეპე ბარეზი** შეაჩეჩა.

როგორც ჩანს, „კატანიას" ფორვარდ **ჟუზეპე მასკარას** ახლო მანძილიდან გოლების გატანა მობეზრდა. კვირას, უდინეში 39 მეტრიდან შეძლო მეტოქის კარის ბადის შერხევა, ორი კვირის წინ კი პალერმოში გოლი სულაც 50 მეტრიდან გაიტანა...

### პრემიერლიგა
### ტევესის 10-მილიონიანი გოლი

კვირას „ტოტენჰემმა" საკმაოდ კარგად ითამაშა და 2:1 მოიგო, მაგრამ „სპურზის" ფანები მაინც ძალიან უკმაყოფილო დარჩნენ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ „ტოტენჰემმა" „ასტონ ვილა" დაამარცხა - გუნდი, რომელიც „მამლების" მოსისხლე მტერ „არსენალს" ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურისთვის ეჭიდავება. *„ფანები ამბობდნენ, იმედი გვაქვს, რომ ამ თამაშს ვერ მოვიგებთო,* - გაოგნებული იყო „ტოტენჰემის" თავკაცი **ჰარი რედნაპი** - *ასეთი სისულელე აქამდე არასდროს მსმენია!*

ძველი ამბავია ის, რომ პრემიერლიგაში ახალგადასულ ფეხბურთელებს იქაურ სიტუაციასთან შეგუება და აკლიმატიზაციის გავლა უჭირთ ხოლმე. ამ შემთხვევაში გამონაკლისი არც რუსი **ანდრეი არშავინია**. *„არშავინი გაოცებულია, არ მეგონა, ინგლისში ასეთი სწრაფი ტემპი თუ იყოო,"* - თქვა „არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** „ბლექბერნთან" 4:0-ზე მოგებული მატჩის შემდეგ. დიზაინერის დიპლომის მქონე ფეხბურთელმა სწრაფად შენიშნა, რომ ინგლისში იმიჯზე ბევრი რამ არ არის დამოკიდებული. შესვენების შემდეგ არშავინმა თავისი წითელი ბუცები გასახდელში დატოვა და მოედანზე ტრადიციული შავი ბუცებით გავიდა. შედეგმაც არ დააყოვნა: მალე რუსმა კარგი სოლორეიდი პრემიერლიგაში გატანილი პირველი გოლით დაასრულა. *„ანდრეი რბილი ბიჭი ნამდვილად არ არის. ის ნებისმიერი გამოწვევისთვის მზადაა და ორთაბრძოლებს არ გაურბის,"* - გახარებულია ვენგერი.

2006/07 წლების სეზონში **კარლოს ტევესის** მიერ „ვესტ ჰემის" მაისურით გატანილი გოლი შესაძლებელი იყო, პრემიერლიგის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული გამხდარიყო. მაშინ არგენტინელმა თავის გუნდს „მანჩესტერ იუნაიტედის" კარში გატანილი გოლით მოაგებინა (1:0), რის შედეგადაც „ვესტ ჰემი" პრემიერლიგაში დარჩა. პირველ ლიგაში კი „შეფილდ იუნაიტედი" დაქვეითდა და ამ გუნდის ბოსები 35 მილიონ ფუნტს ითხოვდნენ - „ვესტ ჰემმა" ტევესის ტრანსფერის დროს პრემიერლიგის კანონები დაარღვიაო. ორშაბათს გაირკვა, რომ გუნდებმა ერთმანეთში ყველაფერი სასამართლოს გარეშე გაარკვიეს: როგორც ამბობენ, „ვესტ ჰემმა" „შეფილდს" 10 მილიონი გადაუხადა. როგორც ხედავთ, ლონდონელები ამ საქმიდან საკმაოდ კარგად გამოძვრნენ.

### პრიმერა დივიზიონი
### მესის დედის კონკურენტი

*„ბექზ, შენგან ბავშვი მინდა!" „კრისტიანო, დამირეკე: 0153-1234567!"*

ფანები, თანაც მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, თავიანთ ფანატიკურ სიყვარულს სხვადასხვანაირად, ხშირად საკმაოდ კრეატიულად გამოხატავენ ხოლმე. ალმერიაში **ლიონელ მესის** ფანი მზად იყო, არგენტინელი ფეხბურთელის ოფლიანი მაისურის სანაცვლოდ საკუთარი ოჯახის წევრი, თვით დედამისი დაეთმო! *„მესი, მზად ვარ მაისურაში დედაჩემი გაგიცვალო!"* - ასეთი იყო ერთ-ერთი გოგონას ტრანსფარანტის შინაარსი. როგორც ხედავთ, ლეოს დედას კონკურენტის გამოჩენის სერიოზული საფრთხე დაემუქრა, მაგრამ საშიში არაფერია - გაცვლა არ შედგა.

„ალმერიას" პრეზიდენტ **ალფონსო გარსია გაბარონს** ფინანსური კრიზისის ფონზე თავში „გენიალური" იდეა მოუვიდა: მან „ბარსელონასთან" საშინაო მატჩისთვის ბილეთებს განსხვავებული, რა თქმა უნდა, უფრო ძვირი ფასები დაადო. ვი-აი-პი ადგილის ფასი მოულოდნელად 200 ევრო გახდა, დასადგომი ადგილი კი, რაც ყველაზე იაფია ხოლმე, 90 ევროდ შეაფასა. გაბარონის გეგმა, რა თქმა უნდა, ჩაიშალა: „ალმერიას" წარმატების მიღწევის შანსი არ ჰქონია და დამარცხდა, ფანებმა კი საყვარელ გუნდს ჯეროვნად ვერ უქომაგეს: სტადიონზე 13 000 ადგილი ცარიელი დარჩა.

მადრიდის „ატლეტიკომ" ჩემპიონთა ლიგაში, „პორტუსთან" განცდილი კრახი ძალიან კარგად გადაიტანა. თუმცა ფაქტია, რომ როხიბლანკოებს „დასასვენებლად" 52 წუთი დასჭირდათ - ამ დროისთვის „ვილიარეალი" 2:0-ს იგებდა. მერე კი მადრიდელებმა გაილაღეს და მეტოქე სამი გოლით ასიამოვნეს...

### ბუნდესლიგა
### ვაჰ, სოფელო...

იყო და არა იყო რა. იყო ერთი პატარა სოფელი, რომელსაც ჰყავდა საფეხბურთო გუნდი სახელად TSG 1899 Hoffenheim. პირველ წრეში მიღწეული სენსაციური შედეგების შემდეგ, როგორც ჩანს, „პროფესორ რალფის" ბიჭებს რაღაც-რაღაცები თავში აუვარდათ, რადგან დღეს „ჰოფე" უკვე მეხუთე ადგილზეა. და ნამდვილად უსამართლობა იქნება, ეს ყველაფერი მხოლოდ **იბიშევიჩის** ტრავმას რომ დავაბრალოთ. ვედადი ნამდვილად არ არის „ჰოფენჰაიმისთვის" ის, რაც ერთ დროს **გაბრიელ ომარ ბატისტუტა** იყო „ფიორენტინასთვის".

მოკლედ, დროა, „ჰოფეზე" საუბრები შევწყვიტოთ. ახლა მოდაში „ვოლფსბურგია". **ფელიქს მაგათის** სამწყსოსთვის ტყუილად არ მიგვინიჭებია „ბუნდესლიგის ყველაზე სტაბილური გუნდის" წოდება. „მგლები" საკუთარ მოედანზე ქვას ქვაზე არ ტოვებენ და გასვლით მატჩებშიც ომახიანად გამოიყურებიან. რაც მთავარია, „ვოლფსბურგი" ლიდერ „ჰერტას" მხოლოდ ოთხი ქულით ჩამორჩება, „ბაიერნს" კი ოდენ ბურთების უარესი შეფარდების გამო. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: გენიალურმა მაგათმა თავისი მოკრძალებული ფეხბურთელებით ამ ეტაპისთვის ზუსტად იმდენს მიაღწია, რამდენსაც **იურგენ კლინსმანმა** ათჯერ უფრო ძლიერი შემადგენლობით. **ოტმარ ჰიტცფელდისა** არ იყოს, „დესპოტმა ფელიქსმა" მართლაც იცის, როგორ უნდა შექმნა გუნდი, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

### ლიგა 1
### ლიონს კონკურენტები არ უვარგა

ასე „ლიონი" საფრანგეთის „მარადმწვანე ჩემპიონის" სტატუსს დაკარგავს. ფაქტია, რომ „ოლიმპიკს" საქმეები ძალიან ცუდად მისდის - გუნდს უბრალოდ არაფერი გამოსდის. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა კატასტროფად არავის აღუქვამს, მით უმეტეს, რომ მეტოქე თვით „ბარსელონა" იყო, მაგრამ ბოლო დროს „ლიონი" საფრანგეთშიც ძალიან ცუდად თამაშობს. გასულ უქმეებზე, საკუთარ კედლებში „ოსერთან" წაგება (0:2) კი ნამდვილად პიკი იყო. ამრიგად, „ლიონს" ახლა უკვე ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია აქვს. ესეც არ იყოს, ბოლო ოთხ თამაშში ლიონელებმა 12 გოლი გაუშვეს - ზუსტად იმდენი, რამდენიც სეზონის პირველ ნახევარში მთლიანად! და ეს კიდევ არ არის ყველაფერი: „ლიონმა" ბოლო შვიდი საშინაო მატჩიდან მხოლოდ ერთის მოგება შეძლო და ისიც უმაქნის „ლე ავრთან". სასაცილო კი ის არის, რომ „ლიონი" ჯერ კიდევ ლიდერია...

ეს კი კონკურენტების ბრალია, რომლებიც, როგორც ჩანს, ზედმეტად სუსტები არიან იმისათვის, რომ „ლიონის" ტახტიდან ჩამოგდება შეძლონ. ამ მხრივ, მთავარი როლის შესრულება, წესით, „მარსელს" ან პსჟ-ს ევალებათ. პირველ წრეში „მარსელს" ჰქონდა იმის შანსი, რომ საკუთარ მოედანზე პარიზელთა დამარცხებით გალიდერებულიყო, მაგრამ 2:4 დამარცხდა. ამ უქმეებზე კი პირიქით მოხდა: ამჯერად პსჟ-ს ჰქონდა გალიდერების შანსი, თუკი „მარსელს" მოუგებდა. საბოლოო ანგარიში: 3:1 „ოლიმპიკის" სასარგებლოდ და პირველ ადგილზე „ლიონი" დარჩა.

**ალენ პერინმა** თავისი გუნდის მორიგი მარცხის (0:1) შემდეგ სისულელეები წამოროშა. მან თქვა, რომ ბოიკოტს უცხადებს უეფას თასის საპასუხო შეხვედრას ბრემენის „ვერდერთან", რომელიც მომავალ ოთხშაბათს შედგება.

*„შევამჩნიე, რომ ევროთასის ყოველი თამაშის შემდეგ, საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩებში ყოველთვის ვმარცხდებით ხოლმე. უეფას თასი ჩვენთვის მხოლოდ ზედმეტი ტვირთია და მეტი არაფერი. „ვერდერთან" ნამდვილად არ ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ მომდევნო ეტაპზე გავიდეთ, რადგან არც ერთ ჩვენგანს არ სურს გაისად მეორე ლიგაში ასპარეზობა. თუ „ვერდერის" ბარიერს მაინც გადავლახავთ, ეს ჩვენთვის მხოლოდ და მხოლოდ საშიში იქნება,"* - თქვა პერინმა.

„სტ. ეტიენის" ფანები უეფას თასის მეოთხედფინალს 26 წელი ელოდებოდნენ! ცხადია, „სტად ჟოფრე გიშა" გადაჭედილი იქნება. დავიჯეროთ, პერინს არ დაუსტვენენ?

**გოტფრიდ ლენცი**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩელსი

# აბრამოვიჩი შვილობილს გააახალგაზრდავებს

## დეკუ სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს

ლონდონელთა პორტუგალიელმა ნახევარმცველმა **დეკუმ** შეიძლება სეზონის დარჩენილი ნაწილი მთლიანად გამოტოვოს. ფეხბურთელმა მუხლის მყესების ძველი ტრავმა „სიტისთან" 29-ე ტურის შეხვედრის პირველ ტაიმშივე გაიმიზეზა. ის იძულებული გახდა, მინდორი მე-40 წუთზე დაეტოვებინა. დეკუმ მუხლის პრობლემის გამო მიმდინარე სეზონში უკვე არაერთი მატჩი გამოტოვა. ამ ეტაპზე ტრავმის სირთულეზე გადაჭრით არავინ საუბრობს, მაგრამ ექიმების პროგნოზი სულაც არ არის დამაიმედებელი. „დეკუ იმავე მიზეზით გამოეთიშა გუნდს, რის გამოც ის უკვე დიდი ხანი ისვენებდა. როგორც თავად განაცხადა, დისკომფორტი მუხლში შეხვედრის მე-20-სა და 30-ე წუთებს შორის დაეწყო. მანუხებს საფუძვლიანად ეჭვი, რომ ის სეზონის ბოლომდე გამოჯანმრთელებას ვერ მოახერხებს, თუმცა საბოლოო დასკვნისთვის გამოკვლევის შედეგებს მაინც უნდა დაველოდოთ. შემიძლია გულშემატკივრები დავამშვიდო: დიდიე დროგბას ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. არათუ შემდეგი ტურისთვის, ის ორიოდე დღეში უკვე სრულ მზადყოფნაში იქნება.

აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ ბოლო მატჩებში მოპოვებული ქულების მიუხედავად, ფეხბურთელების ასპარეზობით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ. ჩემთვის დღესავით ნათელია, რომ უფრო მაღალ დონეზე თამაში შეგვიძლია. „სიტისთან" ჩვენი გარჯა მომეწონა - საგოლე მომენტებს უხვად ვქმნიდით და თავსაც კარგად ვიცავდით. მეორე გოლის გატანაც რომ მოგვეხერხებინა, დარწმუნებული ვარ, თამაშს დიდი ანგარიშითაც კი მოვიგებდით. სასაყვედურო ერთადერთი რამ მაქვს - შანსების რეალიზაციის დაბალი პროცენტი.

აქვე მინდა გამოვთქვა სიხარული პრემიერლიგის საჩემპიონო მარათონში ინტრიგის დაბრუნებასთან დაკავშირებით. „იუნაიტედის" მოულოდნელმა დამარცხებამ მომავალი ჩემპიონის ვინაობა ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. თუმცა არც იმის დავიწყება ღირს, რომ "იუნაიტედი" უაღრესად გამოცდილი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, თანაც, ჯერ კიდევ ოთხი ქულით გვისწრებს, პლუს, თამაშით ნაკლები აქვს გამართული," - განუცხადა სააგენტო AP-ს "არისტოკრატთა" დამრიგებელმა.

„ნიუს ოფ ზე ვორლდი" გვამცნობს, რომ „ჩელსის" ბოსი **რომან აბრამოვიჩი** სეზონის ბოლოს გუნდში საკადრო წმენდას მოაწყობს. პროცესი ყველაზე მეტად ვეტერანებსა და ძვირადღირებულ სათადარიგო ფეხბურთელებს შეეხებათ. გაზეთის ინფორმაციით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ „სტემფორდ ბრიჯს" დატოვებენ **დიდიე დროგბა, მიხაელ ბალაკი, ენრიკე ილარიო, ჟულიანო ბელეტი, პაულუ ფერეირა, ბრანისლავ ივანოვიჩი, სალომონ კალუ** და **ფლორან მალუდა**. ვეტერანებიდან საფრთხე მხოლოდ ორს არ ემუქრება - **ფრენკ ლემპარდსა** და **რიკარდო კარვალიოს**. „ზედიზედ მესამე წელია, „ჩელსი" ჩემპიონობისთვის ბრძოლას ვერ ახერხებს და ეს რომან აბრამოვიჩის იმედგაცრუებას იწვევს, - განაცხადა რუსი ოლიგარქის ნდობით აღჭურვილმა პირმა, ვინც ვინაობის დასახელება არ ისურვა - არკადიჩი მიიჩნევს, რომ გუნდში რადიკალური განახლების დრო მოვიდა. ძველების გაყიდვიდან მიღებული ფულით გუნდი ახალ, საჭირო მოთამაშეებს შეიძენს".




ამასობაში „ნიუს ოფ ზე ვორლდის" მიერ "ჩელსიდან" გასაშვებთა სიაში დასახელებული მალუდა გუნდის პერსპექტივებზე მსჯელობს. გთავაზობთ მის ნააზრევს: "რამდენიც უნდა ილაპარაკონ, "მანიუს" დამარცხება ჯოჯოხეთურად ძნელი საქმეა, თუმცა "ლივერპულმა" დაამტკიცა, რომ ეს მხოლოდ თეორია არ არის. საჩემპიონო მარათონში დაკარგული არაფერია. ჩვენ ჩვენი შანსი უნდა ვეძებოთ - "იუნაიტედმა" ხომ ქულები სხვებთანაც შეიძლება დაკარგოს.

ახალ მწვრთნელთან ერთად გუნდში სულ სხვა წესრიგი დამყარდა. ფეხბურთელები ყოველდღიურად უფრო მეტს ვშრომობთ და ახლა პასუხისმგებლობის ჩვენს წილს ყოველი ჩვენგანი უფრო მეტად გრძნობს. ყოველივე ამან უფრო ამაღლებული განწყობა მოგვგვარა და ახლა სეზონის გადამწყვეტ ეტაპს დიდი იმედებით ვუყურებთ. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ძალზე მნიშვნელოვანი იყო გუნდში მიკაელ ესიენის დაბრუნება".

ინციდენტი

# ვესტ ჰემს ახლა უორნოკი უჩივის

## რიჩარდ სკადამორის უნამუსობის მსხვერპლი

ბედიც ამას ჰქვია... ის იყო, გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ თითქმის ორწლიანი დავა „ვესტ ჰემსა" და „შეფილდ იუნაიტედს" შორის **კარლოს ტევესის** ტრანსფერის კანონიერების თაობაზე დასრულდა-თქო, რომ ისტორია, ვგონებ, თავიდან იწყება. „ჩაქუჩების" წინააღმდეგ სასამართლოში კერძო სარჩელის აღძვრას ახლა „შეფილდის" იმჟამინდელი დამრიგებელი **ნილ უორნოკი** აპირებს. უორნოკი ამჟამად "კრისტალ პალასში" მუშაობს და ერთი შეხედვით, ამ უკანასკნელს სერიოზული პრეტენზიები არ უნდა გასჩენოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. შეგახსენებთ, რომ ლონდონელთა მიერ არგენტინელი ფეხბურთელის წესის დარღვევით შეძენა პრემიერლიგის უფლებამოსილმა კომისიამ დადასტურებულ ფაქტად ცნო და კლუბი 5,5 მილიონი გირვანქით დააჯარიმა. „შეფილდმა" „ჩაქუჩებს" მეორე ლიგაში გავარდნისა და მიყენებული ფინანსური ზარალისთვის უჩივლა. კლუბების მაღალჩინოსნები დიდი დავა-კამათის შემდეგ კომპენსაციის გადახდაზე სწორედ ამ დღეებში შეთანხმდნენ. კი მაგრამ, რა უნდა უორნოკს? მისი თქმით, სარჩელი შეეხება იმ შემოსავლებს, რაც მას პრემიერლიგაში „შეფილდის" მწვრთნელობით უნდა მიეღო, ასევე პროფესიული რეპუტაციის შელახვით მიყენებულ ზარალს. ამასთან, ბატონი ნილი ფიქრობს, რომ სკანდალის შემდეგ, რაც ტევესის ტრანსფერის უკანონოდ დარეგისტრირების გამო ატყდა, პრემიერლიგის აღმასრულებელი დირექტორი **რიჩარდ სკადამორი** უნდა გადამდგარიყო. „სკადამორის საქციელი შეიძლება განიხილო მხოლოდ ერთი კუთხით – ეს არის ღირსების უქონლობის კლასიკური მაგალითი. დღემდე დიდი სურვილი მაქვს. ეს ადამიანი სადმე ერთი-ერთზე ვნახო, რათა ყველაფერი ვუთხრა, რასაც კი მასზე ვფიქრობ. ფაქტია, ტევესის საქმე იმიტომ გადაწყდა ლონდონელთა სასარგებლოდ, რომ ჩვენს კლუბს ისეთივე გავლენა არ ჰქონდა, როგორც მათ. „შეფილდის" ადგილას რომელიმე სხვა კლუბი რომ ყოფილიყო, სკადამორი ყველაფერს გააკეთებდა, რათა საქმის ყოველი დეტალი მთელ საზოგადოებას შეეტყო. უბრალოდ მიკვირს, როგორ მოახერხა და როგორ შეინარჩუნა ამ ადამიანმა ასეთი საპასუხისმგებლო თანამდებობა. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ჩვენს ადგილას რომელიმე დიდი კლუბი რომ დაჩაგრულიყო, - აცხადებს სპეციალისტი. - რა თქმა უნდა, საკითხს ასე არ დავტოვებ. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რომ პირველ რიგში, „შეფილდის" ინტერესები დაკმაყოფილებულიყო. დარწმუნებული ვარ, რომ არა სკანდალური ისტორია, დღეს პრემიერლიგაში ვიმუშავებდი. ვფიქრობ, ფეხბურთელებსაც ექნებათ თავისი სათქმელი".




არსენალი



# როსიცკის კიდევ ერთი ტრავმა

## გალასი ისევ სკანდალში გაეხვია, ებუე კი კონტრაქტს აგრძელებს

„არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა თეო უოლკოტის** თამაშს მაღალი შეფასება მისცა. შეგახსენებთ, რომ 19 წლის ფეხბურთელი „მეთოფეებს" მთელი ოთხი თვის განმავლობაში აკლდა. „თეო ძალზე სასარგებლო ფეხბურთელია, განსაკუთრებით საშინაო თამაშებში. თავისი გადაადგილებებითა და ფლანგების მუდმივი ცვლით ის თანაგუნდელებს დიდ სივრცეს უთავისუფლებს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მის თამაშში ბევრი დადებითი ტენდენცია გამოიკვეთა. ზოგადად ახალგაზრდა ფეხბურთელებში ცვლილებები დიდი სისწრაფით ხდება. ორი-სამი თვეც კი საკმარისია, რათა უკეთესობა თვალში საცემი გახდეს," - განუცხადა „სტანტა სპორტსს" მოსიე ვენგერმა.

მიმდინარე სეზონი **ემანუელ ებუესთვის** მეტად ულიმღამოდ მიმდინარეობს. მის ადგილას ძირითად შემადგენლობაში, უმეტეს შემთხვევაში, **ბაკარი სანია** ხვდება. მას ერთი თვის წინ „ემირითს სთედიუმზეც" კი უსტვინეს. ბოლო დროს სიტუაცია შედარებით გამოსწორდა, რასაც ვენგერი დიდი სიამოვნებით აღნიშნავს. „კლუბის ხელმძღვანელობამ ემანუელთან ძალზე მნიშვნელოვანი საკონტრაქტო საკითხები შეათანხმა. ამიერიდან ვიცით, რომ ის ჩვენთან კიდევ დიდი ხანი დარჩება და ეს შესანიშნავია. იმედი მაქვს, ის ნიკლას ბენდტნერისთვის მაგალითი გახდება, რომელსაც ასევე ბევრს აკრიტიკებენ და რომელსაც აშკარად სჭირდება მეტი მონდომება. მოხარული ვარ, რომ ებუემ ისევ გაიხსენა გოლების გატანა. ბოლო პერიოდში მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მას ეს საერთოდ დავიწყებული ჰქონდა", - განაცხადა „მეთოფეთა" თავკაცმა.

როგორც ლონდონელთა პრესსამსახური იუწყება, ჩეხეთის ნაკრების ნახევარმცველის **ტომაშ როსიცკის** მინდორზე დაბრუნება კიდევ ორი კვირით გადაიდო. ფეხბურთელს გასული წლის 26 იანვრის შემდეგ აღარ უთამაშია. მას შემდეგ ის მუხლს მკურნალობს. ტომაშს ერთსა და იმავე მუხლზე ოპერაცია რამდენჯერმე დასჭირდა. ბოლო პერიოდში ექიმები ერთხმად აღნიშნავდნენ მოთამაშის გამოჯანმრთელების დადებით დინამიკას და ამბობდნენ, რომ როსიცკი მინდორზე დაბრუნებისთვის აპრილის პირველ რიცხვებში უკვე მზად იქნებოდა. მაგრამ ხომ იცით, ეშმაკს არ სძინავს... და სწორედ მაშინ, როცა შუახაზელი „არსენალის" დუბლებში სათამაშოდ ემზადებოდა, კიდევ ერთი ტრავმა მიიღო. ამჯერად შედარებით მსუბუქი, მაგრამ მაინც. ტომაშის დასუსტებულ სხეულს მცირე დაზიანებაც კი სერიოზულ პრობლემას უქმნის. „არსენალის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, როსიცკის დამატებით ორი კვირის განმავლობაში მოუწევს სერიოზულ დატვირთვებზე უარის თქმა.

**ვილიამ გალასი** ისევ სკანდალში გაეხვია. **რობინ ვან პერსის** შემდეგ მან ახალი მსხვერპლი ამოიჩემა - **კოლო ტურე**. აღმოჩნდა, რომ მოთამაშეებს წმინდა პროფესიული ურთიერთობის გარდა ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ. „ჩემი და ვილიამის ურთიერთობები ცნობილი სკანდალის შემდეგ შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ მხოლოდ პროფესიული თვალსაზრისით. როცა მინდორზე ერთად ვართ, ვცდილობთ, მხოლოდ გუნდური ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედოთ. სხვა მხრივ მასთან ურთიერთობა არ მაქვს. თანაგუნდელთა შორის ვმეგობრობ გაელ კლიშისთან, იოან ჯურუსთან, ემანუელ ებუესთან - გალასთან ყველაფერი სხვაგვარადაა. მესმის ისიც, რომ ყველასთან ვერ იმეგობრებ", - ამბობს ფეხბურთელი. შეგირდის სიტყვებზე კომენტარი გააკეთა თავად ვენგერმაც. აი, რას ფიქრობს ის: „ყოველთვის ვამბობდი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორ უგებენ ფეხბურთელები ერთმანეთს მინდორზე. პროფესიონალი სპორტსმენის პრინციპი სწორედ საერთო გუნდური წარმატებისთვის ბრძოლა უნდა იყოს. არ არის აუცილებელი, ფეხბურთელი თითოეული თანაგუნდელის მეგობარი იყოს. ის, რომ მინდორს გარეთ მათ ერთმანეთის არ ესმით, არ გამორიცხავს, რომ ერთად ასპარეზობა შეძლონ. მეტსაც გეტყვით, წლების წინ, ცივი ომის პერიოდში, შეიძლებოდა რუსი და ამერიკელი მინდორზე ერთად გაგეყვანა და შედეგი მაინც მიგეღო". ფრანგი აშკარად ფილოსოფოსობს. ჩვენი მხრივ წარმოუდგენელი გვგონია, ადამიანს თანაგუნდელთა უმეტესობასთან ურთიერთობა არ ჰქონდეს და მინდორზე მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული მოვალეობების მოხდის მიზნით გადიოდეს. იქნებ სწორედ ექსკაპიტნისა და დანარჩენების დაპირისპირებამ გამოიწვია „მეთოფეთა" აგრერიგად მწვავე კრიზისი? ეს ისეთი თემაა, შეიძლება ვენგერმა საზოგადოების გასაგონად არც ილაპარაკოს, მაგრამ მის მოგვარებაზე კი ნამდვილად უნდა იმუშაოს. ალბათ უკეთესი იქნება, თუკი გალასი გუნდიდან წავა.

ნორვეგიულმა გამოცემა „ნეტავიზენმა" „ბლექბერნის" ერთ-ერთი ლიდერის, **მორტენ გამსტ პედერსენის** ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ის „ემირიტსზე" ჩატარებულ შეხვედრაში მომხდარ ინციდენტზე ლაპარაკობს. მატჩის 85-ე წუთზე ის „არსენალის" საჯარიმოში ისე დაეცა, თითქოს პენალტს ითხოვდა. თავად ფეხბურთელი სიმულაციას კატეგორიულად უარყოფს. აი, რას აცხადებს პედერსენი: „თუკი ვიდეოგამეორებას ყურადღებით ნახავთ, დარწმუნდებით, რომ არავინ მომიტყუებია. უბრალოდ, ფეხი ამებლანდა და ამიტომ დავეცი. ჩემი რეაქცია კი მხოლოდ საკუთარ თავზე გაბრაზებას ნიშნავდა. მსაჯისგან პენალტის დანიშვნა არ მომითხოვია, რადგან ამის საფუძველი არ არსებობდა. არბიტრი მიხვდა, რაც ხდებოდა და თავის მხრივ ისიც სწორად მოიქცა, რომ ყვითელი ბარათი არ მიჩვენა".

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

შეხვედრა

# სპორტულ საქმიანობას საქართველოს საქმის კეთება ჰქვია

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე გუშინ სპორტული სამყაროს წარმომადგენლებს შეხვდა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევები, ქართულ სპორტში არსებული პრობლემები და მათი მოგვარების გზები იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, **დავით ბაქრაძის** ქართველ სპორტსმენებთან შეხვედრის ძირითადი თემები, რომელიც "სპორტკაფეში" გაიმართა.

ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე საუბრის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ სპორტული სამყაროს წარმომადგენლებთან შეხვედრის მნიშვნელობასა და სპორტთან ხელისუფლების დამოკიდებულებაზეც ისაუბრა. *„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს მუდმივი კონტაქტი და კომუნიკაცია სპორტსმენებთან და სპორტის წარმომადგენლებთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათგან იმის გაგება, თუ რა არის კიდევ გასაკეთებელი, სად არის პრობლემა. შემიძლია განვაცხადო, რომ ამ ხელისუფლებისთვის სპორტი დარჩება ერთ-ერთ პრიორიტეტად და მომავალ წლებში გავაკეთებთ კიდევ უფრო მეტს, ვიდრე ეს წინა წლებში გავაკეთეთ. თქვენ ხართ ის ხალხი, ვინც საკუთარ საქმეს ისე აკეთებთ, რომ მას საქართველოს საქმის კეთება ჰქვია“*, – აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

გუშინდელ შეხვედრას ესწრებოდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე,** კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი **ნიკოლოზ რურუა,** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი,** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური,** ორმოცამდე სპორტის ფედერაციის წარმომადგენელი, მათ შორის ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

აღინიშნა, რომ 2010 წელს თითქმის ყველა სახეობაში ეროვნულ ნაკრებებს თბილისში სანაკრებო ბაზები ექნებათ. უახლოეს პერიოდში მოჭადრაკეებს ჭადრაკის სასახლე გადაეცემათ, როგორც ეს საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა. საუბარი იყო ასევე სკოლებში ბავშვთა ფიზიკური მომზადების სისტემის აღდგენასა და განვითარებაზე, რაზედაც პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტი უკვე მუშაობს. *„სკოლებში ბავშვების ფიზიკური მომზადების სისტემის აღდგენა აუცილებელია არა მარტო სპორტული შედეგებისთვის, არამედ, პირველ რიგში, ჯანმრთელი თაობის აღზრდისთვის. საქართველოს ხელისუფლების სპორტისადმი პრიორიტეტულ დამოკიდებულებას გამოხატავს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ მოწვევის პარლამენტში პირველად შეიქმნა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტი“*,–აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ხელისუფლება შეიმუშავებს კონკრეტულ ნაბიჯებს, რაც ხელს შეუწყობს სამწვრთნელო და სპორტისთვის უმაღლესი სამედიცინო განათლების კადრების მომზადებას.

პარლამენტის თავმჯდომარემ სახელოვან სპორტსმენებს: **რაფაელ ჩიმიშკიანს და რობერტ შავლაყაძეს** საიუბილეო თარიღები მიულოცა და საჩუქრად ხატები გადასცა.

ავტოსპორტის ისტორიიდან

# ფორმულა 3-ის ქართველი ასი

ალბათ, დღეს ბევრმა არც ისიც, რომ თავისი ფორმულა 3 საბჭოთა კავშირსაც ჰქონდა. რბოლებში არაერთ ქართველ პილოტს უასპარეზია. მათგან გამოსარჩევია სპორტის ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი **გურამ დგებუაძე,** რომელმაც ბევრ წარმატებას, მათ შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონობას მიაღწია.

ავტომობილების მიმართ ინტერესს ბავშვობიდანვე იჩენდა. სპორტული კარიერის დაწყებამდე სხვადასხვა სამსახურებრივ ავტომობილს მართავდა, მუშაობდა ტაქსის მძღოლად.

მრბოლელობა უფროსმა მეგობარმა, საბჭოთა კავშირის ოთხგზის პრიზიორმა **ვლადიმერ გლურჯიძემ** ურჩია. ერთხელ ვოვა მას ქუჩაში შეხვდა და ვაკე-საბურთალოს გზაზე გაყოლა შესთავაზა.

გამოცდილი გლურჯიძე სახიფათო მოსახვევში ძალიან დიდი სისწრაფითა და სარისკო ტრაექტორიით შევიდა. მისი შემხედვარე გურამი რამდენიმე წუთი გაოგნებული იყო, შემდეგ კი მოულოდნელად ამ მანევრის გამეორება თავად გადაწყვიტა. კარგად გამოუვიდა. ვოვამ შეაქო, მეორე დღეს კი ქართველ მრბოლთა მწვრთნელთან, გაქართველებულ გერმანელ **შულცთან** გაუწია რეკომენდაცია.

თავიდან თბილისელი მრბოლის, **მიშა ლოგინოვის** მიერ აწყობილი მანქანით ასპარეზობდა. პირველ წარმატებას ლენინგრადში მიაღწია, სადაც "სპარტაკის" პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა. თბილისელებმა იქ გუნდური პირველი ადგილი აიღეს. გურამ დგებუაძის გარდა, ჩვენი გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ მიშა ლოგინოვი, **შოთა მამრიკიშვილი** და **კლიმენტი ტაბიძე.**

ამის შემდეგ საბჭოთა ავტორბოლებში გარკვეული პაუზა გაჩნდა, თუმცა 70-იანი წლების დასაწყისიდან ფორმულა-3 აღდგა და კიდევ უფრო დიდი მასშტაბებით ტარდებოდა. იმ დროისათვის თვითნაკეთი მანქანებით ალა-რავინ ასპარეზობდა. პილოტები გამოდიოდნენ "ესტონია M16"-ით, რომელიც 1973 წელს ესტონეთში შეიქმნა და "მოსკვიჩის" ძრავა ჰქონდა.

გურამმა ამ ავტომობილს ძალიან იოლად აუღო ალღო და კარიერის ყველა მთავარი ჯილდოც მასთან ერთად მოიგო. 1974 წელს რიგაში მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო 1975 წელს მოსკოვში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. 1976 წელს ტალინში წარუმატებლად იასპარეზა, რადგან მანქანას სათანადო ყურადღება ველარ მიაქცია. 70-იანი წლების მიწურულს საკავშირო პირველობაზე ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა.

ჰქონდა არაერთი მიმზიდველი შეთავაზება როგორც სპორტული, ასევე სამსახურებრივი. სთავაზობდნენ მოსკოვში ვარჯიშსა და მუშაობას ბრწყინვალე პირობებით, მაგრამ ოჯახური პრობლემების გამო ვერსად წავიდა. ტაქსის მძღოლობის შემდეგ ინჟინრად მუშაობდა.

საბჭოთა კავშირის ნაკრებში სამი წლის განმავლობაში იწვევდნენ, მაგრამ ყოველთვის უარს ამბობდა. ფორმულა 3-ში ტარდებოდა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების თასი შვიდ ეტაპად. ამ ტურნირზე არასოდეს გამოსულა, რადგან სამსახურს დაკარგავდა. თბილისიდან დიდი ხნით წასვლა არ შეეძლო.

არაერთი შანსი ჰქონდა, მეორედ გამხდარიყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მაგრამ სანუკვარ მიზნამდე ყოველთვის მცირედი აკლდებოდა. უპირველეს ყოვლისა, მეტისმეტი რისკის გაწევა უჭირდა. ეს მისი მთავარი მინუსი იყო, თუმცა სიფრთხილეს არ ნანობს. გურამ დგებუაძის თვალწინ, რბოლების მსვლელობისას, არაერთი პილოტი დაღუპულა, რამაც მასზე ძალიან იმოქმედა. იმხანად მრბოლთა უსაფრთხოება არცთუ მაღალ დონეზე იდგა. ტრასებიც არ იყო დღევანდელივით დახვეწილი. მხოლოდ სპორტსმენები კი არა, მანქანის შეჯახების შედეგად მაყურებლებიც ხშირად იღუპებოდნენ. ყველაზე ხშირად უბედური შემთხვევები ბალტიისპირეთსა და ლენინგრადში ხდებოდა, რაც იქაური სწრაფად ცვალებადი ამინდის ბრალი იყო.

აქვე იმასაც დავძენთ, რომ მაშინ რბოლის დისტანცია 100 კილომეტრს არ აღემატებოდა, სამაგიეროდ, არ არსებობდა პიტსტოპები, რაც მრბოლებისგან უდიდეს ნებისყოფასა და გამძლეობას მოითხოვდა.

მშვიდი და გაწონასწორებული მრბოლი იყო. მის სპორტულ კარიერაში ერთადერთხელ მოხდა, როცა თავი ვერ შეიკავა. რბოლის დროს მოსკოველი **ვლადიმირ გრეკოვი** არაჯენტლმენურად ებრძოდა და ერთ ეპიზოდში მანაც აკრძალული ხერხით გაუსწრო. როცა ფინიშზე მივიდნენ, გრეკოვი დგებუაძეს ყვირილით მივარდა და ის-ის იყო, უნდა შეეგინებინა, რომ ქართველისგან სახეში მუშტი მიიღო. მან წიხლის მოქნევა დააპირა, მაგრამ გურამის მეგობარმა ვოვა გლურჯიძემ დაიჭირა. კიდევ კარგი, თორემ დგებუაძე იმ მომენტში მანქანაში იჯდა და ფეხი თავში რომ მოხვედროდა, შესაძლოა დაინვალიდებულიყო.

» 13

### მილოცვები

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს ცნობილ ვეტერან ფეხბურთელს და მწვრთნელს **თემურ ქეცბაიას.**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს ვეტერან ფალავანს, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარეს, საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) მსაჯს **ჯუმბერ დავლიანიძეს.**

ბოლდერინგი



# პირველი ტრადიციული გახდება

საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციისა და „მაგთის“ ნაყოფიერი თანამშრომლობა ქართული სპორტის სასიკეთოდ გრძელდება. ამჯერად მათი ერთობლივი ძალისხმევით თბილისში, ალპური კლუბის სპორტულ დარბაზში პირველად ჩატარდა ცნობილი მთამსვლელისა და მეკლდეურის **ირაკლი გელდიაშვილის** მემორიალური ტურნირი ბოლდერინგში, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ლენტეხის, მესტიისა და ყაზბეგის წარმომადგენლები.

ბოლდერინგი ესაა მთამსვლელის მიერ დროის მოცემულ მონაკვეთში ბუნებრივი ან ხელოვნური კედლის რამდენიმე ურთულესი მონაკვეთის გავლა. რაც შეეხება ირაკლი გელდიაშვილს, ის იყო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მთამსვლელი და მეკლდეური. დაიღუპა 1984 წელს უშბიდან დაშვებისას.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. გოგონები: **1. ანი დულარიძე, 2. სოფო მიმინოშვილი, 3. თამუნა მელაძე;** ვაჟები: **1. გუგა დაბრუნდაშვილი, 2. ერეკლე მიქელაძე, 3. ავთანდილ გაზდელიანი.**

მემორიალი ტრადიციული გახდება და ყოველწლიურად გაიმართება.

სამბო

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

საქართველოს პირადი პირველობა სამბოში ახალგაზრდებს შორის (1989-1990 წწ დაბადებულები). ქ. თბილისი, 12-14 მარტი 2009 წელი

**48 კგ**
1. ბაჩა ბეძაური (მცხეთა)
2. გივი ნადარეიშვილი (ფოთი)
3. საშა ჭიჭინაძე (ქუთაისი)
3. ლერი ჯიხვაშვილი (ქუთაისი)

**52 კგ**
1. გენადი ჩირგაძე (ქუთაისი)
2. ვაჟა ლატარია (ფოთი)
3. დავით კვიკვიანი (ფოთი)
3. ზაზა გაროზაშვილი (კასპი)

**57 კგ**
1. ბექა ბუცხრიკიძე (ფოთი)
2. ბონდო კიკაძე (თბილისი)
3. სანდრო ძელეხიძე (თბილისი)
3. თემურ ნასყიდაშვილი (ზესტაფონი)

**62 კგ**
1. ზვიად ოდოსაშვილი (კასპი)
2. რეზო შველიძე (თბილისი)
3. მიხეილ მეკოკიშვილი (საგარეჯო)
3. გიორგი ტაბატაძე (გორი)

**68 კგ**
1. ლევან ნახუცრიშვილი (თბილისი)
2. ბესო შვანგირაძე (სამტრედია)
3. მერაბ სარაული (გორი)
3. პაატა დოლიაშვილი (თბილისი)

**74 კგ**
1. გიორგი ჩხიკვაძე (გორი)
2. შალვა უთურგაული (თბილისი)
3. დათო ოსიშვილი (მცხეთა)
3. ბექა ბერულავა (ზუგდიდი)

**82 კგ**
1. ნოდარ კუნდუხაშვილი (გორი)
2. ვახტანგ სარაჯიშვილი (ახმეტა)
3. ირაკლი მერკვილაძე (ტყიბული)
3. შოთა ვანიშვილი (გორი)

**90 კგ**
1. ლაშა გურული (ქუთაისი)
2. ბექა ნემსაძე (ქუთაისი)
3. ნიკა გაფრინდაშვილი (რუსთავი)
3. ლევან ნოზაძე (თბილისი)

**100 კგ**
1. გიორგი ბოლოთაშვილი (გალი)
2. შავლეგ ბერუაშვილი (ძარელი)
3. გურამ პირველიშვილი (ზესტაფონი)
3. მიშა აბრამიშვილი (თბილისი)

**+100 კგ**
1. დათო ბოჭორიშვილი (ქუთაისი)
2. მირიან გონჯილაშვილი (ახმეტა)
3. ბეგლარ ნამურაძე (თბილისი)
3. სლავა რეზესიძე (დმანისი).

ჩემპიონები მონაწილეობას მიიღებენ ევროპის პირველობაზე, რომელიც ჩატარდება ქ. შაულიაში (ლიტვა) 8-12 აპრილს.

სუმო

# ლიდერთა ხუთეულში

ოსაკას ბაშოზე ქართველთა გზები „გაიყო“ - პირველმა ევროპელმა სეკიტორი **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** კვლავ გააგრძელა დაუმარცხებელი სვლა, ხოლო ელიტის ყველაზე ახალგაზრდა ფალავანმა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** პირველი მარცხი იწვნია. გვახარებს ელიტის კარს მომდგარი მესამე ქართველი **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი).**

კოკაი თანამემამულის კლუბელს, მასსავით მე-8 მაეგაშირა **ტოჩინონადას** დაეჭიდა, თავისკენ მოქაჩა და ლამაზი ილეთით ძირს დაანარცხა (უვატედაშინაგე). ლევანი 3 მოგებით ლიდერთა ხუთეულშია, სადაც მის გარდა ორი დიდი ჩემპიონი და ორიც რიგითი მაეგაშირაა. დღეს ჩვენებურის მეტოქე მე-9 მაეგაშირა **ფუტენო** იქნება. ისინი ერთმანეთს 15-ჯერ შეხვედრიან, 8-ჯერ ბრძოლა ქართველის გამარჯვებით დასრულდა.

ყოფილი სეკივაკე **ივაკიამა** 180 კილოს იწონის, ამხელა მასასთან გამკლავება კი ტოჩინოშინს გაუჭირდა, მას გამოეპარა მთაკაცის შეტევაც და პირველად დამარცხდა ოსაკაში. ტოჩინოშინი (2-1) დღეს მე-11 მაეგაშირა **არანს** ანუ ოს **ალან გაბარაევს** ხვდება. არანს ქართველი მეორედ დაეჭიდება, პირველად იანვარში ლევანმა იყოჩაღა.

მესამე დივიზიონ მაკუშიტას მე-3 ნომერი გაგამარუ კიდევ ერთ ვეტერანს გაუსწორდა, მე-4 ნომერ **იოშიაძუმას** მიწოლით (ოშიდაში) აჯობა. მოკლედ, ჩვენებური ძალიან ახლოსაა მეორე ელიტურ დივიზიონში (სუმოში ორი ელიტური დივიზიონია), ჟურიოში დაწინაურებასთან, ამისთვის მას კიდევ სამი (შეიძლება ორიც) მოგება ჰყოფნის. დღეს გაგამარუ დაისვენებს.

ბაშოზე, მოგახსენეთ, ხუთი დაუმარცხებელი სუმოისტი დარჩა: კოკაი, **ასაშორიუ, ჰაკუჰო** და ორი დაბალი რანგის მაეგაშირა, **იამამოტოიამა,** რომელიც 248 კილოს (!) იწონის და **კიმურაიამა.** პირველად დამარცხდა ესტონელი სეკივაკე **ბარუტო.**

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)
15-29 მარტი. ოსაკა (იაპონია)

III დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი (მ 8)-ტოჩინონადა (მ 8) 1:0 (უვატედაშინაგე), ტოჩინოშინი (მ 10)-ივაკიამა (მ 10) 0:1 (მიტატენაგე), ასაშორიუ (ი)-ჰოკუტორიკი (მ 1) 1:0, ჰაკუჰო (ი)-კაკურიუ (მ 1) 1:0, კაიო (ო)-კოტოშოგიკუ (მ 2) 1:0, ჰარუმაფუჯი (ო)-კიოკუტენჰო (კ) 1:0, კისენოსატო (ს)-კოტომიცუკი (ო) 1:0, კოტოოშუ (ო)-მიაბიამა (მ 3) 1:0, ტოჩიოძანი (მ 2)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0, გოეიდო (კ)-ბარუტო (ს) 1:0, ტოკიტენკუ (მ 3)-ამინიშიკი (მ 5) 1:0, ტამანოშიმა (მ 6)-ტაკეკაძე (მ 4) 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 3-0: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოკაი (მაეგაშირა 8), იამამოტოიამა (მ 13), კიმურაიმა (მ 15).

IV დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი (მ 8)-ფუტენო (მ 9), ტოჩინოშინი (მ 10)-არანი (მ 11), ჰაკუჰო (ი)-კოტოშოგიკუ (მ 2), ასაშორიუ (ი)-ტოჩიოძანი (მ 2), ჰარუმაფუჯი (ო)- ჰოკუტორიკი (მ 1), კოტომიცუკი (ო)-კაკურიუ (მ 1), კოტოოშუ (ო)-კიოკუტენჰო (კ), ჩიოტაიკაი (ო)-გოეიდო (კ), კაიო (ო)-ბარუტო (ს), კისენოსატო (ს)-მიაბიამა (მ 3), ტოკიტენკუ (მ 3)-ვაკანოსატო (მ 5), ამინიშიკი (მ 5)-იოშიკაძე (მ 4).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ქართული სპორტი

კალათბურთი

პერსპექტივა

# აკაკი დვალიშვილი: თუ არ დაიღალე, ვერაფერს მიაღწევ



2007 წლის 22 ივლისს შვებულება ავიღე და 23-ში რაჭისკენ გავემგზავრე. სწორედ რაჭის ავტობუსში წავიკითხე მოულოდნელი, მაგრამ სასიამოვნო ამბავი: საქართველოს კადეტთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე სლოვენიელები დაამარცხა და ელიტაში ადგილი შეინარჩუნა. მატჩის ოქმში ეწერა: ბექა ჩიკვილაძე – 34 ქულა, აკაკი დვალიშვილი – 12 ქულა, 11 მოხსნა. პირველად სწორედ მაშინ გავიგე დვალიშვილის გვარი. მას მერე სლოვენიელთა მძლეველი შემადგენლობიდან ოთხი კალათბურთელი უცხოეთშია (ლევან სულაბერიძე, ბექა ჩიკვილაძე, თორნიკე შენგელია), ხოლო აკაკი დვალიშვილი წასვლას არ ჩქარობს. იგი რუსთაველთა სამ ასაკობრივ გუნდში თამაშობს – ჭაბუკებში, ახალგაზრდებში და "ენერჯიში," სამომავლოდ გამოცდილებას აგროვებს. დავით უსტიაშვილი მას თავის გამოჩენის შანსს ძირითადად სუსტ მეტოქეებთან აძლევს, მაშინ, როცა ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხი მოხსნილია. კაკოც თავს არ ირცხვენს. 20-წლამდელებისა და 18-წლამდელების პირველობებზე კი დვალიშვილი სნაიპერთა და მთავარ მომხსნელთა შორისაა.

ჩვენს რესპონდენტს ნორმალური სროლა რომ არ ჰქონდეს, 30 ქულას ხშირად ვერ გადააჭარბებდა. ხოლო მოხსნებში 15-ს ქვემოთ იშვიათად რომ ჩამოდის, ამის მიზეზი მისი სიმაღლე (206 სმ), ნახტომი და მონდომებაა. თავად კალათბურთელსაც კარგად ესმის, რომ ბევრი აქვს სამუშაო როგორც სროლაზე, ასევე ფარქვეშ თამაშსა და დრიბლინგზე. მას ზაზა ფაჩულიას თამაში კი მოსწონს, მაგრამ მიაჩნია, რომ სამომავლოდ დირკ ნოვიცკის სტილში ითამაშებს – პერიმეტრიდანაც ხშირად შეუტევს და ფარქვეშიდანაც.

როცა აკაკი დვალიშვილს ინტერვიუს ჩაწერა შევთავაზე, ენერჯის სკამისკენ მიმითითა – აგერ რამდენი კარგი კალათბურთელიაო. ავუხსენი, რომ გვაქვს რუბრიკა – პერსპექტივა, რომელშიც ახალგაზრდა კალათბურთელებზე ვსაუბრობთ. აკაკის ნათქვამმა ვლადიმერ სტეფანიას მონათხრობი გამახსენა: როცა სლოვენიის "ოლიმპიას" მენეჯერი ჩემთან მოვიდა, ჩემს თანაგუნდელებზე მივუთითე – მაინცდამაინც მე რატომ მომადექით, ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებში ჩემზე გაცილებით ძლიერი მოთამაშეები არიანო...

დროა თავად აკაკი დვალიშვილსაც მოვუსმინოთ. ჯერ მისი საკალათბურთო კარიერის დასაწყისზე ვთქვათ:

- კალათბურთის თამაში 1999 წელს, 9 წლისამ რუსთავში დავიწყე. პირველი მწვრთნელი გურამ რეხვიაშვილი იყო.

**- კალათბურთელობა რატომ აირჩიე?**

- პატარაობიდანვე მაღალი ვიყავი და გადავწყვიტე მაღლების სპორტზე, კალათბურთზე მევლო. თავიდან გართობის მიზნით ვვარჯიშობდი, შემდეგ საქმეს სერიოზულად მოვეკიდე და მინდა კალათბურთი ჩემს მთავარ პროფესიად ვაქციო.

**- გურამ რეხვიაშვილის გუნდიდან რუსთავის "ენერჯის" დუბლებში როდის გადახვედი?**

- 15 წლისა რომ გავხდი, ახალგაზრდულ გუნდში ბადრი კიკვიძემ გადამიყვანა და მას შემდეგ აქ ვარ.

**- 20-წლამდელების გარდა ჭაბუკთა მთავარ გუნდშიც თამაშობ. როგორ ასწრებ?**

- დილაობით დიდ გუნდთან ერთად ვვარჯიშობ, საღამოს – დუბლებთან.

**- მერე არ იღლები?**

- თუ გინდა, რამეს მიაღწიო, უნდა დაიღალო კიდეც. კალათბურთზე ფიქრის გარდა დრო არაფრისთვის მრჩება, ვარჯიშების შემდეგ დასვენებაზე ვზრუნავ, რათა მეორე დღეს ენერგიულად ვიყო.

**- ჭაბუკებთან მხოლოდ თამაშობ?**

- 18-წლამდელთა გუნდში ძირითადად 1991 წელს დაბადებულები არიან, ისინი, ვისთან ერთადაც გავიზარდე და ამიტომ მათთან შეთამაშების პრობლემა არ მაქვს. ჭაბუკებთან ვარჯიში რომც მოვინდომო, ფიზიკურად ვერ შევძლებ.

**- სწავლა?**

- კარგად მესმის, რომ სწავლაც აუცილებელია. ახლა მე-12 კლასში ვარ, მაგრამ უნივერსიტეტში ამ ზაფხულს ვერ ჩავაბარებ. ახლა მხოლოდ ინგლისურ ენაში ვემზადები. იმედი მაქვს, მომავალში სწავლისთვისაც მოვიცლი.

**- ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ჩემპიონატებში ორმაგ დუბლს თითქმის ყოველ მატჩში აგროვებ. რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის ციფრები?**

- ყურადღებას არ ვაქცევ-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ სტატისტიკაზე მნიშვნელოვნად გუნდური, სწორად თამაში და გამარჯვება მიმაჩნია.

**- ყველაზე მეტად რა კომპონენტზე გაქვს სამუშაო?**

- სროლაზე მუშაობის შეწყვეტა არასოდეს შეიძლება. დასახვეწი მაქვს დრიბლინგი, რაზეც ყოველდღიურად ვვარჯიშობ.

**- შენი სიმაღლის თითქმის ყველა ქართველი სამქულიანს ნორმალურად ისვრის...**

- ვერ ვიტყვი, რომ პერიმეტრიდან ცუდად ვისვრი, თუმცა ამაზე კიდევ ვმუშაობ. ახალგაზრდულ გუნდებში ძირითადად ფარქვეშ ვტრიალებ და გარეთ გასვლა იშვიათად მიწევს.

**- ჭაბუკთა გუნდს რა მიზნები აქვს?**

- განსხვავებით რუსთაველთა ახალგაზრდული და მთავარი გუნდებისგან, ჭაბუკებს ჩემპიონობის ნაკლები შანსი აქვთ. 20-წლამდელთა ჩემპიონატში კი პირველობის მთავარი ფავორიტები ვართ. სეზონში მხოლოდ ერთი წაგება გვაქვს. უმაღლესი ლიგის მონაწილე "ენერჯის" წაგება არ აქვს და ყველა საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ მათ ჩემპიონობაზე ვიფიქროთ. ართალია, ამ გუნდში ხშირად არ მიწევს თამაში, მაგრამ "ენერჯიში" ძლიერი შემადგენლობაა შეკრებილი და მათთან ვარჯიშით დიდ გამოცდილებას ვიღებ.

**- ბოლოს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებზე ვთქვათ...**

- წლევანდელ 18-წლამდელთა ნაკრებში ის შემადგენლობაა შეკრებილი, რომელმაც შარშანწინ ელიტაში ადგილი შეინარჩუნა. მართალია, ქვედა ეშელონიდან ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა ძნელი იქნება, მაგრამ იმედი მაქვს მიზანს მივაღწევთ. ჩვენს შემადგენლობაში ხომ თორნიკე შენგელია, ნიკა მეტრეველი, ბექა ჩიკვილაძე, ლევან სულაბერიძე და სხვა კარგი კალათბურთელები თამაშობენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

20-წლამდელთა ჩემპიონატი

# ლიდერთა წინსვლა

**ქუთაისი–მაკაბი 68:104**

16:22, 13:27, 22:20, 17:35

ქუთაისი: ტუკვაძე (27 ქ, 11 მ), კანდელაკი (12 ქ, 9 მ)

მაკაბი: ჯანგველაძე (43 ქ), აჰმედიანი (14 ქ), ლონდარიძე (13 ქ, 10 მ), ჯიქია (11 ქ)

**რუსთავი–მართვე 108:91**

25:14, 31:29, 20:22, 32:26

რუსთავი: აბაიშვილი (25 ქ), დვალიშვილი (21 ქ, 17 მ), ხმელიძე (18 ქ), ჩაჩანიძე (15 ქ), მაჭავარიანი (12 ქ)

მართვე: მეჭურჭლიშვილი (22 ქ, 11 მ), მუმლაძე (19 ქ), ჭიჭუეიშვილი (16 ქ), ლომოური (13 ქ)

**სამედიცინო–მაკაბი 71:85**

22:24, 20:16, 16:17, 13:28

სამედიცინო: ლეჟავა (26 ქ), ნიკლაური (15 ქ)

მაკაბი: ჯანგველაძე (23 ქ, 12 მ), ლონდარიძე (18 ქ, 23 მ), კილაძე (16 ქ)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 11 | 10 | 1 | 21 |
| 2. სამედიცინო | 11 | 5 | 6 | 16 |
| 3. მაკაბი | 9 | 5 | 4 | 14 |
| 4 მართვე | 9 | 4 | 5 | 13 |
| 5. აკადემია | 7 | 5 | 2 | 12 |
| 6. ქუთაისი | 11 | 0 | 11 | 11 |

მოკლე დროში **ჯამლეტ ხუხაშვილის** "მაკაბიმ" ორი მატჩი გამართა და ორივე მოიგო. ახალგაზრდული ჩემპიონატის შარშანდელმა ფინალისტებმა, მაკაბელებმა ქუთაისში იოლად გაიმარჯვეს, ხოლო სასოფლოს დარბაზში, "სამედიცინოსთან" ძალიან გაუჭირდათ. **სერგო იშხნელის** მიერ გაწვრთნილმა "მედიკოსებმა" შეხვედრა კარგად დაიწყეს და რიგ ეპიზოდებში მეტოქეს საკუთარ თამაშსაც ახვევდნენ. ისინი საფინალო 3 წუთს ორქულიანი უპირატესობით შეხვდნენ, მაგრამ დარჩენილ დროში მაკაბელებმა 17:3 სპურტი მოაწყვეს და სეზონის მეხუთე გამარჯვება ჩაიწერეს. მათგან ორმაგი დუბლით გამოირჩა **ილია ლონდარიძე** – 18 ქულა, 23 მოხსნა. 23 ქულით სნაიპერი გახდა **გიორგი ჯანგველაძე**, რომელმაც ქუთაისში 43 ქულა მიითვალა.

მოქმედმა ჩემპიონებმა, რუსთაველებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ სატურნირო ცხრილს სათავეში შემთხვევით არ უდგანან. მათ **კახა შენგელიას** "მართვეს" 108:91 აჯობეს. გამარჯვებაში ორმაგდუბლიანი წვლილი შეიტანა **აკაკი დვალიშვილმა** (21 ქულა, 17 მოხსნა), რომელმაც 9-დან 9 ორქულიანი ჩააგდო. მასზე მეტი, 25 ქულა მოაგროვა აბაიშვილმა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჭადრაკი

**მაია ჩიბურდანიძეს** სტამბოლში არ უმართლებს - გუშინაც, მეცხრე ტურშიც იმგვარი შეცდომების კასკადი დაუშვა, რომელსაც დაბალი კვალიფიკაციის მოჭადრაკეც არ პატიობს უძლიერესებს... შვედი **პია კრამლინგი** კი ნამდვილად არ არის ახალბედა და ვაჟი დიდოსტატებისთვისაც ხშირად მოუგრეხია კისერი. მართალია, მიმდინარე ტურნირზე არც კრამლინგი ყოჩაღობდა, მაგრამ წინა ტურში გაიმარჯვა და, როგორც გამოჩნდა, მისი ჩამოწერა ნაადრევი იყო. სამწუხარო ის არის, რომ ჩიბურდანიძემ თეთრებით დათმო პარტია, რაც დებიუტის არცთუ დამაჯერებლად გათამაშების ბრალია, - მაიამ როქის გაკეთება ვერ მოასწრო და დაფის ცენტრში გახირულმა მისმა მეფემ წასასვლელი ველარსად იპოვა. შედეგი სავალალოა - შამათი 43-ე სვლაზე. ამ მარცხმა მაღალ ადგილზე გასვლის ყველა შანსი მოუსპო ქართველს; ერთადერთი, რასაც შეიძლება გამორჩეს, ბოლო ორ ტურში მოგებით მერვე - მეცხრე ადგილებს არ ჩაცდება. ასეთი სურათი იმიტომაც შეიქმნა, რომ უშუალო კონკურენტებმა შედეგიანად ითამაშეს. მხოლოდ ჩინელმა **იანკ შენმა** წააგო, ეს თეთრებით მოახერხა და თანაც უიმედო აუტსაიდერთან, თურქ **ქემრე ილდიზთან**. სიმართლე გითხრათ, ტურნირის მთავარ სენსაციადაც შეიძლება მოინათლოს თურქის გამარჯვება, მაგრამ ჩვენთვის მაინც უმნიშვნელო მოვლენაა. სხვა საქმეა თურქთათვის და განსაკუთრებით ტურნირის ორგანიზატორებისთვის - შესაძლოა, კაი გემრიელი ლხინიც კი გამართონ გამარჯვების აღსანიშნავად.

ყველაზე დრამატული ლიდერების - **სიუ ჭაოს** და **ჰამპი კონერუს** დაპირისპირება იყო. თეთრებით მოთამაშე ჩინელმა ბევრს კი ეცადა მოგებას, მაგრამ შუა თამაშში ინიციატივა ინდოელის ხელში გადავიდა და ყაიმიც კი სანატრელი გაუხდა. მისდა ბედად, მოახერხა ნახევარი ქულის გადარჩენა და კვლავ პირველ ადგილზე დარჩა. მისი შეფერხებით ვერ ისარგებლა **იფან ჰოუმ**. ის შავებით ხვდებოდა ფრანგ **არი სებაგს** და მხოლოდ ყაიმს გამორჩა. სამაგიეროდ, იმარჯვა სომეხმა **ელინა დანიელიანმა**, რომელმაც თეთრებით აჯობა ეკვადორელ **მარტა ფიეროს**. ფიეროს მარცხი მარცხზე მოსდის და ალბათ ველარც გაიმართება წელში. ბოლო ტურში მასთან მაიას აქვს სათამაშო. შავებით მოიგო ბულგარელმა **ანტუანეტა სტეფანოვამ**, - მისი მსხვერპლი აუტსაიდერი **ზეინაბ მამედიაროვა** გახლდათ. ამ მოგებით სტეფანოვა ლიდერებს მიუახლოვდა და კარგი შანსიც გაიჩინა, ხოლო აზერბაიჯანელმა დიდოსტატმა საბოლოოდ ჩაყვინთა ცხრილის ფსკერზე.

ტურნირის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი. დღევანდელი წყვილები ასეთია: **კონერუ - სტეფანოვა; კრამლინგი - მამედიაროვა; ილდიზი - ჩიბურდანიძე; ფიერო - იანკ შენი; იფანი - დანიელიანი; სიუ ჭაო - სებაგი.**

სატურნირო მდგომარეობა ცხრა ტურის შემდეგ: **1. სიუ ჭაო -7,5; 2. 7; 3-4. ჰამპი კონერუ, ელინა დანიელიანი - 6,5; 5-6. ანტუანეტა სტეფანოვა, მარი სებაგი - 5-5; 7-8. მაია ჩიბურდანიძე, პია კრამლინგი - 4-4; 9. მარტა ფიერო - 3,5; 10. იანკ შენი - 2; 11-12. ზეინაბ მამედიაროვა, ქემრე ილდიზი - 1,5-1,5.**

**ზვიად შათირიშვილი**

# უცნაური ბოლო ტური

ასეთი რამ ევროპის ვაჟთა ჩემპიონატის ათწლიანი ისტორიის განმავლობაში ჯერ არ მომხდარა - მეთერთმეტე, ბოლო ტურის დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთნაირი ქულებით ცხრილს სათავეში ერთბაშად თერთმეტი მონაწილე ჩაუდგა. ასეთ შემთხვევაში კოეფიციენტით ლაგდებიან მოჭადრაკეები, ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე განსაკუთრებული წესები მოქმედებს, ანუ მხოლოდ კოეფიციენტებით არ წყდება ადგილების გადანაწილება, - დამატებითი შეხვედრები უნდა გაიმართოს, რათა გამოვლინდეს 24 მონაწილე, ვინც მომავალ მსოფლიოს თასზე თამაშის უფლებას მიიღებს. საბედნიეროდ, ამ თერთმეტეულში აღმოჩნდა ქართველი **ბაადურ ჯობავაც**, რომელმაც გუშინ თეთრებით შესანიშნავ სტილში დაამარცხა ბულგარეთის მეორე ნომერი მოჭადრაკე, მსოფლიოსა და, შესაბამისად, გინესის წიგნის რეკორდსმენი ერთობლივი თამაშის სეანსში მოგებათა რაოდენობის მიხედვით, **კირილ გეორგიევი**. ბულგარელის რეიტინგი საკმაოდ მაღალია - 2634 და გამარჯვება ძალზე რთული იყო, მაგრამ ბაადურმა ისე ითამაშა, როგორც სინამდვილეში, დამჯდარ გონებაზე შეუძლია და შანსი არ მისცა მრისხანე მეტოქეს. სამწუხაროდ, სხვა ქართველებმა ვერ ივაჟკაცეს და ფინიში ისეთი ჰქონდათ, უარესი წარმოუდგენელია: წააგეს **მერაბ გაგუნაშვილმა** და **თორნიკე სანიკიძემ**, თან არცთუ ძლიერ მეტოქეებთან; **მიხეილ მჭედლიშვილი** კი საერთოდ არ მივიდა დარბაზში. ცხადია, ასეთი საქციელისთვის მას წაგება ჩაეთვალა, ის კი, თუ რატომ არ ითამაშა, სხვა განხილვის საქმეა და ალბათ მყარი არგუმენტებიც ექნება ქართველ დიდოსტატს, რომ ორგანიზატორთაგან სასჯელი არ მიიღოს... ჩვენ მჭედლიშვილის ავადმყოფობაზე თუ მივიტანთ ეჭვს, - სამწუხაროდ, ზუსტი ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

დღეს და ხვალ ტაიბრეიკები გაიმართება და ყველა ადგილს და პრიზიორს ამის შემდეგ მიენიჭება კუთვნილი ადგილი. თუმცა იმ მაჩვენებელს, რაც ძირითად ტურნირში თამაშით დაიმსახურეს მონაწილეებმა, აღარაფერი არც მიემატება და არც გამოაკლდება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გაუწყოთ, თუ რამდენი რეიტინგქულა შეიმატეს ან დაკარგეს ქართველებმა. სამწუხაროდ, ჯობავას გარდა, ყველამ დაიკლო: მჭედლიშვილმა 13 ქულით იზარალა, სანიკიძემ - 3,3 - ით, ხოლო გაგუნაშვილმა - 2,5 -ით; ბაადურს კი მნიშვნელოვანი მატება აქვს - 13,5 ქულა.

ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს ქალთა ევროპის ჩემპიონატიც. გახსოვთ, რომ **სალომე მელია** ორ ქალბატონთან ერთად ლიდერობდა ტურნირს და გუშინ სომეხ **ლილიტ მკრტჩიანს** ხვდებოდა შავებით. გასაკვირია, მაგრამ მელიამ ძალიან უსუსურად წარმართა პარტია და 27 სვლაში დამარცხდა. ასეთ სწრაფ მარცხს ნამდვილად არ ველოდით. ქალთა ჩემპიონატზე კიდევ ორი ტურია დარჩენილი და ქართველებს ჩემპიონობის შანსი შერჩათ, თუმცა, ალბათ, მხოლოდ **მაია ლომინეიშვილს** თუ შეუძლია იბრძოლოს რეალურად პირველობისთვის. მაიამ გუშინ თეთრებით დაამარცხა რუსი **ბაირა კოვანოვა** და შვიდი ქულა გაუხდა. ამდენივე კიდევ ხუთ ქალბატონს აქვს, რომელთაგან ერთ-ერთს - პოლონელ **მონიკა სოცკოს** ლომინეიშვილი დღეს შეხვდება შავებით.

ჩემპიონობის შანსი ობიექტურად დაკარგული აქვს **ნანა ძაგნიძეს** და **სოფიკო ხუხაშვილს**, რადგანაც მათ გუშინ ერთმანეთში ქულა გაიყვეს და ლიდერებს ერთი ქულით ჩამორჩნენ, რაც ფინიშამდე ორი ტურით ადრე დიდ სხვაობას ნიშნავს.

გუშინდელ ტურში გასახარი შედეგი ნაკლებად გვქონდა, მაგრამ სასიხარულოც ვიხილეთ. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ცხრამეტი წლის **სოფიკო გურამიშვილის** წარმატება. სოფომ შავებით ყაიმით დაასრულა შეხვედრა რუს დიდოსტატ **ტატიანა მალგინასთან**, რის შემდეგაც 5,5 ქულა გაუხდა, რაც სავსებით საკმარისია ქალთა შორის დიდოსტატის ნორმის შესასრულებლად. გურამიშვილს აქამდე დიდოსტატის ორი ბალი ჰქონდა და ერთიც სჭირდებოდა. ასე რომ, ეს ზღვარიც დაძლეულია და სულ მალე ფიდეს საპრეზიდენტო კონგრესზე მას დიდოსტატობას ოფიციალურად მიანიჭებენ. ზუსტი სტატისტიკა არ გვაქვს დღეისათვის, მაგრამ ვფიქრობთ, რომ სოფიკო გურამიშვილი საქართველოს ქალთა ჭადრაკში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატია. ცხადია, **მაია ჩიბურდანიძის** რეკორდს ვერ შეწვდება - მაია 17 წლის ასაკში გახდა დიდოსტატი, მაგრამ მაინც შთამბეჭდავი შედეგია.

ევროპის ჩემპიონატებზე, როგორც ბუდვაში, ისე - სანკტ-პეტერბურგში ასპარეზობა გადამწყვეტ ფაზაში შედის და გულშემატკივარს დიდი ინტრიგა ელოდება...

**ზვიად შათირიშვილი**

ადამიანი დროში

# წყალბურთისთვის გალეული წლები

მისი სპორტული ბიოგრაფია კალათბურთით დაიწყო. 13 წლისა ცნობილ მწვრთნელ სულიკო თორთლაძესთან ვარჯიშობდა. ქალაქის პირველობაზე მიხეილ ქორქიას და ზურაბ საკანდელიძის წინააღმდეგაც უთამაშია, კარგ მომავალს უქადდნენ, მაგრამ ერთმა შემთხვევამ სპორტული პროფილი შეაცვლევინა.



— მე და ჩემი დეიდაშვილი — რევაზ ძოძუაშვილი ბებია-ბაბუასთან ვიზრდებოდით ქუთაისში — გვითხრა სახელოვანმა ვეტერანმა წყალბურთელმა **მურთაზ გულედანმა**. — ორივენი სამუსიკო სკოლაში ვსწავლობდით. მე — ვიოლინოზე, რეზო კი ჩელოზე უკრავდა. მერე სპორტმა გაგვიტაცა. ტანი ავიყარე და დედამ კალათბურთზე მიმიყვანა, რეზომ რინგზე გადაინაცვლა და პერსპექტიულ მოკრივედაც ითვლებოდა.

**— წყალბურთზე როგორ მოხვდით?**

— ზაფხულობით რიონზე დავდიოდით საბანაოდ. კარგად ვცურავდი. ხშირად ვეჯიბრებოდი ბიჭებს. ერთხელ დიმიტრი ხორავას ვუნახივარ. ამ ამაგდარი პიროვნების ინიციატივით ქუთაისში წყალბურთის სკოლა შეიქმნა და ლითოფონის ქარხნის აუზში მსოფლიო კლასის სპორტსმენები გაიზარდნენ — გივი ჩიქვანაია, ლერი გოგოლაძე, ოთარ მიმინოშვილი და სხვები. მეგობრებთან ერთად მიმიწვია აუზზე. ისე მალე ავითვისე ბრასით ცურვა, რომ ორი კვირის შემდეგ საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე ცნობილი მწვრთნელის ლუკა იოაკიმიდის ყურადღება მივიქციე...

ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა: კალათბურთში ნაწრთობ მურთაზ გულედანს ქუთაისის წყალბურთელ მოსწავლეთა ნაკრებში მოხვედრა არ გასჭირვებია. 1958 წელს საქართველოს სპარტაკიადაზე II ადგილი დაიკავა. ზურაბ ჩაჩავამ და ვლადიმერ ბარნაბიშვილმა თანატოლთა რესპუბლიკურ ნაკრებში მიიწვიეს. 1959 წელს მინსკში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მე-2 ადგილი ხვდა. მომდევნო წელს ვილნიუსში კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მაშინ მასთან ერთად თამაშობდნენ ვასილ სანაძე, რევაზ ოჩიგავა, ირაკლი სხირტლაძე, რუდიკო გოგუაძე, რომლებიც შემდეგ საკავშირო ჩემპიონატებშიც მონაწილეობდნენ.

— 1961 წელს ბათუმში პროფკავშირების საკავშირო პირველობა გაიმართა, — ბატონმა მურთაზმა თითქმის ნახევარი საუკუნის წინანდელი ამბავი გაიხსენა. — მაშინ თბილისის „ქარიშხალაში" ვთამაშობდი. აჭარის დედაქალაქში საასპარეზოდ საკმაოდ ძლიერი კოლექტივები ჩამოვიდნენ. მათ შორის — ლენინგრადის „ბალტიკა" და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი. ყველას ვაჯობეთ და პირველი ადგილი დავიკავეთ. ამ წარმატებისათვის სპორტის ოსტატობა მოგვანიჭეს.

1964 წელს მურთაზ გულედანი თბილისის „დინამოში" მიიწვიეს, რომლის ღირსებასაც თერთმეტი წლის განმავლობაში იცავდა. 1966 წლის საკავშირო პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს საბჭოთა კავშირის სპარტაკიადაზეც ბრინჯაო ერგო.

— ლენინგრადის ნაკრებთან დაძაბული ორთაბრძოლა გადავიტანეთ. მხოლოდ მოგების შემთხვევაში შეგვეძლო სპარტაკიადის საპრიზო ადგილზე გასვლა. კარგად ითამაშეს ბიჭებმა. მახსოვს, სამი პენალტი მოვიგერიე. იმ თამაშს საქართველოს სპორტის მესვეურებიც ესწრებოდნენ. თბილისში დაბრუნებულს „ვოლგის" ურიგოდ გამოყვანის ტალონი მაჩუქეს. მაშინ ეს დიდი საქმე იყო...

მურთაზ გულედანმა აქტიურ სპორტს 1975 წელს დაანება თავი. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის წევრი. რომის სამართალში, სამართლის ისტორიასა და სისხლის სამართალში ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მის ფილიალში, თბილისის იურიდიულ-ფსიქოლოგიურ ინსტიტუტში; ერთხანს საქართველოს მოსწავლეთა და უფროსთა ნაკრები გუნდების, თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელიც გახლდათ. პეკინის ქუჩაზე საკუთარი სახსრებით წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესია ააშენა. ამჟამად საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და ვეტერან წყალბურთელთა ეროვნული ასოციაციის გენერალური მდივანია.

— ჩვენთვის წყალბურთი უცხო არ არის — შეიძლება ითქვას, გენებში გვაქვს. ტიტულოვანი გუნდები დაგვიმარცხებია. მარტო ის რად ღირს, რომ ქართველ წყალბურთელებს ოლიმპიურ თამაშებზე 11 სხვადასხვა სინჯის მედალი აქვთ მოპოვებული. 25 ასეთი ჯილდო კი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე მოიხვეჭეს. საგულისხმოა, რომ გივი ჩიქვანაია, რევაზ ჩომახიძე, პეტრე და გიორგი მშვენიერაძეები მსოფლიოს ათ საუკეთესო წყალბურთელებში შედიან.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან საქართველოში დატრიალებული ცნობილი მოვლენების შემდეგ ტრადიციები დავთმეთ, ამის მიუხედავად, ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა იმ ძნელბედობის ჟამსაც, ერთხელ მსოფლიოს და ოთხჯერ ევროპის პირველობების ფინალურ ეტაპზე იასპარეზა, ორჯერ რუსეთის ღია ჩემპიონატი მოიგო. ეს მაშინ, როცა ნაკრებისთვის ბიჭებს 30-40 წყალბურთელისგან არჩევდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, მეტი შესაძლებლობების შემთხვევაში როგორი წარმატება გვექნება.

**— რა არის საამისოდ საჭირო?**

— უპირველესად, სახსრები და ყველაფერიც იქნება — ბაზები, ინფრასტრუქტურა, ფორმები, ინვენტარი. ბოლო დროს სახელმწიფომ კეთილი ნება გამოხატა და საქართველოში წყალბურთი სათამაშო სახეობებს შორის პრიორიტეტად მიიჩნია. შეიქმნა წყალბურთის განვითარების კონცეფცია, მოკლე და გრძელვადიანი პროგრამებით. ძირითადი აქცენტი აღებულია მოზარდებზე. მათთან მაღალკვალიფიციური მწვრთნელები იმუშავებენ. ჩამოყალიბდება კლუბები, რომლებიც ეროვნულ ჩემპიონატებში იასპარეზებენ. სხვათა შორის, შარშან, თექვსმეტწლიანი შესვენების შემდეგ, პირველად ჩავატარეთ ქვეყნის პირველობა. სამომავლოდ ამგვარი შეჯიბრებები უფრო საინტერესო და დაძაბული იქნება. საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ ნაკრებს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სახელოვანი წყალბურთელი ვლადიმერ ისელიძე. მისი ხელმძღვანელობით გუნდი უკრაინის ღია ჩემპიონატში მონაწილეობს და ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, რომელმაც ეროვნული ნაკრებისთვის საბაზო კლუბი შექმნა, ბიჭებს ხელფასები დაუნიშნა და სპორტკომპლექს „ქარიშხალაში" სავარჯიშოდ 25-მეტრიანი აუზი უფასოდ დაუთმო. კარგია, ამ მაგალითს სხვებიც თუ მიბაძავენ.

საგულისხმოა ისიც, რომ ამავე უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა საწყლოსნო სახეობების განვითარების ცენტრი, რომელიც თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მწვრთნელებს მოამზადებს.

წყალბურთის პოპულარიზაცია უფრო სწრაფი ტემპითაც შეიძლებოდა, შესაბამისი ბაზები რომ გვქონდეს. ამ პრობლემის მოსაგვარებლადაც საწყლოსნო სახეობების ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი **ალექსანდრე ბითაძე**) უკვე გადადგა ნაბიჯები კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თანადგომითა და დახმარებით. კერძოდ, თბილისში ჩოლოყაშვილის ქუჩაზე წლეულს გარემონტდება სამი აუზი, ხოლო ქუთაისში მწყობრში ჩადგება დიდი საწყლოსნო კომპლექსი, სადაც წყალბურთისთვის ცალკე გამოიყოფა სტანდარტული ზომების აუზი. ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ქართველი წყალბურთელები ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე ვიხილოთ. ცხადია, ეს მეტად რთული საქმეა, თუმცა არა მიუღწეველი...

ორი შვილის მამა და ხუთი შვილიშვილის ბაბუა, რომელმაც ახალგაზრდობის საუკეთესო წლები წყალბურთს შეალია, ისევ სპორტის ამ სახეობის კეთილდღეობისთვის იღვწის. ბატონ მურთაზ გულედანს დღეს 65 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ!

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი

ინტერვიუ ვლადიმერ რუსიასთან


ეროვნული ბიბლიოთეკა

# არაბეთი, სტუ, ევროპა...

**ცოტა ხნის წინათ საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ვლადიმერ რუსია დროებით უგუნდოდ დარჩა. იგი თბილისშია და დროს უქმად არ კარგავს – ინდივიდუალურადაც ვარჯიშობს და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთადაც. დანარჩენს თავად ვოვასთან ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**- რატომ წამოხვედი ბუქარესტის "დინამოდან"?**

- სამწუხაროდ, კლუბს ფინანსური პრობლემები შეექმნა და დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. არადა, ყველაფერი კარგად იყო. გუნდიც წარმატებით თამაშობდა და ჩემი მდგომარეობითაც კმაყოფილი ვიყავი.

**- ამის შემდეგ აზიის ჩემპიონთა ლიგაშიც მოსინჯე ძალები...**

- დიახ, ბეირუთში ვიყავი, სადაც იქაური "ასადის" ღირსებას ვიცავდი. იქ დიდხანს არ დავრჩენილვარ. გუნდს აზიის ჩემპიონთა ლიგაში დავეხმარე, სადაც საკმაოდ კარგ შედეგს მივაღწიეთ – 16 გუნდში მე-5 ადგილზე გავედით. თავიდანვე ვიცოდი, რომ "ასადს" მხოლოდ ჩემპიონთა ლიგისთვის ვჭირდებოდი, რადგან ეროვნულ ჩემპიონატში ლეგიონერთა გარეშეც იოლად იმარჯვებს. მოკლევადიანი კონტრაქტი მქონდა და ერთმანეთს კეთილი სურვილებით დავშორდით.

**- ამჟამად თუ გაქვს კონკრეტული შეთავაზება?**

- კლუბების დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ მერწმუნეთ, უცხოეთში მალე წავალ. ალბათ, უფრო ამ სეზონის დასრულების შემდეგ.

**- ევროპაში თუ აზიაში?**

- აუცილებლად ევროპაში. კარგად ვიცი, რომ არც ახალ კლუბში დამკვიდრება გამიჭირდება. საამისოდ თბილისში სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. ბუქარესტამდე დონეცკის "შახტიორშიც" მითამაშია. ასე რომ, უცხოურ გარემოსთან შეგუებას ნაჩვევი ვარ.

**- მანამდე უკლუბოდ იქნები თუ დროებით საქართველოს ჩემპიონატში ითამაშებ?**

- ტრენაჟორებზეც დავდივარ და ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთადაც ვვარჯიშობ, მაგრამ სათამაშო პრაქტიკაც ჰაერივით მჭირდება. ამიტომაც, ალბათ, საქართველოს ჩემპიონატში ჩავერთვები.

**- რომელი კლუბის შემადგენლობაში?**

- რაღა თქმა უნდა, ჩემს მშობლიურ გუნდს, სტუ-"შევარდენს" დავეხმარები. ხელბურთის ანბანა იქ ვისწავლე და რაკი თბილისში ვარ, მას მორიგი ჩემპიონობის მოპოვებაში ხელი უნდა შევუწყო.

**- გასული წლის ბოლოს ეროვნულ ნაკრებს პოლონეთში ტრავმის გამო ვერ დაეხმარე. ახლა როგორია შენი ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

- ძალიან დამწყდა გული, რომ საქართველოს ნაკრებს საჭირო მომენტში გამოვაკლდი, მაგრამ მაშინ სხვანაირად არ გამოდიოდა. საბედნიეროდ, მკურნალობის პროცესმა კარგად ჩაიარა და დღეს აღარაფერი მაწუხებს. ყველანაირად მზად ვარ იმისთვის, რომ ახალ კლუბში დავმკვიდრდე და, რაც მთავარია, ნაკრებს ნებისმიერ ტურნირზე გამოვადგე.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჩოგბურთი

# ორ ფრონტზე ბრძოლა ძნელია

**ოქსანა კალაშნიკოვას** (385) ბრძოლამ ორ ფრონტზე თავისი ნეგატიური შედეგი გამოიღო - ჩვენებურმა გიზის ტურნირის (10 ათასი $) ფინალიც დათმო და ვერც კაიროს ტურნირის (25 ათასი $) ძირითად ბადეში შეძლო გაღწევა. კაიროში მეორე საკვალიფიკაციო წრეში მე-9 ნომრად განთესილმა კალაშნიკოვამ გერმანელი **იასმინ შტაინერი** (997) დაამარცხა - 6:2, 6:3. ფინალურ წრეში იგი უნგრელ **რეკა-ლუკა იანის** (800) შეხვდა. ოქსანამ ბრძოლის ჩამთავრებაზე უარი განაცხადა - 6:7 (3), 0:3... ასე დაემშვიდობა ოქსანა კალაშნიკოვა ეგვიპტეს, სადაც ორი ტიტული მოიგო და ერთხელ ფინალში ითამაშა. უახლოეს რეიტინგში ჩვენებური საკმაოდ წაიწევს წინ.

17 წლის **ეკა გორგოძემ** (601) ვერ შეძლო ტენერიფეს საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი $) ძირითად ბადეში გასვლა. პრინციპული შეხვედრა მან მე-4 ნომრად განთესილ ლუქსემბურგელ **მენდი მინელასთან** (332) წააგო - 0:6, 3:6. ასე რომ, კანარის კუნძულებზე ძირითად ტურნირში მხოლოდ ერთი ქართველი ითამაშებს - **მაკა ჩახნაშვილი** (212).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ოქსანა კალაშნიკოვა

# ფორმულა 3-ის ქართველი ასი

11 «

საკავშირო საავტომობილო ფედერაციაში ამ ამბავს დიდი ალიქოთი მოჰყვა. ინციდენტში ყველა დგებუაძეს სდებდა ბრალს და მის სასტიკად დასჯას მოითხოვდნენ. უკვე შეგუებული იყო იმ აზრს, რომ ხანგრძლივ დისკვალიფიკაციას ვერ გადაურჩებოდა. მოულოდნელად, სხდომის მიწურულს ფეხზე წამოდგა გრეკოვის მწვრთნელი **ბორის კუშნარიოვი** და გურამი დაიცვა. თქვა, დგებუაძე ყოველთვის სამაგალითო ყოფაქცევით გამოირჩეოდა, ეს მისი პირველი დანაშაულია და მხოლოდ საყვედური ვაკმაროთო. კუშნარიოვს უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა და ყველა დაეთანხმა.

დგებუაძე უსიამოვნებებს მაინც ვერ ასცდა. ლატვიაში გამომავალმა რუსულენოვანმა გაზეთმა "სპროგმა" საშინლად გააკრიტიკა. ეს სტატია სხვა გამოცემებმაც გადაბეჭდეს. ისე კი, ძირითადად, მრბოლებს ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ.

ეს მისი ერთადერთი კონფლიქტი იყო, ასევე ერთადერთხელ მოყვა სარბოლო ავარიაში, რომელმაც ჩემპიონობა დააკარგვინა. რიგაში გზაზე მოსრიალდა და კინალამ ხეს შეეჯახა. არადა, წესით, ასეთი რამ არ უნდა მოსვლოდა, რადგან მანევრი სწორად შეასრულა. მერე გაიგო, რომ დაღვრილ ზეთზე მოსრიალებულა.

რუსთავის ტრასა გურამ დგებუაძის კარიერის მიწურულს გაიხსნა და მასზე განსაკუთრებული წარმატებით გამოდიოდა. მეორე ჩემპიონობა სწორედ აქ გაუშვა ხელიდან. 1980 წელი იყო, რბოლას ლიდერობდა, როცა მოულოდნელად გულმა ძალიან შეაწუხა და ამის გამო შეჯიბრება მეორე ადგილზე დაასრულა.

ამის შემდეგ კიდევ ერთი წელიწადი იასპარეზა, მაგრამ ხვდებოდა, რომ ფორმულა 3-ის საჭესთან ჯდომა ძველებურ სიამოვნებას აღარ ანიჭებდა. მიხვდა, რომ წასვლის დრო იყო. პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, რბოლა გულით აღარ უნდოდა... თანაც, არც ის ავიწყდებოდა, რომ ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე რბოლისას ინფარქტით გარდაიცვალა მისი უფროსი მეგობარი და გზის გამკვალავი მიშა ლოგინოვი.

დღეს 71 წლის გურამ დგებუაძე "მერსედეს-ბენცის" ცენტრში მუშაობს ინჟინრად, სისტემატურად ესწრება ქართულ რბოლებს და იმედოვნებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ავტოსპორტი განვითარდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

„ლელოს" ჟურნალისტები თანაგრძნობას ვუცხადებთ კოლეგას, ცნობილ ჟურნალისტს პაატა ნაცვლიშვილს მამის, საქართველოს დამსახურებული მხატვრის

**თეიმურაზ (თემო) ნაცვლიშვილის**

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 18.03 (ანაგის 41); გამოსვენება 19.03, 14 საათზე ქაშუეთის ეკლესიიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# შესანიშნავი სამეული

**რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე დაახლოებით თვენახევარი დარჩა. მალე დადგება საშუალედო შედეგების შეჯამების დრო და დარიგდება ტრადიციული ინდივიდუალური პრიზები. რა თქმა უნდა, ყველა დიდ ინტერესს MVP-ის ტიტული იწვევს. დღეს განვიხილავთ ამ პრიზის მაძიებელი სამი ყველაზე რეალური კანდიდატის შანსებს.**







## კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)

*თამაში - 66; ქულა - 28.0; მოხსნა - 5.4; პასი - 4.9; ჩაჭრა - 1.3; დაფარება - 0.5*

ლიგის საუკეთესო გუნდის საუკეთესო მოთამაშე. ასეთი დახასიათება კალათბურთელს ავტომატურად აქცევს რეგულარული ჩემპიონატის MVP-ის ტიტულის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად. **კობი ბრაიანტს** მიზნად აქვს შარშანდელი შედეგის გამეორება და საპატიო ტიტულის მოპოვება. მაგრამ ამავდროულად, კობი სხვანაირი გახდა. საყოველთაო აღიარების შემდეგ, ბრაიანტმა გუნდზე მუშაობა დაიწყო. მას მთავარი ტიტულის - NBA-ის საჩემპიონო ბეჭდის მიღება სურს. კარგად ესმის, რომ ამისთვის მხოლოდ მისი მონდომება საკმარისი არ არის - პლეიოფის გრძელ დისტანციაზე პარტნიორთა მხარდაჭერა აუცილებელი იქნება. კობის დღესაც შეუძლია "ერთი კაცის შოუს" დადგმა. საკმარისია გავიხსენოთ სალამო ნიუ იორკში. ლეგენდარული "მედისონ სკვერ გარდენი" შეუდარებელი კობის მორიგი რეკორდის მხილველი გახდა. 61 ქულა მატჩში - ამ ქალაქში ამდენი ქულა აქამდე არავის დაუგროვებია. მაგრამ ეს შეხვედრა საერთო წესებიდან გამონაკლისი აღმოჩნდა.

დღეს ბრაიანტი ჯერ პარტნიორს გასცქერის და მხოლოდ შემდეგ - ფარს. მისი არსენალიდან გაქრა ავანტიურული გარღვევები და ორი მეურვის აღმართული ხელებიდან ბურთის სროლა. სამაგიეროდ, გაჩნდა ფარული პასები და პარტნიორებთან შეწყობილი კომბინაციები. ბრაიანტი გრძნობს, რომ ტიტული ძალიან ახლოსაა, ამიტომაც დაცვაში "შავ სამუშაოს" არ თაკილობს და უკანა პლანზე მხოლოდ იმისთვის გადადის, რომ გუნდმა გამარჯვებას მიაღწიოს. ეჭვგარეშეა, კობი შეიცვალა, მაგრამ ვინ იტყვის იმას, რომ მას აღარ აქვს სურვილი გახდეს სეზონის უძვირფასესი მოთამაშე?

## დუეინ უეიდი (მაიამი)

*თამაში - 66; ქულა - 29.9; მოხსნა - 5.1; პასი - 7.6; ჩაჭრა - 2.3; დაფარება - 1.4*

სულ რაღაც ორი თვის წინ, ის უბრალოდ "მაიამელი კარგი ბიჭი" იყო, გუნდის მთავარი ვარსკვლავი და MVP-ის ტიტულზე ათიდან ერთ-ერთი პრეტენდენტი. ყველა ანალიტიკოსი აღნიშნავდა **დუეინ უეიდის** უნიკალურ შესაძლებლობებს, მის მაღალ შედეგიანობასა და წაგებული მატჩების გადარჩენის უნარს. ასეთი დახასიათების მიუხედავად, სეზონის ლაურეატობაზე დუეინის შანსები არც ისე მაღლა ფასდებოდა - მოთამაშეს გუნდი ღალატობდა.

მაგრამ თებერვლიდან მოყოლებული, "ჰიტი" სასიამოვნოდ გვაკვირვებს. "ბოსტონთან" და "ჩიკაგოსთან" მატჩების სიტყვებით აღწერა შეუძლებელია - ეს თამაშები უნდა ნახოთ. დღეს, "მაიამის" ნებისმიერი გულშემატკივარი თავს ვალდებულად თვლის, საყვარელი გუნდის საშინაო მატჩზე მიიტანოს პლაკატი წარწერით - "უეიდი - MVP!" მარტო მისი სტატისტიკა იწვევს აღფრთოვანებას. ბოლო ათ მატჩში "მაიამის" მცველი საშუალოდ 36 ქულას და დაახლოებით 10 შედეგიან პასს აგროვებს. დუეინს ყოველ მატჩში შეუძლია სასწაულის მოხდენა.

უეიდს სულ მცირედი სჭირდება - გამარჯვებები. მას სეზონის მთავარი ინდივიდუალური პრიზის მოგების შანსი მხოლოდ მაშინ მიეცემა, თუ გუნდი 45 მოგებაზე მეტს დააგროვებს, "კლივლენდი" და "ლეიკერსი" კი სეზონის ბოლოს დაამარცხებენ.

## ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)

*თამაში - 66; ქულა - 28.5; მოხსნა - 7.5; პასი - 7.2; ჩაჭრა - 1.8; დაფარება - 1.3*

MVP-ის ტიტულზე მთავარ პრეტენდენტს პარტნიორებისგან ერთი რამ განასხვავებს. პროფესიულ არენაზე გამოსვლიდან ხუთი წლის განმავლობაში, **ლებრონ ჯეიმსმა** ჯერაც ვერ მონახა ადგილი მოედანზე. ის არის - "ადამიანი-ორკესტრი". გუნდისთვის ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ის თავად გახდება გუნდი და მარტო გადაუვლის მოწინააღმდეგეს. ელეგანტური ბულდოზერის სტილი დიდი ხანია ლებრონის განმასხვავებელ ნიშნად იქცა.

"კლივლენდში" დღეს საკმაოდ კარგი შემადგენლობა შეიკრიბა. "კავალიერზის" "მანქანამ" საჭირო დეტალები მიიღო და სრული სიმძლავრით ამუშავდა. გუნდის ახალბედა **მორის უილიამსი**, რომელიც "მეფის" მთავარი თანაშემწე უნდა ყოფილიყო, თავად გახდა ვარსკვლავი. **ჟიდრუნას ილგაუსკასმა** თითქოს ხუთი წელი ჩამოიკლოო, ისევ გახდა ლიგის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო ცენტრი. გუნდი თავის "მეფესთან" ერთად მზად არის ტახტზე ასასვლელად.

რთული სათქმელია, რამ უნდა შეუშალოს ხელი ჯეიმსს MVP-ის ტიტულის მოპოვებაში. ის საუკეთესოა როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში. და არ დავივიწყოთ ისიც, რომ ამერიკაში კალათბურთი არამხოლოდ თამაში, არამედ დიდი ბიზნესიცაა. ხალხს გმირები სჭირდება. გახსოვთ, ვინ გამოაცხადეს მეორე ჯორდანად? ჰოდა, დრო მოვიდა.

ამ ფანტასტიკურ სამეულს ჩემპიონატის დამთავრებამდე 16 მატჩის ჩატარება დარჩა. სწორედ ეს ტურები გახდება განმსაზღვრელი MVP-ის ტიტულისთვის ბრძოლაში. პროგნოზი რთული გასაკეთებელია, მაგრამ ერთი რამის თქვა თამამად შეიძლება - გამარჯვებული ჯილდოს ღირსეული მფლობელი გახდება.

# ჩამწარებული იუბილე



## დღის მატჩი: ოკლაჰომა-სან ანტონიო

"სან ანტონიოს" დამრიგებელი **გრეგ პოპოვიჩი** მწვრთნელის რანგში საიუბილეო მე-1000 შეხვედრას ატარებდა და მისი შეგირდები ყოველმხრივ მონდომებულები იყვნენ, თავიანთი მასწავლებლისთვის იუბილე რომ არ ჩაემწარებინათ. უკვე პირველი მეოთხედის ბოლოსთვის "სპურსი" 27:10-ს იგებდა, რაც საკმარისი უპირატესობა უნდა ყოფილიყო აშკარა აუტსაიდერთან მატჩის ლოგიკურ შედეგამდე მისაყვანად. მაგრამ, როგორც ჩანს, სტუმრების სიმშვიდე თვითდაჯერებულობაში გადაიზარდა და მეოთხე მეოთხედში დასავლეთი კონფერენციის მეორე გუნდი მდევრის როლში აღმოჩნდა. **ტონი პარკერი** ყველანაირად ცდილობდა მეტოქის შეჩერებას, მაგრამ სწორედ ფრანგმა ვერ შეძლო შეხვედრის გადარჩენა, როცა ბოლო ორი ტყორცნა ააცილა. 78:76 - "ოკლაჰომამ" შინ ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო, "სან ანტონიომ" კი "ჰიუსტონს" კონფერენციაში მეორე ადგილისთვის ბრძოლის შანსი დაუტოვა.

## დღის ანტიგმირი

ალბათ, დიდი მოხერხება სჭირდება იმას, რომ მორიგი ტურის დღეს კალათბურთელი ციხეში აღმოჩნდეს, თანაც იმ დროს, როცა მისი გუნდი ისედაც მოთამაშეების დეფიციტს განიცდის. მაგრამ **შონ უილიამსმა** ეს მოახერხა: დენვერის გარეუბანში სეირნობისას ერთ-ერთ მაღაზიაში შეიხედა, სითამამისთვის ერთი-ორი იყვირა და იქაურ თანამშრომელს ტელევიზორი ესროლა. "ნიუ ჯერსის" მძიმე ფორვარდი დააპატიმრეს. კლუბის ხელმძღვანელობა კი, ალბათ, მიხვდება, რომ აზრი არ აქვს გუნდში ისეთი კალათბურთელის გაჩერებას, რომელმაც ჯერ კიდევ ბოსტონის კოლეჯში თამაშისას რამდენჯერმე ვერ გაიარა დრაგ-ტესტი. ამ ბიჭს ძალიან უყვარდა ღრუბლებში ფრენა და ოცნებების ასასრულებლად ნებისმიერი ხერხი გამართლებულად მიაჩნდა.

## ტურის რიცხვი: 11

"ჰიუსტონის" ერთ-ერთმა ლიდერმა **რონ არტესტმა** მატჩის დასაწყისში ზედიზედ 11 ბურთი ააცილა ფარს. "როკეტსი" მესამე მეოთხედში 11 ქულას აგებდა "ნიუ ორლეანთან" და საბოლოოდ, 11 ქულა მოიგო. და ამ გამარჯვების მთავარი სულისჩამდგმელი სწორედ არტესტი გახდა. თუ პირველ ტაიმში არ იცოდა როგორ ჩაეგდო ბურთი კალათში, მეორეში აღარ აუცდენია. მისი 18 ქულა ზუსტად ნახევარია იმ მონაგარისა, რაც ორივე გუნდს ბოლო 24 წუთში ჰქონდა. *"ხანდახან ასეთი რაღაცებიც ხდება. მატჩის ერთ ნახევარში არაფერი გამოგდის, სამაგიეროდ, მეორეში შენი გუნდი გონს მოდის და გამარჯვების მოპოვებას ახერხებს"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ რონმა.

| შარლოტი-ტორონტო | 112:86 |
|---|---|

27:22, 30:21, 32:29, 23:14

შ: ჯ. უოლასი (25+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ოგუსტინი (15+6 პასი), დიაო (14), ფელტონი (13+8 პასი+3 ჩაჭრა), რ. ბელი (10).

ტ: ბოში (18+14 მოხსნა), ბარნიანი (13), მერიონი (12), ე. პარკერი (11).

| მემფისი-პორტლენდი | 92:103 |
|---|---|

20:29, 28:24, 18:20, 26:30

მ: მაიო (21+6 პასი), კონლი (20), გეი (17+11 მოხსნა+3 დაფარება), უორიკი (15), მ. გასოლი (10+8 მოხსნა).

პ: ოლდრიჯი (22+8 მოხსნა), როი (20+9 პასი), აუთლო (18), პრჟიბილა (13+13 მოხსნა+4 დაფარება), ბლეიკი (13+6 პასი).

| ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი | 84:95 |
|---|---|

23:23, 24:21, 17:23, 20:28

ნ-ო: პოლი (29+11 პასი+6 ჩაჭრა), დ. უესტი (16+13 მოხსნა+4 დაფარება), რ. ბატლერი (11).

ჰ: არტესტი (18), სკოლა (14+12 მოხსნა), ბრუქსი (14), ლენდრი (12), ვაფერი (12), ბატიე (11).

| ოკლაჰომა-სან ანტონიო | 78:76 |
|---|---|

14:29, 24:13, 23:21, 17:13

ო: დურანტი (25), სეფოლოშა (12+3 ჩაჭრა), ჯ. გრინი (10), კოლისონი (8+10 მოხსნა).

ს-ა: ტ. პარკერი (28+7 პასი), დანკანი (14+12 მოხსნა), ბონერი (10+8 მოხსნა).

| დენვერი-ნიუ ჯერსი | 121:96 |
|---|---|

30:20, 19:23, 34:29, 38:24

დ: სმიტი (19), ნენე (19+8 მოხსნა), დ. ჯონსი (15), ენტონი (15), ბილაპსი (14+10 პასი), ანდერსენი (10+9 მოხსნა),.

ნ-ჯ: კარტერი (32), დუოინგი (17+6 პასი).

## კვირის მოთამაშეები

"კლივლენდ კავალიერზის" მსუბუქი ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველი **კობი ბრაიანტი** გასულის კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატმა ჯეიმსმა თავის გუნდს ოთხიდან ოთხ მატჩში მოაგებინა, თავად კი საშუალოდ თამაშში 34.0 ქულა (საუკეთესო მაჩვენებელი ლიგაში), 10.8 შედეგიანი პასი და 8.8 მოხსნა დააგროვა.

დასავლეთში საუკეთესო კობი ბრაიანტმა თავის გუნდს ოთხიდან სამ მატჩში გაამარჯვებინა. შარშანდელი სეზონის საუკეთესო მოთამაშის ანგარიშზე 28.5 ქულა, 5.0 მოხსნა და ამდენივე შედეგიანი პასი მოდის.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. y-კლივლენდი | 66 | 53 | 13 | 80.3 |
| 2. x-ბოსტონი | 67 | 50 | 17 | 74.6 |
| 3. x-ორლანდო | 66 | 49 | 17 | 74.2 |
| 4. ატლანტა | 67 | 39 | 28 | 58.2 |
| 5. მაიამი | 66 | 36 | 30 | 54.5 |
| 6. ფილადელფია | 64 | 33 | 31 | 51.6 |
| 7. დეტროიტი | 65 | 33 | 32 | 50.8 |
| 8. მილუოკი | 69 | 31 | 38 | 44.9 |
| 9. ჩიკაგო | 67 | 30 | 37 | 44.8 |
| 10. შარლოტი | 67 | 29 | 38 | 43.3 |
| 11. ნიუ იორკი | 66 | 28 | 38 | 42.4 |
| 12. ნიუ ჯერსი | 67 | 28 | 39 | 41.8 |
| 13. ინდიანა | 68 | 28 | 40 | 41.2 |
| 14. ტორონტო | 68 | 24 | 44 | 35.3 |
| 15. ვაშინგტონი | 67 | 16 | 51 | 23.9 |

# კინგზი ანაჰაიმში გადავა?

### ბოსტონი გარნეტსა და დევისს პარასკევს დაიბრუნებს

საინტერესო ცნობას ავრცელებს გაზეთი Boston Globe. გამოცემას ინფორმაციის წყაროდ NBA-ის ხელმძღვანელობა მოჰყავს და წერს, რომ უახლოეს მომავალში "საკრამენტო კინგზი", შესაძლოა, ქალაქ ანაჰაიმში გადაბარგდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კლუბის ხელმძღვანელობა და ქალაქის ადმინისტრაცია ვერ მოაგვარებენ საშინაო სტადიონის პრობლემას. კალიფორნიაში გადასვლის შემთხვევაში, "კინგზი" ჰოკეის კლუბ "ანაჰაიმ დაქსთან" ერთად მორიგეობით დაიკავებს მთავარ არენას. ანაჰაიმის მთავრობის ჩანაფიქრით, საკალათბურთო კლუბმა შტატის სამხრეთიდან გულშემატკივრები უნდა მოიზიდოს.

ასევე ცნობილი ხდება, რომ, შესაძლოა, საკალათბურთო გუნდი დაკარგოს ინდიანაპოლისმა. ბოლო 26 წლის განმავლობაში, "პეისერსის" ზარალმა დაახლოებით 200 მილიონი დოლარი შეადგინა და ქალაქის შეცვლამ კლუბს ახალი ცხოვრების დაწყებაში უნდა შეუწყოს ხელი. სახელდება ოთხი ქალაქი, სადაც შეიძლება "პეისერსმა" ამოჰყოს თავი - სან ხოსე, კანზას-სიტი, სიეტლი და ლას ვეგასი.

■ ■ ■

"ბოსტონ სელტიქსის" მთავარმა მწვრთნელმა **დოკ რივერსმა** განაცხადა, რომ **კევინ გარნეტი** და **გლენ დევისი** გუნდს სავარაუდოდ პარასკევს, "სან ანტონიო სპურსთან" მატჩში დაუბრუნდებიან.

მოქმედი ჩემპიონის დამრიგებელმა ამ ორი ფორვარდის დაბრუნების ალბათობა 50 პროცენტით შეაფასა. შეგახსენებთ, რომ გარნეტმა 19 თებერვალს დაიზიანა მუხლი, დევისი კი 8 მარტიდან მოყოლებული, წვივის ტრავმის გამო არ თამაშობს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. y-ლეიკერსი | 66 | 53 | 13 | 80.3 |
| 2. სან ანტონიო | 66 | 44 | 22 | 66.7 |
| 3. ჰიუსტონი | 69 | 44 | 25 | 63.8 |
| 4. დენვერი | 68 | 43 | 25 | 63.2 |
| 5. პორტლენდი | 67 | 42 | 25 | 62.7 |
| 6. ნიუ ორლეანი | 66 | 41 | 25 | 62.1 |
| 7. იუტა | 67 | 41 | 26 | 61.2 |
| 8. დალასი | 67 | 40 | 27 | 59.7 |
| 9. ფინიქსი | 67 | 36 | 31 | 53.7 |
| 10. გ. სტეიტი | 66 | 23 | 43 | 34.8 |
| 11. მინესოტა | 66 | 20 | 46 | 30.3 |
| 12. ოკლაჰომა | 67 | 19 | 48 | 28.4 |
| 13. მემფისი | 66 | 17 | 49 | 25.8 |
| 14. კლიპერსი | 66 | 16 | 50 | 24.2 |
| 15. საკრამენტო | 67 | 14 | 52 | 21.2 |

**ქულები**

| | |
|---|---|
| დუეინ უეიდი (მაი) | 29.9 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 28.5 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 28.0 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 25.9 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 25.5 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.0 |
| დევიდ ლი (ნ-იორკ) | 12.1 |
| ტროი მერფი (ინდ) | 11.9 |
| ანდრის ბიედრინში (გ-სტე) | 11.5 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 10.7 |

**პასები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 11.0 |
| დერონ უილიამსი (ნ-ორლ) | 10.6 |
| სტივ ნეში (ფინ) | 9.7 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.6 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.4 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.8 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 2.3 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 2.2 |
| მარიო ჩელმერსი (მაი) | 2.0 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 1.9 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.9 |
| კრის ანდერსენი (დენ) | 2.3 |
| რონი ტურიაფი (გ-სტე) | 2.2 |
| მარკუს კემბი (კლივ) | 2.2 |
| ჯერმეინ ო'ნილი (ტორ) | 2.0 |

ფორმულა 1




# BMW, ფერარი, ბრაუნი

**ფორმულა 1-ის მორიგი ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, ანალიტიკოსები აგრძელებენ სეზონის პირველი რბოლის წინ გუნდების შანსების შეფასებას. დღეს გაგაცნობთ F1Fanatic-ის მიმომხილველ კეიტ კოლანტაინის აზრს, რომელიც ბოლოდროინდელ ტესტებს ეყრდნობა.**

მაშ ასე, სეზონისწინა ტესტები პრაქტიკულად დასრულებულია (ამ კვირას, ხერესის ავტოდრომზე მხოლოდ ოთხი გუნდი გადის ტესტირებას). სულ მალე, გუნდები ავსტრალიის გრანპრის თავისუფალ პრაქტიკაზე გავლენ. გთავაზობთ ამ მომენტისთვის ფორმულა 1-ის გუნდების რეიტინგის ჩვეულ ვერსიას.

ამ შედეგების მიხედვით, აგრეთვე სხვა სატესტო სესიებისა და ჩემი დაკვირვებით, გთავაზობთ დღევანდელ ფორმულა 1-ში გუნდების ძალთა თანაფარდობას.

1. **BMW-ზაუბერი** - ამ გუნდმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა 2008 წლის სეზონში საჩემპიონო შანსები 2009 წლისთვის კონკურენტუნარიანი ბოლიდის შექმნას შესწირა. ბარსელონაში მანქანა ძალიან სწრაფი ჩანდა, თანაც გუნდის პილოტები არც კი ცდილობდნენ საუკეთესო წამების ჩვენებას.

2. **ფერარი** - KERS-თან დაკავშირებულმა პრობლემებმა ამ გუნდის წინაშე გარკვეული პრობლემები წარმოშვა, მაგრამ საერთო ჯამში მისი ტემპი აღფრთოვანებას იწვევს.

3. **ბრაუნ გრანპრი** - 2009 წლის მანქანის შექმნაში დიდი ენერგია და მონდომება მაშინ დაიხარჯა, სანამ ამ გუნდს ჯერ კიდევ "ჰონდა" ერქვა. როგორც ჩანს, სეზონისწინა გაურკვევლობამ დიდად არ იმოქმედა BGP001-ის შექმნაზე. შესაძლოა, მისი შედეგები რბოლებში ისეთი სენსაციური არ იყოს, როგორც ეს ტესტების დროს მოხდა, მაგრამ არსებულ სიტუაციაში ეს ბოლიდი მაინც შთამბეჭდავად გამოიყურება.

4. **ტოიოტა** - ბოლიდი TF109 სისწრაფეში დიდად არ ჩამორჩება ლიდერებს. **იარნო ტრულიმ** აღნიშნა, რომ ახალი მანქანით ძალიან კმაყოფილია.

5. **რედ ბული** - ამ გუნდს ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური ბოლიდი ჰყავს, რომელიც ღირსეულ დროს კი აჩვენებს, მაგრამ პელოტონში ლიდერობაზე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს.

6. **მაკლარენი** - სეზონის წინ ამ გუნდის ფორმაზე ათასგვარი ჭორები დადის. "მაკლარენი" ტესტებს ექსტრემალურ პირობებში ატარებს: იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ 2009 წლის ბოლიდის შექმნისას რაღაცაში ფუნდამენტალური შეცდომა დაუშვეს. **მარტინ უიტმარშმა** უკვე აღიარა, რომ MP4-24-ის დონე არც ისე მაღალია. ამ ეტაპზე გუნდისთვის მინიჭებული მეექვსე ადგილიც კი შეიძლება აშკარად გადაჭარბებული იყოს.

7. **უილიამსი** - ტესტებზე ნაჩვენებმა დრომ დაგვანახა, რომ **როსბერგსა** და **ნაკაჯიმას** დონეებს შორის სხვაობა 2009 წელსაც შენარჩუნდება. ტესტებისას როსბერგი დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ საბოლოო ჯამში, უფრო შეძლებული გუნდები "უილიამსს" ახლოს არ მიიკარებენ.

8. **რენო** - R29-ის აეროდინამიკა არც ისე კარგად მუშაობს, მაგრამ არ ღირს ამ სეზონში "რენოს" ძრავების გაზრდილი კონკურენტუნარიანობის შეუფასებლობა.

9. **ტორო როსო** - სავსებით შესაძლებელია, რომ "ტორო როსომ" ისევ გაასწროს სეზონის ბოლოს "რედ ბულს", მაგრამ ამ მომენტისთვის RB5 უფრო სწრაფი ჩანს.

10. **ფორს ინდია** - ამ გუნდის მანქანა საკმაოდ გვიან წარადგინეს და ტექნიკის ადაპტაცია ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ძნელი წარმოსადგენია, რომ **ვიჯეი მალიამ** შეძლოს 2009 წლის სეზონისთვის დასახული ამოცანების შესრულება.

# მაკლარენში კრიზისია

ბოლო ტესტებზე ნაჩვენები დაბალი შედეგების შემდეგ, "მაკლარენის" ხელმძღვანელობამ უოკინგში მდებარე შტაბბინაში გუნდის წამყვანი ინჟინრები შეკრიბა და საგანგებო სხდომა გამართა. ბრიტანული საჯინიბოს შეფობას სწრაფად სურს იმ კრიზისიდან გამოსვლა, რაც ამ გუნდის ბოლიდის დაბალ სიჩქარეს უკავშირდება.

შეგახსენებთ, რომ ბარსელონას ტესტებზე "მაკლარენმა" ახალი აეროდინამიკური კონფიგურაცია გამოსცადა, რაზეც გუნდში დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ორივე პილოტი - **ჰეიკი კოვალაინენი** და მოქმედი ჩემპიონი **ლუის ჰემილტონი** სტაბილურად ჩამორჩებოდნენ კონკურენტებს. ისინი ყოველ წრეზე 2.5 წამს (!) აგებდნენ ლიდერებთან.

"გარდიანისთვის" მიცემულ ინტერვიუში "მაკლარენის" ბოსმა **მარტინ უიტმარშმა** აღიარა, რომ სეზონის წინ პესიმისტურად არის განწყობილი: *"უნდა ვაღიარო, რომ ზამთარში არც ისე ნაყოფიერად ვიმუშავეთ და ახლა, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ - ჩვენი ბოლიდი საკმაოდ სუსტია. აუცილებლად შევეცდებით დაკარგულის ანაზღაურებას და მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ არ მგონია, რომ ეს სწრაფად გავაკეთოთ. პირველ რბოლებში მაღალ შედეგებს არ ველი".*

განსაკუთრებით დამთრგუნველი იყო "მაკლარენის" მაჩვენებლები "ბრაუნ გრანპრის" პილოტებთან - **ჯენსონ ბატონთან** და **რუბენს ბარიკელოსთან** შედარებით, რომლებიც პირველად გამოჩნდნენ ტესტებზე და უკვე მოინათლნენ მსოფლიოს მე-60 ჩემპიონატის ფავორიტებად. შეგახსენებთ, რომ "მაკლარენის" მსგავსად, "ბრაუნის" ბოლიდებიც "მერსედესის" ძრავებით არის აღჭურვილი.

ცურვა

# არშემდგარი რეკორდი




მსოფლიოს წამყვანმა მოცურავეებმა სეზონის მთავარი სტარტისთვის - მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყეს. ამ დღეებში, სიდნეიში ავსტრალიის ღია პირველობა მიმდინარეობს, სადაც ქალებს შორის 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დამყარდა. მისი ავტორი გახდა შვედი **ტერეზა ალშამარი** რომელმაც დისტანცია 25.44 წამში დაფარა და 2007 წელს, მის მიერვე დამყარებული რეკორდი 0.02 წამით გააუმჯობესა.

დაჯილდოების ცერემონიიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ტურნირის ორგანიზატორებმა შვედის მიერ ნაჩვენები შედეგი გააუქმეს. საქმე ისაა, რომ გაცურვის დროს ალშამარს ორი საცურაო კოსტიუმი ეცვა, მარტიდან ამოქმედებული ახალი წესების თანახმად კი, ეს აკრძალული გახლავთ. როცა მოცურავე რამდენიმე კოსტიუმს იყენებს, ამ დროს უფრო იოლად დაიძლევა წყლის წინააღმდეგობა და სპორტსმენი მაღალ შედეგებს აჩვენებს.

ამ ინციდენტთან დაკავშირებით შვედეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ალშამარი მსაჯების გადაწყვეტილების გამო აპელაციის შეტანას აპირებს.

■ ■ ■

სამშაბათს მსოფლიოს ერთი რეკორდი ბრიტანეთის ქალაქ შეფილდში დამყარდა. აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ბრიტანელმა ქალმა მოცურავემ **ჯო ჯექსონმა** 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამოიჩინა თავი. ამ დისტანციაზე მსოფლიოს ახალი რეკორდი 4 წუთსა და 0.66 წამს უდრის. ჯექსონმა თითქმის წამით გააუმჯობესა იტალიელი **ფედერიკა პელეგრინის** წინა შედეგი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| კატარი-კუვეიტი | 1:0 |

**ინგლისის თასი — 1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| არსენალი-ჰალი | 2:1 |

**ინგლისი — ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-კრ. პალასი | 3:1 |
| დონკასტერი-რედინგი | 0:1 |
| იფსვიჩი-ბარნლი | 1:1 |
| ქუინზ პარკი-სუონსი | 1:0 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| სკანთორფი-ჰერეფორდი | 3:0 |
| ჩელტენემი-ტრანმერი | 1:0 |
| ქრიუ-როვერსი | 1:1 |
| მილტონი-მილუოლი | 0:1 |
| სუინდონი-საუთენდი | 3:0 |
| უოლსოლი-ბრაიტონი | 3:0 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-პორტ ვეილი | 2:0 |
| ბორნმუთი-ბრედფორდი | 4:1 |
| ბრენტფორდი-ჩესერფილდი | 0:1 |
| ლინკოლნი-დარლინგტონი | 0:1 |
| ლუტონი-გრიმსბი | 2:1 |
| ნოტსი-ჟილინგემი | 0:1 |
| როტერჰემი-ალდერშოტი | 1:2 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ბაროუ-კემბრიჯი | 0:2 |
| ისტბურნი-სალისბერი | 0:0 |
| ფორესტ გრინი-იორკი | 1:1 |
| ჰისტონი-გრეისი | 4:1 |
| კეტერინგი-ლუისი | 1:0 |
| ნორთვიჩი-რექსჰემი | 1:2 |
| უეიმაუთი-ბარტონი | 0:5 |

**იტალია — სერია B**

| | |
|---|---|
| ალბინოლეფე-ტრიესტინა | 2:1 |
| ანკონა-სალერნიტანა | 3:1 |
| ბრეშია-მოდენა | 1:1 |
| ჩიტადელა-ასკოლი | 0:0 |
| ფროსინონე-აველინო | 2:0 |
| გროსეტო-ბარი | 1:1 |
| პარმა-მანტოვა | 1:0 |
| პიაჩენცა-ტრევიზო | 2:0 |
| პიზა-ემპოლი | 2:0 |
| რიმინი-ლივორნო | 1:1 |
| სასუოლო-ვიჩენცა | 0:0 |

**გერმანია — III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბაიერნი A-ბრაუნშვაიგი | 0:1 |
| აუე-ვერდერი A | 0:1 |
| ზანდჰაუზენი-შტ. კიკერსი | 2:0 |
| შტუტგარტი A-დინამო (დ) | 2:0 |

**საფრანგეთის თასი — 1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| სედანი-გინგამი | 1:3 |
| ტულუზა-ლილი | 0:0, 1:1, პენ 7:6 |

**შოტლანდია — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სტირლინგი-პიტერჰედი | 2:1 |
| რეითი-ქუინზ პარკი | 1:0 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალბიონი-დამბარტონი | 1:1 |
| ბირუიკი-ფორფარი | 0:2 |
| კოუდენბითი-მონროუზი | 2:1 |

**ფინეთის ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| მარიეჰამნი-ტამპერე | 2:2 |
| კუოპიო-ჰაკა | 2:1 |

**ავსტრია — I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ავსტრია A-ზალცბურგი A | 0:1 |
| ლუშტენაუ-ლეობენი | 0:1 |
| გრატკორნი-გრიოდიგი | 0:0 |
| სტ. პოლტენი-ავსტრია (ლ) | 1:0 |
| ფოკლაბრუკი-ტიროლი | 0:1 |
| ვინერი-ადმირა | 0:0 |

**შვეიცარიის თასი**

| | |
|---|---|
| სტ. გალენი-სიონი | 1:2 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ბანგორი-ტნს | 0:0 |
| უელშპული-პორტმედოგი | 3:2 |

**ჩეხეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-სპარტა B | 0:0 |

**პოლონეთის თასი**

| | |
|---|---|
| რუხი-ზაგლები | 3:0 |
| ლეგია-სტალი | 3:1 |

**უნგრეთის თასი**

| | |
|---|---|
| დებრეცენი-შიოფოკი | 1:1 |
| უიპეშტი-მტკ | 1:3 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ბელასიცა-სლავია | 2:5 |

**კალათბურთი**

**ევროჩელენჯერი — 1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ტრიუმფი-ურალ გრეიტი | 100:102 (ო) |
| აელ-ამსტერდამი | 82:72 |
| ტელეკომი-ვირტუსი | 76:86 |
| შოლე-კიევი | 68:52 |

**ჰოკეი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-ჰამბურგი | 7:2 |
| ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 2:3 |
| დიუსელდორფი-კრეფელდი | 1:2 |
| მანჰაიმი-ნიურნბერგი | 3:2 |

**დანია**

| | |
|---|---|
| როდოვრე-სენდერიისკი | 4:4 |
| ჰერნინგი-ოდენსე | 6:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| სლოვანი-სკალიცა | 4:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| იოკერიტი-კერპეტი | 4:1 |
| კიეკო-პელიკანსი | 2:3 |
| ჰპკ-კალპა | 0:4 |
| იუვიასკიულა-ტპს | 3:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბილი-ამბრი | 3:2 |
| ფრიბურგი-დავოსი | 5:3 |
| ცუგი-კლოტენი | 2:3 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| დელ პოტრო-მელცერი | 6:2, 2:6, 7:6 |
| ჯოკოვიჩი-ჰაასი | 6:2, 7:6 |

**WTA. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| ვოზნიაჩკი-უ. რადვანსკა | 7:5, 6:3 |
| ზვონარევა-ნა ლი | 6:4, 6:4 |
| აზარენკა-პეერი | 7:5, 6:4 |

TV პროგრამა

**18 მარტი. ოთხშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**08:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**09:20** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**10:10** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:10** გასული კვირის ჰიტ-ალბომი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ეინდჰოვენი.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** გასული კვირის ჰიტ-ალბომი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-რეალი.
**15:10** გასული კვირის ჰიტ-ალბომი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შტუტგარტი.
**17:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:20** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**18:10** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:10** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:30** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:30** ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბლექბერნი.
**23:20** გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ლევერკუზენი.
**01:10** სასტვენი.
**01:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**01:55** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**02:55** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**03:55** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**04:45** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. გუარანი (პარაგვაი)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) (LIVE).
**06:50** გასული კვირის ჰიტ-ალბომი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ტოტენჰემი.

**EUROSPORT**

**11:30** მულტისპორტი.
**11:45** ექსტრემალური სპორტი.
**12:00** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კვიპროსი.
**13:00** ფეხბურთი. უეფა თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები.
**14:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS207. ვიკერსუნდი. ნორვეგია.
**15:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ.
**17:00** ფეხბურთი. უეფა თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები.
**18:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 30 კმ. ქალები. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
**18:45** თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები/კაცები. სტოკჰოლმი. შვედეთი (LIVE).
**20:15** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:30** ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კვალიფიკაცია. სლოვაკეთი-ხორვატია. ავსტრია (LIVE).
**22:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
**23:45** ოლიმპიური თამაშები - ტელეჟურნალი.
**00:15** მულტისპორტი.
**00:20** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**00:25** გოლფი. მსოფლიოს ჩემპიონატი.
**01:25** გოლფ-კლუბი.
**01:30** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**01:40** მულტისპორტი.
**01:45** რესტლინგი.
**03:45** თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები/კაცები. სტოკჰოლმი. შვედეთი.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ექსტრემალური სპორტი.
**14:00** ახალი ამბები.
**14:30** ფეხბურთი. უეფა თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები.
**15:30** ახალი ამბები.
**16:00** ექსტრემალური სპორტი.
**16:15** ახალი ამბები.
**17:00** სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. ესპანეთი.
**18:00** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. II ტური. იამაგატა-ნაგოია.
**19:15** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:45** ახალი ამბები.
**20:00** ექსტრემალური სპორტი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. საფრანგეთი (LIVE).
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** კარომი. მსოფლიოს ტური. საფრანგეთი.
**00:00** რესტლინგი.
**00:30** პროფესიული კრივი. ო. პალა (ჩეხეთი)-კ. აიჩი (გერმანია). აშშ.
**02:00** ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა-ვაშინგტონი 5:1**

2:0, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 კ. არმსტრონგი-17 (პევერლი-22, ბოგოსიანი-7), 2:0 ვიაჩ. კოზლოვი-20 (ენსტრიომი-18), 3:0 სალმელა-1, 4:0 ენსტრიომი-4 (ვიაჩ. კოზლოვი-41, ტ. უაიტი-43), 5:0 პერენი-6, 5:1 ფერი-11 (იურჩინა-11, კ. ოკუანი-1).

**ლოს ანჯელესი-ნეშვილი 3:4**

1:1, 1:2, 1:1

**გოლები:** 1:0 კოპიტარი-25 (დ. ბრაუნი-29), 1:1 შ. უებერი-19 (დუმონი-40, ჯ. უორდი-15), 1:2 ჯ. უორდი-12 (დუმონი-41, ლეგუანდი-21), 2:2 პურსელი-4 (ჰანძუში-21, ფროლოვი-27), 2:3 სალივანი-8 (ერატი-27, სუტერი-33), 3:3 ჰანძუში-15 (სიმონდსი-10, კალდერი-16), 3:4 რ. ჯონსი-7 (ჰამჰუისი-20, ტუტუ-11).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ ზედიზედ მეორედ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "ნიუ ჯერსი დევილზის" მეკარე **მარტინ ბროდო** დაასახელა. წინა კვირას ლეგენდარულმა გოლკიპერმა კარიერაში 551-ე გამარჯვებას მიაღწია და **პატრიკ რუას** ყველა დროის რეკორდი გაიმეორა. ბროდომ "დევილზს" სამიდან სამ მატჩში მოაგებინა, თავად კი საშუალოდ 1.67 გოლს უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 84.3 პროცენტს იგერიებდა.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი "კალგარი ფლეიმზის" ფორვარდ **ოლი იოკინენს** ერგო. მან სამ თამაშში ექვსი გოლი და ორი შედეგიანი პასი მიითვალა.

მესამე ვარსკვლავი გახდა "პიტსბურგ პინგვინზის" თავდამსხმელი **სიდნი კროსბი**. "პინგვინების" ლიდერი ზედიზედ ოთხ მატჩში აგროვებდა მინიმუმ ერთ ქულას და იოკინენის მსგავსად მანაც რვა ქულა (2 გოლი+6 პასი) დააგროვა.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 71 | 45 | 17 | 9 | 99 |
| 2. ნიუ ჯერსი | 68 | 45 | 20 | 3 | 93 |
| 3. ვაშინგტონი | 71 | 43 | 22 | 6 | 92 |
| 4. ფილადელფია | 68 | 37 | 21 | 10 | 84 |
| 5. პიტსბურგი | 71 | 37 | 26 | 8 | 82 |
| 6. მონრეალი | 69 | 36 | 25 | 8 | 80 |
| 7. რეინჯერსი | 70 | 36 | 26 | 8 | 80 |
| 8. კაროლინა | 71 | 36 | 28 | 7 | 79 |
| 9. ფლორიდა | 69 | 34 | 25 | 10 | 78 |
| 10. ბაფალო | 69 | 34 | 27 | 8 | 76 |
| 11. ტორონტო | 70 | 28 | 29 | 13 | 69 |
| 12. ოტავა | 68 | 28 | 30 | 10 | 66 |
| 13. ატლანტა | 70 | 29 | 35 | 6 | 64 |
| 14. ტამპა ბეი | 69 | 23 | 32 | 14 | 60 |
| 15. აილენდერსი | 70 | 24 | 38 | 8 | 56 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. x-დეტროიტი | 70 | 46 | 15 | 9 | 101 |
| 2. x-სან ხოსე | 68 | 45 | 13 | 10 | 100 |
| 3. კალგარი | 69 | 40 | 23 | 6 | 86 |
| 4. ჩიკაგო | 67 | 37 | 21 | 9 | 83 |
| 5. ვანკუვერი | 68 | 36 | 23 | 9 | 81 |
| 6. კოლამბუსი | 70 | 36 | 28 | 6 | 78 |
| 7. ნეშვილი | 70 | 35 | 30 | 5 | 75 |
| 8. დალასი | 69 | 33 | 28 | 8 | 74 |
| 9. ედმონტონი | 68 | 32 | 27 | 9 | 73 |
| 10. სტ. ლუისი | 69 | 32 | 29 | 8 | 72 |
| 11. მინესოტა | 69 | 32 | 29 | 8 | 72 |
| 12. ანაჰაიმი | 69 | 32 | 31 | 6 | 70 |
| 13. ლოს ანჯელესი | 69 | 29 | 30 | 10 | 68 |
| 14. კოლორადო | 70 | 31 | 38 | 1 | 63 |
| 15. ფინიქსი | 69 | 28 | 35 | 6 | 62 |

*x - გავიდა პლეიოფში*

**ბომბარდირები**

| გოლი+პასი | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 97 (30+67) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 90 (27+63) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 89 (49+40) |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 85 (27+58) |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 82 (40+42) |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 81 (31+50) |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 78 (36+42) |
| მარკ სავარი (ბოს) | 76 (22+54) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 74 (20+54) |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 74 (19+55) |

| გოლები | |
|---|---|
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 49 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 40 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 38 |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 36 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 35 |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 35 |
| მაიკლ კამალერი (კალ) | 34 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 34 |
| რიკ ნეში (კოლამ) | 33 |
| ერიკ სტაალი (კარ) | 33 |

| პასები | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 67 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 63 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 58 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 55 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 54 |
| მარკ სავარი (ბოს) | 54 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 51 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 50 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 49 |
| მაიკ რიბეირო (ნ-ჯერ) | 47 |

ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა



# საინტერესო ახლა იწყება

ინდიან უელსში გადამწყვეტი მატჩების დრო დგება. რეიტინგის ლიდერებმა წარმატებით დაძლიეს პირველი ორი წრე და ახლა, ნინ ურთულესი ბარიერების გადალახვა ელით.

შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** გზიდან ჩამოიცილა ხორვატი გიგანტი **ივო კარლოვიჩი**. ამ უკანასკნელის მოწოდების აღება ყოველთვის რთული საქმეა. როჯერმა ეს ერთხელ მოახერხა და ამის წყალობით მეორე სეტი 6:3 მოიგო. მანამდე იყო პირველი სეტის ტაი-ბრეიკი, სადაც კარლოვიჩმა წარმატების მიღწევის კარგი შანსი მიიღო. ხორვატი შემოკლებულ გეიმში 3:1 დაწინაურდა და მომდევნო გათამაშებებში უფრო ზუსტად რომ ეთამაშა, შესაძლოა, მატჩის სცენარი სულ სხვაგვარი ყოფილიყო. ივომ რამდენიმე უნებლიე შეცდომა დაუშვა და ტაი-ბრეიკი 4:7 წააგო.

მომდევნო წრეში ფედერერს სერიოზული მეტოქე ეყოლება **ფერნანდო გონსალესის** სახით. ფავორიტთაგან ჩილელს ყველაზე რთული ბადე ერგო. მან ჯერ სამ სეტში მოუგო ავსტრალიელ **ლეიტონ ჰიუიტს**, გუშინ კი ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკის** დასამარცხებლად ორი სეტი იკმარა. აშკარად ჩანს, რომ გონსალესი კარგ ფორმაშია და როჯერს ნესით უნდა გაუჭირდეს ჩილელის ძლევა.

ბრწყინვალე სტილში წარმართა თავისი მეორე შეხვედრა ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ**. მან მხოლოდ ხუთი გეიმი დაანება ფრანგ **პოლ-ანრი მატიოს**. ბრწყინვალე იყო მიურეის სტატისტიკა პირველი მოწოდებისას - 25 გათამაშებიდან ენდიმ 21 თავის სასარგებლოდ დაასრულა.

დღევანდელ მიმოხილვას შარშანდელი ჩემპიონის, **ანა ივანოვიჩისა** და არგენტინელი **ხისელა დულკოს** მატჩით დავასრულებთ. სერბს მხოლოდ პირველი სეტის დასაწყისში გაუჭირდა, როცა მეტოქეს საკუთარ მოწოდებაზე გეიმი დაუთმო და არგენტინელს 3:1 დაწინაურების საშუალება მისცა, მაგრამ ამას მოჰყვა ანას მხრიდან ზედიზედ ხუთი გეიმის მოგება და სეტში 6:3 გამარჯვება.

მეორე პარტია სულ სხვა სცენარით წარიმართა. ივანოვიჩმა თავიდანვე მოიპოვა კომფორტული უპირატესობა და დულკომ სერბის დაწევა ველარ შეძლო.

თუ ანა ასეთ სტილში გააგრძელებს თამაშს, მას არ უნდა გაუჭირდეს მეოთხედფინალში გადასასვლელ მატჩში იტალიელი **ფლავია პენეტას** დამარცხება.

**ATP**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**II წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ივო კარლოვიჩი (ხორ, 27) 7:6 (4), 6:3; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-პოლ-ანრი მატიო (საფ, 32) 6:3, 6:2; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ)**-ჟილ სიმონი (საფ, 8) 6:3, 7:6 (3); **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 10)**-რიშარ გასკე (საფ, 23) 6:3, 6:2; **იგორ ანდრეევი (რუს, 22)**-ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 11) 7:5, 6:4; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 17)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 13) 7:5, 6:1; **ტომი რობრედო (ესპ, 15)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 19) 7:5, 7:6 (2); **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 6:2, 3:6, 6:3.

**WTA**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**III წრე**

**ანა ივანოვიჩი (სერ, 5)**-ხისელა დულკო (არგ, 31) 6:3, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 7)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან, 25) 6:1, 6:4; **ფლავია პენეტა (იტა, 12)**-ანჯელა ჰეინსი (აშშ) 4:6, 6:4, 6:1; **ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ)**-ალისა კლეიბანოვა (რუს, 21) 7:6 (2), 6:3; **აგნეს შავაი (უნგ, 22)**-კრისტინა ბაროისი (გერ) 6:3, 6:4; **სიბილ ბამერი (ავსტრია, 23)**-ვერა დუშევინა (რუს) 6:1, 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 30)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) 7:5, 7:5; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს)**-კარინ კნაპი (იტა) 6:2, 6:4.

**1/8 ფინალი**

საფინა (1)-კრეიბასი; აზარენკა (8)-პეერი; ზვონარევა (4)-ნა ლი; ვოზნიაჩკი (9)-უ. რადვანსკა; ივანოვიჩი (5)-პენეტა (12); ბამერი (23)-ჰანტუხოვა (30); ა. რადვანსკა (7)-შავაი (22); პავლიუჩენკოვა-ლაგოსტერა ვივესი.

# შარაპოვა საკუთარ თავზე სერიალს გადაიღებს

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **მარია შარაპოვა** სულ უფრო აქტიურად მოღვაწეობს შოუბიზნესში. ამჯერად, რუსი ჩოგბურთელი იმ სერიალის აღმასრულებელი პროდიუსერი გახდება, რომელიც თავად მარიას ცხოვრებაზე მოგვითხრობს. სერიალი მუსიკალურ არხ MTV-ის ეთერში გავა. მაყურებელს საშუალება ექნება გაეცნოს კორტსმილმა შარაპოვას ცხოვრებას.

MTV-ის ხელმძღვანელობამ მოიწონა სერიალის იდეა, მაგრამ ეკრანზე ფილმის გაშვების გადაწყვეტილებას მას შემდეგ მიიღებენ, რაც არხის შეფობა ერთ საცდელ სერიას იხილავს. სხვათა შორის, 2007 წელს შარაპოვამ ანალოგიურ სერიალზე მუშაობა ტელეარხ CW-სთან ერთად დაიწყო, მაგრამ მაშინ პროექტის განხორციელება სცენარისტების გაფიცვის გამო არ მოხერხდა.

თითოეული სერია ერთსაათიანი იქნება. სერიალის დასაწყისში მთავარი გმირის ასაკი 16 წელი იქნება. შეგახსენებთ, რომ მარია შვიდი წლის ასაკში გადაბარგდა რუსეთიდან ამერიკაში, ხოლო ცხრა წლისა **ნიკ ბოლეტიერის** ცნობილ საჩოგბურთო აკადემიაში ჩაირიცხა. მარია 17 წლის იყო, როცა უიმბლდონის მთავარი პრიზი მოიპოვა.

სერიალის გადაღებების შესახებ ჯერ არც ჩოგბურთელსა და არც MTV-ის ხელმძღვანელობას გაუკეთებიათ ოფიციალური განცხადება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



